

საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის ძეგლები



№ 9

2008



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
Georgian National Academy of Sciences

სიბველეთა დაცვისა და შესწავლის ცენტრი
Centre for Preservation and Studies of Antiquities

კულტურული ანთროპოლოგიის განვითარების საერთაშორისო ფონდი
Cultural Anthropology Development International Foundation

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

№ 9

Monuments of Georgian Cultural Heritage

№ 9

თბილისი

Tbilisi

2008

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
Georgian National Museum

ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი
Otar Lordkipanidze Centre of Archaeology

გოღერძი ნარიმანიშვილი

ღარაქოვის ნამოსახლარის

არქეოლოგია

ანგარიშების შედგენაში მონაწილეობდნენ:

რევაზ დავლიანიძე, ბიძინა მურვანიძე,

ნინო შანშაშვილი, მარინე კვაჭაძე,

ელისო ყვავაძე, ოლეგ ბენდუქიძე

უაკ (UDC) 902/904 (479.22

მ295

წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს წალკის მუნიციპალიტეტის სოფ. დარაკოვის აღმოსავლეთით მდებარე ნამოსახლარზე 2008 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების სრულ დოკუმენტურ ანგარიშს.

საველე და ლაბორატორიული სამუშაოები მიმდინარეობდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2008 წლებში, გოდერძი ნარიმანიშვილის ხელმძღვანელობით.

ნამოსახლარი მდებარეობს ქვემო ქართლში, წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, წალკიდან 15 კმ-ის დაშორებით. ძეგლი წარმოადგენს ადრეანტიკური ხანით დათარიღებულ ნამოსახლარს. ნამოსახლარი გაშენებული ყოფილა დღევანდელი სოფ. დარაკოვის აღმოსავლეთით, მდ. ქციას მარცხენა ნაპირზე.

ნამოსახლარის სიგრძე, აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე 600 მეტრია, ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე კი 700 მეტრი.

მთ. რედაქტორი

გოდერძი ნარიმანიშვილი

Editor-in-chief

Goderdzi Narimanishvili

სარედაქციო საბჭო:

ამირანაშვილი ჯუანშერი

კვაჭაძე მარინე

მელიქიშვილი ლია

მინდიაშვილი გიორგი

შანშაშვილი ნინო

Editorial board

Amiranashvili Juansher

Kvatchadze Marina

Melikishvili Lia

Mindiashvili Giorgi

Shanshashvili Nino

ISBN 99928-0-794-6

ISBN 99928-0-795-4

© ა(ა)იპ სიძველეთა დაცვისა და შესწავლის ცენტრი

Centre for Preservation and Studies of Antiquities

© ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტი

Otar Lordkipanidze Centre of Archaeology

შინაარსი

გოდერძი ნარიმანიშვილი

სოფ. დარაქოვის ტერიტორიაზე 2008 წელს ჩატარებული
არქეოლოგიური გათხრების წინასწარული ანგარიში -----5

გოდერძი ნარიმანიშვილი

არქეოლოგიური კვლევები დარაქოვის ნამოსახლარზე -----	26
1.0 შესავალი -----	27
2.0 გარემოს დახასიათება -----	28
3.0 კულტურული ფონი -----	31
4.0 მეთოდოლოგია -----	34
5.0 შედეგები -----	38
6.0 ინტერპრეტაცია -----	104
7.0 შეჯამება, დასკვნები და რეკომენდაციები -----	116
8.0 გამოყენებული ლიტერატურა -----	119
სურათების აღწერილობა -----	123
სურათები -----	134

ოლეგ ბენდუქიძე

დარაქოვის ნამოსახლარზე მოპოვებული ოსტეოლოგიური
მასალა ----- 350

ელისო ყვავაძე

დარაქოვის ნამოსახლარის კულტურული ფენებისა და ორმოების
მასალის პალინოლოგიური დახასიათება ----- 359

არტეფაქტების ცხრილი ----- 386

გოდერძი ნარიმანიშვილი, რევაზ დავლიანიძე,
ბიძინა მურვანიძე, ნინო შანშაშვილი, მარინე კვაჭაძე

სოფ. დარაკოვის ტერიტორიაზე 2008 წელს ჩატარებული
არქეოლოგიური გათხრების წინასწარული
ანგარიში

წინასიტყვაობა

სოფ. დარაკოვი მდებარეობს წალკის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ნაწილში. სოფელი გაშენებულია მდ. ქციას მარცხენა ნაპირზე (სურ. 1). სოფლის ტერიტორიაზე პირველი არქეოლოგიური გათხრები 1936-38 წლებში ბ. კუფტინმა სამ პუნქტში ჩაატარა. შუა საუკუნეების პერიოდის სამაროვანს სოფლის ჩრდილოეთით მიაკვლია, მდ. ქციის მარჯვენა ნაპირზე ძვ.წ. VIII-VII სს სამაროვანი გათხარა, სოფლის დასავლეთით მინდორში კი გვიანი ბრინჯაოს ხანის სამაროვანი დააფიქსირა. 2000-2006 წწ თრიალეთის ექსპედიციამ მდ. ქციის მარცხენა ნაპირზე, სოფლის აღმოსავლეთით პალეონტოლოგიური ძეგლი და შუა საუკუნეების ნასოფლარს მიაკვლია, სოფლის ცენტრში კი - შუა საუკუნეების მარანი და დარნების კომპლექსი აღმოაჩინა.

დღევანდელი სოფელი ძველ ნასოფლარზეა გაშენებული. ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილი რუკის მიხედვით, შუა საუკუნეებში, ამ ადგილზე სოფ. ფარეხა ყოფილა გაშენებული. დარაკოვი კი XIX ს-ში გადმოსახლებულმა სომხებმა უწოდეს. სოფელში დღეისათვის ერთი ეკლესიაა შემორჩენილი – წმ. გიორგის.

2003 წელს სოფლის აღმოსავლეთით 0,5 კმ დაცილებით, მდ. ქციას მარცხენა ნაპირზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით ქვიშის მიტოვებული კარიერი ამოქმედდა, რომლის დროსაც მრავალფენიანი ნამოსახლარი დაზიანდა (სურ. 2-4).

საველე სამუშაოების მიზანს წარმოადგენდა სოფ. დარაკოვის ტერიტორიაზე არსებული კარიერის ზონაში გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება.

საველე სამუშაოების ვადა თავდაპირველად **30 (ოცდაათი)** სამუშაო დღით განისაზღვრა (**I ეტაპი**). იმის გამო, რომ გათხრების შედეგად მნიშვნელოვანი ობიექტები

გამოვლინდა, მათი კონსერვაციის მიზნით საველე სამუშაოები 6 (ექვსი) დღით გახანგრძლივდა (II ეტაპი).

I ეტაპის სამუშაოები 2008 წლის 1 სექტემბრიდან 04 ოქტომბრამდე მიმდინარეობდა, II ეტაპისა კი 06-11 ოქტომბერს განხორციელდა.

გათხების შედეგად მოპოვებული რამდენიმე ათასი არტეფაქტის ტრანსპორტირებისათვის მოსამზადებლად ექსპედიციის წევრებს 4 (ოთხი) დღე დასჭირდათ. ამის გამო ექსპედიცია თბილისში 16 ოქტომბერს დაბრუნდა.

I ეტაპის სამუშაოებში მონაწილეობდნენ ექსპედიციის ხელმძღვანელი; ორი არქეოლოგი; სამი ასისტენტი; ტოპოგრაფი; მხატვარი; 12 მუშა.

II ეტაპზე - ექსპედიციის ხელმძღვანელი, ერთი არქეოლოგი, ერთი ასისტენტი, ერთი არქიტექტორი და 6 მუშა.

დარაკოვის ნამოსახლარის გათხრებში მონაწილეობა მიიღეს:

1. ნარიმანიშვილი გოდერძი – ხელმძღვანელი (36 სამუშაო დღე).
2. დავლიანიძე რევაზი – არქეოლოგი (36 სამუშაო დღე).
3. შანშაშვილი ნინო – არქეოლოგი (30 სამუშაო დღე).
4. მურვანიძე ბიძინა - ასისტენტი (36 სამუშაო დღე).
5. კვაჭაძე მარინე – ასისტენტი (30 სამუშაო დღე).
6. საღრაძე ვაჟა – ასისტენტი (22 სამუშაო დღე).
7. შატბერაშვილი ვახტანგი (8 სამუშაო დღე).
8. თევზაძე ალექსანდრე – ტოპოგრაფი (10 სამუშაო დღე).
9. ტატიშვილი გიორგი – მხატვარი (36 სამუშაო დღე).

დასკვნა

დარაკოვის ნამოსახლარი მდ. ქციის მარცხენა ნაპირზე, პირველ და მეორე ტერასაზეა გაშენებული. ნამოსახლარი მშენებლობებთან დაკავშირებით სამჯერაა დაზიანებული. პირველად წალკის წყალსაცავის მშენებლობისას იქნა მოხსნილი მისი სამხრეთი ნაწილი, მეორედ სოფ. წინწყაროსა სოფ. დარაკოვის დამაკავშირებელი გზის გაყვანისას, მესამედ კი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისას. ნამოსახლარს დღეს 3,5 ჰა ფართობი უკავია.

BP-საქართველოსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად 2008 წელს არქეოლოგიური გათხრები 270 კვ.მ. ფართობზე ჩატარდა. გაითხრა რვა ნაგებობა, ქვით ნაგები ორი ხარო და 20 სამეურნეო ორმო. მოპოვებული არტეფაქტების მიხედვით ნამოსახლარი ძვ.წ. V-IV სს მიეკუთვნება.

პირველ რიგში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართლის ტერიტორიაზე ამ პერიოდის ბევრი სამაროვანია გათხრილი, ნამოსახლარები კი თითქმის შეუსწავლელია. ამ გარემოების გამო დარაკოვის ნამოსახლარის გათხრა მნიშვნელოვანი იყო.

ნამოსახლარის ტერიტორია ტოპოგრაფიულად აიგეგმა (სურ. 5), შედგა ნაკვეთების გეგმა (სურ. 6). გასათხრელი ფართობი XX და XXVII ნაკვეთებს დაემთხვა.

საველე სამუშაოები კარიერის მოქმედების შედეგად წარმოქმნილი ფლატის პირიდან დაიწყო (სურ. 7, 8).

ნამოსახლარზე გამოვლენილი რვა სახლიდან № 1, 4, 5 სახლები მთლიანად გაითხარა (სურ. 11, 14, 15, 16). № 2 და № 3 სახლები ძლიერ იყო დაზიანებული ეროზიული პროცესების გამო. ამ სახლებში ჩრდილოეთი კედელი მთლიანად, დასავლეთი და აღმოსავლეთი კედლების მხოლოდ მცირე ნაწილი იყო შემორჩენილი. №№ 6, 7 და 8 სახლები მხოლოდ ნაწილობრივ გაითხარა (სურ. 19, 20).

ნამოსახლარზე გათხრილი სახლები ნახევრადმიწურებს წარმოადგენენ. კედლები ნაგებია ბაზალტის დაუშუშავებელი ქვებით (სურ. 11, 14, 15, 19). შემაკავშირებლად თიხის ხსნარია გამოყენებული. სახლების კონსტრუქციაში დიდი რაოდენობით ხის მასალაა გამოყენებული. სახლების იატაკის ნახევარი თიხატკეპნილია, მეორე ნახევარი კი ქვის საშუალო ზომის ფილებითაა მოგებული (სურ. 11, 14, 16). სახლების იმ ნაწილში სადაც ქვის ფილებიანი იატაკია, ქვის დიდი ფილებით შედგენილი სარეცელია გამართული, რომელიც იატაკიდან 0,2-0,3 მ სიმაღლის საფეხურითაა გამოყოფილი. ყველა სახლში ქვის ფილებითა და ალიზის ხსნარით ნაგები დუმილი დადასტურდა (სურ. 18). №№ 4, 5 სახლებში კი ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში. №№ 1, 2, 3 და 6

სახლებში ღუმელი ჩრდილო-დასავლეთ კუთხეშია გამართული. № 1 სახლის კარის ღიობი სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეშია გაჭრილი, № 2 და № 3 სახლების შესასვლელი სამხრეთ კედელში ჩანს გამართული, № 4 და № 5 სახლებს კი შესასვლელი დასავლეთიდან აქვს.

განსაკუთრებულ ინტერესს პირველი სახლი იწვევს (სურ. 10, 11, 12). ის სხვა სახლებისაგან იმით გამოირჩევა, რომ მასში ალიზის ხსნარით ნაგები საკურთხეველი (სურ. 13) დადასტურდა. მისი სიგრძე 2,7 მ-ია, სიგანე 0,9 მ-ს უდრის, სიმაღლე კი 0,5 მ-ს. საკურთხეველი დასავლეთ კედელზეა მიდგმული, რომლის გასწვრივაც ქვითა და ალიზის ხსნარით შექმნილი „მერხია“ მიგდმული. საკურთხეველი და „მერხი“ ალიზის თხელი ხსნარითაა შეღესილი.

ასევე გამორჩეულია № 6 და 7 სახლები (სურ. 19, 20). ეს სახლები შესასწავლი ფართობის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში მოექცა და ამდენად მათი მხოლოდ ნაწილის გათხრა მოხერხდა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მათი იატაკები მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 3,2 მ, ხოლო № 4 და № 5 სახლების იატაკის დონიდან 2,0 მ სიღრმეზე მდებარეობს. № 6 სახლის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში დიდი ზომის ბაზალტის ქვებითა და ალიზის ხსნარით ნაგები ღუმელი დგას. მისი სიმაღლე 1,1 მ-ია, სიგანე კი 1,7 მ-ს უდრის. მის წინ კარგად გათლილი ბაზალტის ქვის სვეტია აღმართული (სურ. 21). ერთი ცუდად დამუშავებული სვეტი კი სანაცრე განყოფილების წინ დგას. ღუმელიდან 2,5 მ დაცილებით, იატაკში დიდი ხელსაფქვაავია ვერტიკალურად ჩადგმული. № 7 სახლის დასავლეთ კედელზე ბაზალტის ფილებით, ხელსაფქვავებითა და ალიზით ნაგები საკურთხეველია გამართული (სურ. 23). ორივე სახლი არაერთხელაა კაპიტალურად გადაკეთებული.

ნამოსახლარზე გათხრილი სამეურნეო ორმოების უმრავლესობა სახლებზე ძველია (სურ. 17). უმეტეს შემთხვევაში სახლების კედლები და იატაკები ორმოებზეა გამართული.


სახლებსა და ორმოებში 20 000 მ-დე არტეფაქტი აღმოჩნდა. ყველაზე დიდი რაოდენობით კერამიკული ფრაგმენტები გამოვლინდა. ასევე მნიშვნელოვანია ოსტეოლოგიური მასალის წილი. გათხრებისას ბრინჯაოს და რკინის ათამდე არტეფაქტიც დაფიქსირდა. პალეოლოგიური კვლევისათვის სახლების იატაკებიან და ორმოებიდან აღებული იქნა 45 ნიმუში.

გათხების დასრულების შემდეგ ჩატარდა მცირე საკონსერვაციო სამუშაოები. № 1 სახლი მთლიანად დაიფარა გეოტექტილით (სურ. 23), № 6 და № 7 სახლებში კი მხოლოდ გამორჩეული ადგილები. სახლების კედლების გასწვრივ, საკურთხეველებთან

და ღუმელებთან გეოტექსტილზე დაიწყო ქვები და დაეყარა ქვიშის ფენა. ამის შემდეგ განხორციელდა განათხარი ფართობის რეკულტივაცია. გახრილი ფართობი შეივსო მიწით, ზედაპირი კი ბალახის საფარიანი ბელტებით დაიფარა (სურ. 24-26).

რეკომენდაციები:

1. დარაკოვის ნამოსახლარზე ჩატარებული სამუშაოების დოკუმენტური ანგარიშის შესადგენად აუცილებელია მოპოვებული მასალების ლაბორატორიულ დამუშავება.
2. საჭიროა არტეფაქტების დამუშავება (გარეცხვა, აღდგენა-რესტავრაცია, დავთარში გატარება და საინვენტარო ნომრების მინიჭება) ველზე შესრულებული ნახაზების ანგარიშისათვის მომზადება, არტეფაქტების ჩახატვა, პალინოლოგიური ნიმუშების შესწავლა, ოსტეოლოგიური მასალის დამუშავება და შესწავლა. ასევე დოკუმენტური ანგარიშის ტექსტური ნაწილის შედგენა, გრაფიკული ნახაზების ელექტრონული ვერსიის შექმნა, საველე ფოტომასალების დამუშავება (აღრიცხვა, გადარჩევა, აღწერა), არტეფაქტების ფოტოგადაღება.
3. ლაბორატორიული სამუშაოების ხანგრძლივობა შეიძლება განისაზღვროს 35 სამუშაო დღით (5 კვირა).
4. ლაბორატორიულ სამუშაოებში სასურველია მონაწილეობა მიიღონ:
 - ა). ხელმძღვანელი – 35 დღე.
 - ბ). არქეოლოგი (ორი პერსონა) – 35 დღე.
 - გ). ასისტენტი (სამი პერსონა) – 35 დღე.
 - დ). რესტავრატორი (ორი პერსონა) – 25 დღე.
 - ე). არქიტექტორი – 30 დღე.
 - ვ). მხატვარი – 30 დღე.
 - ზ). პალინოლოგი – 25 დღე.
 - თ). პალინოლოგის ასისტენტი – 15 დღე.
 - ი). ზოოლოგი – 30 დღე.
 - კ). ფოტოგრაფი – 20 დღე.
5. ლაბორატორიული სამუშაოები შეიძლება დაიწყოს 2008 წლის 01 ნოემბერს და დასრულდეს 11 დეკემბერს.



სურ. 1. სოფ. დარაკოვის და წინჯაროს მიმდებარე ტერიტორიის ტოპორუკა გათხრების ადგილის აღნიშვნით.




სურ. 2. დარაკოვის კარიერის აღმოსავლეთი კედლის ხედი გათხრების დაწყებამდე.




სურ. 3. დარაკოვის კარიერი. ნამოსახლარის სამხრეთი ნაწილის ხედი გათხრების დაწყებამდე.



სურ. 4. დარაკოვის კარიერი. კერამიკის შემცველი კულტურული ფენა (დეტალი).



სურ. 5. ნამოსახლარის ტოპოგემა.



სურ. 6. ნაკვეთების განლაგება.



სურ. 7,8. გათხრების დასაწყისი.



სურ. 9. გათხრილი ფართობის საერთო ხედი სამხრეთიდან.



სურ. 10. № 1 ხარო.



სურ. 11. № 1 სახლის საერთო ხედი ჩრდილოეთიდან.



სურ. 12. № 1 სახლის საერთო ხედი აღმოსავლეთიდან.



სურ. 13. № 1 სახლი. საკურთხეველი.



სურ. 14. № 4 სახლის საერთო ხედი სამხრეთიდან.



სურ. 15. № 5 სახლის საერთო ხედი ჩრდილოეთიდან.
უკანა პლანზე № 4 სახლი.



სურ. 16. № 5 სახლის საერთო ხედი ჩრდილოეთიდან.



სურ. 17. № 5 სახლი. ღუმელი და № 10 ორმო. ხედი ჩრდილოეთიდან.



სურ. 18. № 5 სახლის ღუმელი. ხედი დასავლეთიდან.



სურ. 19. № 6 და № 7 სახლების საერთო ხედი სამხრეთიდან.



სურ. 20. № 6 და № 7 სახლების საერთო ხედი ჩრდილოეთიდან.



სურ. 21. № 6 სახლი. დეტალი.



სურ. 22. № 7 სახლი. საკუროხეველი.



სურ. 23. № 1 სახლი. კონსერვაციის პროცესი.



სურ. 24. № 1 სახლის ტერიტორია რეკულტივაციის შემდეგ.



სურ. 25. № 4 და № 5 სახლების ტერიტორია რეკულტივაციის შემდეგ.



სურ. 26. განათხარი ფართობის რეკულტივაციის პროცესი.

გოდერძი ნარიმანიშვილი

არქეოლოგიური კვლევები დარაკოვის

ნამოსახლარზე,

1.0 შესავალი

დარაკოვის ნამოსახლრაზე ჩატარებული კვლევის მიზანი – ბუნებრივი პროცესებისა და სამშენებლო სამუშაოების დროს გამოვლენილ არქეოლოგიურ ობიექტზე გადარჩენილი სამუშაოების ჩატარება; ძეგლისა და გათხრილი სტრუქტურების კონსერვაცია; 2008 წლის საველე სამუშაოების შედეგად მოპოვებული მასალის ლაბორატორიული დამუშავება და საცავში განთავსება.

პროექტის დამფინანსებელი - BTC და SCP მილსადენების კომპანია.

სამუშაოების კონტრაქტები:

GA-08-BTC-160204

GA-08-SCP-160203

ნებართვები: კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სანებართვო მოწმობა № 18/08/2917 (იხ. დანართი H).

ოფიციალური მოთხოვნები – კონტრაქტები GA-08-BTC-160204; GA-08-SCP-160203

ითვალისწინებდა სოფ. დარაკოვის ტერიტორიაზე არსებული კარიერის ზონაში გადარჩენილი არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებას და საველე სამუშაოების შედეგად მოპოვებული მასალის ანალიზსა და ანგარიშის მომზადებას.

პროექტით გათვალისწინებული ფართობი – 250 კვ.მ.

კვლევების თარიღი და რაიმე კონკრეტული პრობლემები და შეზღუდვები, რამაც გავლენა იქონია სამუშაოების მიმდინარეობასა და შედეგებზე – პროექტის განხორციელების დროს რაიმე სახის შეზღუდვას ადგილი არ ჰქონია.

პროექტის შესრულებაში მონაწილეობა მიიღო ინსტიტუტის 17-მა თანამშრომელმა (იხ. დანართი F).

კოლექციის საბოლოო საცავი – საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისი, ფურცელაძის ქ. № 3. ტელ. 99 85 41.

2.0. გარემოს დახასიათება

2.1. ძეგლის ადგილმდებარეობა და აღწერილობა.

დარაკოვის ნამოსახლარი მდებარეობს ქვემო ქართლში, თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, წალკის რაიონში, წალკიდან 15 კმ-ზე ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით (სურ. 1). რელიეფი, რომელზეც განლაგებულია ნამოსახლარი, წარმოადგენს ქანობს, რომელიც დაფერდებულია სამხრეთისაკენ, სადაც მდ. ქციის მარჯვენა ნაპირს ებჯინება. ნამოსახლარი ზღვის დონიდან 1594-1600 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს.

განსახილველი რეგიონი მდებარეობს სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის აღმოსავლეთ ნაწილში. ოროგრაფიულად იგი წარმოადგენს ვულკანურ პლატო-ქვაბულს.

გეოლოგიური სტრუქტურა შეიცავს ნეოგენური ასაკის ვულკანური წარმოშობის დანალექ ფენებს. მხოლოდ თრიალეთის ქედის მიმდებარე ზოლის ყველაზე ჩრდილოეთი ნაწილი შედგება აჭარა-თრიალეთის სისტემის პალეოგენური და ზედაცარცული ფენებისაგან.

ჰიდროგრაფიული ქსელი საკმაოდ კარგად არის განვითარებული. წალკის წყალსაცავი ნალექიან წლებში იკავებს 30-31 კმ²-მდე ფართობს. ამ ხელოვნური ტბის დონის აბსოლუტური ნიშნული შეადგენს 1510 მ-ს. დასავლეთიდან მას ერთვის მდ. ქცია, აღმოსავლეთიდან მდ. კორსუ. წყლის გადინება წყალსაცავიდან ხდება ხრამქვისა და წყლის გასაფილტრი მიწისქვეშა ნაგებობებით.

რეგიონში ბევრია პატარა ვულკანური და ტექტონიკური წარმოშობის ტბები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაფარა წალკის წყალსაცავმა. ამჟამად ყველაზე დიდი ბუნებრივი ტბაა ბარეთის (ბაშქოის). პატარა ტბებიდან უნდა აღინიშნოს უზუნგელი, ალიგელი და იმერა.

კლიმატი ზომიერია. წლის საშუალო ტემპერატურაა 6-5 გრადუსი. იანვარში ტემპერატურა ეცემა - 5-6-მდე. ივლისში კი შეადგენს 16-15 გრადუსს. თვიური ტემპერატურის ცვალებადობის ამპლიტუდა შეადგენს 21-21,5 გრადუსს. ნალექის წლიური ჯამი აღწევს 538-662 მმ-ს. ნალექის მაქსიმუმი მოდის მაისსა და ივნისში. ჰაერის ფართობითი ტენიანობა მთელი წლის განმავლობაში თითქმის არ იცვლება და შეადგენს საშუალოდ 72-76%-ს.

ნიადაგი ძირითადად შედგება შავმიწანიადაგებით. წალკის მთიანეთის სამხრეთ ფერდობებზე გარცელებულია საშუალოდ გამოტუტვილი მთის შავმიწანიადაგი. თრიალეთის ქედის მთისწინეთის განაპირა ჩრდილოეთ ზოლზე აღინიშნება მთა-მდელოიანი ნიადაგები. ქვაბულის ძირში ტბებთან და მდ. ქციას ნაპირებზე

გავრცელებულია დაჭაობებული ტენიან-მდეღური თიხნარი ნიადაგების სხვადასხვა ტიპები.

საკვლევი რეგიონის მცენარეულ საფარს აქვს მეორადი ხასიათი. აქ ძირითადად გვხვდება სტეპური მინდვრები, სადაც ჭარბობს მარცვლოვანი მცენარეები. ტყის საფარი შენარჩუნებულია უმნიშვნელო ფრაგმენტების სახით თავკვეთილის მთის აღმოსავლეთისკენ (აღმ. ფერდობებზე), მდ. კუსრეთისწყალის, ხრამის კალაპოტებში, სოფ. დაშ-ბაშის, კუშჩის, საფარ-ხარაბას და სხვ. შემოგარენში. ტყეებში იზრდება მუხა, წიფელი, ნეკერჩხლი, რცხილა და თელა. ტყისწინეთში შეინიშნება მოცვი, ტირიფი და მაღალმთიანი ტყის სხვა კომპონენტები. შეინიშნება ხელოვნური ნაძვნარი, რომელიც დარგულია XX საუკუნის 60-იან წლებში.

თრიალეთში დღეისათვის გვხვდება: შველი, ტურა, მელა, მგელი, მაჩვი; ერთეულების სახითაა შემორჩენილი ტყის კატა, კავკასიური ფოცხვერი; ძალზედ შემცირდა გარეული ღორის რაოდენობა; ბევრია მღრღნელი: თავგი, ბუჩქნარის მემინდვრია, ზაზუნა. რაც შეეხება თრიალეთის ფრინველთა სახეობებს მათ შორის აღსანიშნავია: ქორი, შვეარდენი, არწივი, ერთეულების სახით გვხვდება კავკასიური როჭო, შურთხი. მდინარეებისა და ტბების სიმრავლემ ხელი შეუწყო ამ მხარეში წყალმცურავ ფრინველთა პოპულაციების გავრცელებას. აქ მრავლადაა იხვის სხვადასხვა სახეობა, თოლია, წერო და სხვა სახის ფრინველები.

2.2. წარსულში არსებული გარემოპირობები

საქართველოს დღევანდელი ფიზიკურ-გეოგრაფიული ხასიათი კაინოზოური ერის – პალეოგენური ხანის შემდეგ ჩამოყალიბდა. მისი იმდროინდელი მცენარეული და ცხოველთა სამყარო, კლიმატური, გარემო თუ სხვა პირობები არსებითად განსხვავდებოდა შემდგომი, მეოთხეული პერიოდის გარემოპირობებისგან. მაშინ მთლიანად კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში ჰავა უფრო თბილი იყო. შესაბამისად, აქ სითბოსმოყვარული, ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეები იზრდებოდა. ასევე განსხვავებული იყო ცხოველთა სამყაროც.

მესამეული პერიოდის ბოლოსა და მეოთხეული პერიოდის დასაწყისში საქართველოში არსებითად იცვლება, როგორც ლანდშაფტი, ასევე კლიმატური პირობები. გამყინვარებასა და გამყინვარებათშორის ეპოქაში, ბუნებაში მომხდარმა ცვლილებებმა დიდი ზეგავლენა იქონია მცენარეთა და ცხოველთა სამყაროზე. შუა და ზედა პლიოცენის მიჯნაზე ტროპიკული ჰავა უფრო ზომიერი ჰავით შეიცვალა.

ვიურმის ეპოქის გამყინვარების შემდეგ თრიალეთის კლიმატი თანდათან იცვლება. თუმცა 15 000 წლის წინათ ჰავა ისევ საკმაოდ ცივი იყო, რაზეც მეტყველებს ალიგელიდან აღებულ ჭრილში მოპოვებული მცენარეთა მტვრის სპექტრის შემადგენლობა. წალკის პლატოს მცენარეული საფარი იყო ზედაალპური, რომელიც

შეიცავდა სუბნივალური სარტყლის კომპონენტებს: ხავსურას, ლიკოპოდიუმს და ხავსის სხვადასხვა სახეობას.

2 000 წლის შემდეგ ლანდშაფტი გახდა სუბალპური, მცენარეულ საფარში ჭარბობდა მარცვლეული ბალახეული, ხეობებში გაჩნდა ტირიფი და არყის ხე.

9 000 წლის წინათ კლიმატი კიდევ უფრო თბილი გახდა და თრიალეთში გაჩნდა მთის ტყეები სადაც დომინირებდა *Quercus macranthera*.

6,5–6 წლის წინათ აღინიშნება ატლანტიური პერიოდის პირველი გლობალური დათბობის პიკი. წალკის პლატოს ტყეებში იზრდებოდა რცხილა, ნეკერჩხალი, ქართული მუხა, ძელქვა, ცაცხვი, სოჭი. ადამიანი ამ პერიოდში ინტენსიურად იყო დაკავებული მიწათმოქმედებით, მესაქონლეობით და მევენახეობით. დაახლ. 5 300 წლის წინათ შეინიშნება კლიმატის აცივება. შემცირდა ფართოფოთლოვანი ტყის ფართობი. შემცირდა მიწათმოქმედების როლი ხოლო საძოვრების ფართობი გაიზარდა. გაქრა მევენახეობა.

5 000 – 4 600 წლის წინათ (ადრებრინჯაოს ხანა), ადგილი ჰქონდა ატლანტიკური დათბობის მეორე მაქსიმუმს. ისევ გაიზარდა ფართობი სითბოსმოყვარული ფართოფოთლოვანი ტყეებისა, განსაკუთრებით ქართული მუხისა. გაჩნდა ინტენსიური მიწათმოქმედება, მებაღეობა და მევენახეობა. ეს პერიოდი ხასიათდება ძლიერი დათბობით, რაც აისახა სამხრეთ საქართველოს მთიანეთის უფრო მაღალ სარტყელშიც.

4000 – 3700 წლის წინათ ისევ აცივდა, კვლავ გავრცელდა მთის მუხა, არყის ხე და ფიჭვი. ბალახეულ საფარში გაჩნდა სუბალპური ელემენტები. მესაქონლეობამ მთლიანად გამოდევნა მიწათმოქმედება.

3500 – 3400 წლის წინათ (ძვ.წ. XV-XIV სს.) აღინიშნება დათბობა. იგი არ იყო ისეთი ძლიერი, როგორც ადრებრინჯაოს ხანაში. ისევ გაჩნდა მუხისა და რცხილის ტყეები, რომელშიც შერეული იყო ცაცხვი. მიწათმოქმედება ვითარდება უფრო ინტენსიურად, ვიდრე წინამორბედ ხანაში. ვითარდებოდა მებაღეობა და მევენახეობა. რაზეც მეტყველებს საფარ-ხარაბას და იმერას სამაროვნების პალინოლოგიური სპექტრი.

2500 წლის წინათ ისევ აღინიშნა კლიმატის აცივება. ეს კარგად ჩანს აი-ილიას ნამოსახლარის პალინოსპექტრით. ტყეებიდან გაქრა ისეთი სითბოს მოყვარული ხე, როგორცაა ცაცხვი, ძალიან მცირეა მარცვლეული კულტურები, საერთოდ ქრება ყურძენი. მთავარი ადგილი უკავია მესაქონლეობას.

ჰავის მნიშვნელოვანი დათბობა აღინიშნება შუასაუკუნეებში (1350-800 წლის წინათ). წალკის პლატოზე ინტენსიურად ვითარდება მესაქონლეობა, მეცხოველეობა და მევენახეობა. წალკის პლატოზე მესაქონლეობას მართალია მეორადი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ კარგად იყო განვითარებული. ადამიანთა საცხოვრებლის თანმხლები სარეველა

მცენარეების მტვრის ზრდა მაქსიმუმამდე მიუთითებს მოსახლეობის დიდ სიმჭიდროვეზე, რაც დასტურდება არქეოლოგიური და ისტორიული მონაცემებით. ამავე ეტაპზე იწყება ტყეების მასიური განადგურება.

მცირე გამყინვარების პერიოდში, რომელსაც ადგილი ჰქონდა 300 წლის წინათ, გამოიწვია ნაძვისა და ფიჭვის ტყეების მომრავლება. ამავე პერიოდში გაქრა ბევრი, როგორც კულტურული, ასევე ველური სიტბოს მოყვარული მცენარე. როგორც ჩანს, XVII საუკუნეში მოსახლეობამ დატოვა ეს რეგიონი არამარტო მტრის შემოსევების გამო. წალკის პლატოზე ტყეების სრული განადგურება დაიწყო XIX საუკუნიდან, როცა მოსახლეობამ ისევ აითვისა ეს ტერიტორია [Квавадзе, Коннор, Нариманишвили 2007].

2.3. მიწის გამოყენების ისტორია.

ძვ.წ. V–IV სს-ში აღნიშნული ტერიტორიაზე დიდი დასახლება ყოფილა გამართული. წინა და შემდგომი დროის ისტორია უცნობია. უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში ეს ტერიტორია საძოვრად გამოიყენებოდა. XX ს-ის 70-იან წლებში ხელოვნური ტყის გაშენების მიზნით წიწვოვანი მცენარეები დარგეს. ტყემ ვერ გაიხარა. ამჟამადც ეს ტერიტორია ისევ საძოვარია.

3.0. კულტურული ფონი

3.1. პრეისტორიული და ისტორიული კონტექსტი

წალკის რაიონში უძველესი ფაუნის ნაშთები აღმოჩენილია ბეშთაშენთან (ხმალკილა ვეფხვი, სამხრეთული სპილო და სხვ.), იმერასთან (სამხრეთული სპილო), სოფ. დარაკოვთან (ცხენი), რომლებიც 1,5 მილიონი წლის წინა პერიოდით თარიღდება. ორი უკანასკნელი აღმოჩენა დაკავშირებულია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობასთან (იხ. 2003 წლის ანგარიში).

თრიალეთში ადამიანი ძველი ქვის ხანიდან დასახლებულა. სოფ. ავრანლოსთან აღმოჩენილი ანდეზიტ-ბაზალტისაგან დამზადებული ხელცულები და სხვა იარაღები აშელის ეპოქის (2 მილ. - 100 000 წლის წინ) გვიან საფეხურს განეკუთვნებიან [ნარიმანიშვილი 2007ა; ნარიმანიშვილი, ამირანაშვილი, მურვანიძე, კვაჭაძე, შანშაშვილი 2008]. შუა პალეოლითის (100 000 - 35 000 წლის წინ) მუსტიეს ეპოქისათვის დამახასიათებელი იარაღები კი მრავალ პუნქტშია (ელი-ბაბა, ბეშთაშენი, სანთა, ავრანლო, ოზნი, ჯინისი, იმერა) დადასტურებული. ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი იარაღები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის ზონაშიც (იმერა KP-110, ელი-ბაბა KP-116, აი-ილია KP-123, სანთა KP-129) აღმოჩნდა.

მეზოლითის პერიოდი (12000-8000 წწ. ძვ.წ.) პლეისტოცენის (ქვედა, შუა და ზედა პალეოლითი) დასასრულსა და პოლოცენის (გამყინვარების მომდევნო ეპოქა, რომელიც დაიწყო 10-12 ათასი წლის წინ) დასაწყისს ემთხვევა. ამ ეპოქის ძეგლები თრიალეთში აღმოჩენილია ებანში (ბარმაქსიზი), ზურტაკეტში, თაქ-ქილისაში, ბეშთაშენში. მილსადენის დერეფანში ამ ეპოქის იარაღები აღმოჩნდა აი-ილიას ნამოსახლარის გათხრებისას [ნარიმანიშვილი 2003].

გვიანი ნეოლითის თუ ადრე ენეოლითის (8000-3500 წწ. ძვ.წ.) მცირერიცხოვანი მასალები აი-ილიას ქვის თხემზე (KP-123) ჩატარებული გათხრებისას იქნა მოპოვებული.

ადრე ბრინჯაოს ხანის (3500-2500 წწ. ძვ.წ.) ძეგლები მიკვლეულია და ზოგი გათხრილია: ბეშთაშენში, ოზნიში, ავრანლოში, დაშ-ბაშში, ქ. წალკაში, ბაშქოში, სანთაში [შანშაშვილი 2008].

შუა ბრინჯაოს ხანაში (2500-1800 წწ. ძვ.წ.) აღმოსავლეთ საქართველოში თრიალეთური კულტურა არის გაერთიანებული. კულტურის სახელწოდება თრიალეთის პლატოზე გათხრილი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლიდან იღებს სათავეს [Куфтин 1936; Куфтин 1937; Куфтин 1938; Куфтин 1941; Куфтин 1947; Куфтин 1948; Куфтин 1949; კუფტინი 1949; გოგაძე 1972; Жоржикашвили, Гогадзе 1972], რამდენადაც პირველად აქ იქნა მიკვლეული შუა ბრინჯაოს ხანის პირველი და მეტად საყურადღებო ძეგლები.

ბ. კუფტინის მიერ XX საუკუნის 30-40-იან წლებში ჩატარებული სამუშაოების დროს სხვადასხვა ეპოქის მრავალი არქეოლოგიური ძეგლი იქნა დაფიქსირებული. შემდეგში რეგიონის არქეოლოგიურ შესწავლას თრიალეთის (ხელმძღვ. ო. ჯაფარიძე. სწავლობდა შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებს), სამხრეთ საქართველოს (ხელმძღვ. მ. გაბუნია. შეისწავლა ქვის ხანის ძეგლები) და წალკა-თრიალეთის (ხელმძღვანელი გ.ნარიშანიშვილი) ექსპედიციები ანხორციელებდნენ [ამირანაშვილი, ნარიშანიშვილი 2005; Амиранашвили, Нариманишвили 2005].

სხვა ეპოქის ძეგლებთან ერთად ექსპედიციებს შესწავლილი აქვთ გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის (ძვ.წ. 1700-1400 წწ.), გვიანი ბრინჯაოს ხანის (ძვ.წ. XIV-X სს.), ადრერკინის ხანისა (ძვ.წ. IX-VIII სს.) და რკინის ფართო ათვისების ხანის (ძვ.წ. VII-VI სს.) არქეოლოგიური ძეგლები. მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავიათ ბარეთის, ელი-ბაბას, ახალდაბის, სანთის, აშკალას, გუმბათის, ავრანლოს, ოზნის და ნარდევანის “ციკლოპურ” სიმაგრეებსა და ნამოსახლარებს, წინწაროს, სანთის, მარალინ-დერესის, თაქქილისას, დარაკოვის, ბეშთაშენის, საფარ-ხარაბასა და ელი-ბაბას სამაროვნებს [ნარიშანიშვილი 1991; ნარიშანიშვილი 2005; ნარიშანიშვილი 2006; ნარიშანიშვილი 2007; ნარიშანიშვილი 2008; მურვანიძე 2005; მურვანიძე 2008].

ანტიკური ხანის ძეგლები მიკვლეული და ნაწილობრივად შესწავლილი ბეშთაშენში, სანთაში, ნერონ-დერესის ხევის პირთან, კარიაკში და სხვ. [გაგოშიძე 1982; დავლიანიძე 1983;].

ადრეულ შუასაუკუნეებში წალკის ტერიტორია ინტენსიურადაა ათვისებული. ახალი რელიგიის - ქრისტიანობის შემოღებასთან ერთად რეგიონში იწყება დიდი სააღმშენებლო საქმიანობა, რომელიც განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდება IX საუკუნიდან. ამ დროიდან თრიალეთი განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის. მისი მმართველები, ბაღვაშები, საქართველოს სამეფო ტახტის დაკავებას ცდილობდნენ, რომელთა სეპარატისტულ ქმედებასაც დავით აღმაშენებელმა დაუსვა წერტილი. დავითის შემდეგ თრიალეთი სამეფო დომენად გამოცხადდა.

გვიან შუასაუკუნეებში მტერთა უსასრულო შემოსევების შედეგად თრიალეთი თანდათან გაუკაცრიელდა და XIX ს-ის დასაწყისისათვის მოსახლეობისაგან თითქმის დაიცალა.

საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლამ, წალკაშიც გამოიწვია ცვლილებები. კერძოდ, 1829 წლიდან მოკიდებული, რუსეთ-თურქეთის ყოველი ომის შემდეგ, ინტენსიურად ხდებოდა თურქეთში მცხოვრები ბერძნებისა და სომხების ჩამოსახლება.

დღეისათვის ბერძნული მოსახლეობა თავის ისტორიულ სამშობლოს (საბერძნეთს) უბრუნდება, მიმდინარეობს საქართველოს მთიან რეგიონებში სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის განსახლება.

32. წინა პერიოდში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების მოკლე მიმოხილვა.

სოფ. დარაკოვის მიმდებარე ტერიტორიაზე რამდენიმე არქეოლოგიური ობიექტია დაფიქსირებული:

წინწყაროს სამაროვანი. სამაროვანი მდებარეობს დარაკოვის ნამოსახლარის აღმოსავლეთით 2,5 კმ დაცილებით, სოფ. წინწყაროსთან. გაითხარა 1937 წელს ბ. კუფტინის ხელმძღვანელობით. სამაროვანზე მოპოვებული მასალის ნაწილი ბ. კუფტინმა გამოაქვეყნა [Куптин 1941]. მოგვიანებით გამოქვეყნდა კატალოგიც [მენაბდე, დავლიანიძე 1968].

თაქქილისას სამაროვანი სოფ. დარაკოვიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 2,0 კმ-ის დაცილებით სოფ. თაქქილისას კუთვნილ მინდორში გაითხარა. 1937-38 წწ ბ. კუფტინმა აქ ადრეანტიკური ხანის 70-მდე სამარხი გათხარა [Куптин 1937; [Куптин 1938]. არ არის გამორიცხული, რომ ეს სამაროვანი დარაკოვის ნამოსახლარის კუთვნილი იყოს.

ნასოფლარი ფარეხა უშუალოდ დღევანდელი სოფლის ტერიტორიაზე ფიქსირდება. ძველი სოფლიდან შემორჩენილია ეკლესია, მის ჩრდილოეთით შუასაუკუნეების ქვაყუთები შეინიშნება. მრავლადაა თიხაში ჩატრილი დარნები.

ნასოფლარი გველფარეხა დარაკოვის ნამოსახლარის აღმოსავლეთით 0,5 კმ დაცილებით. ნასოფლარი დარაკოვი-წინწყაროს დამაკავშირებელი გზით არის გატრილი. გზის პირებში შეინიშნება სახლების საფუძვლები და მძლავრი კულტურული ფენები. გზის ჩრდილოეთით 30 მ დაცილებით მცირე ბორცვია, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით ეკლესია მდგარა.

4.0. მეთოდოლოგია

4.1. საველე მეთოდები

დარაკოვის ნამოსახლარის გათხრა 2008 წლის 1 სექტემბერს დაიწყო და 16 ოქტომბრის ჩათვლით მიმდინარეობდა.

სულ გაითხარა 300 კვ. მ. ფართობი (სურ. 6, 7).

ნამოსახლარი ჩვენს მიერ შესასწავლად შერჩეულ ფართობს დიდად სცილდება და 20 ჰა ფართობს მოიცავს.

მთელი ეს ტერიტორია აიგეგმა ტოპოგრაფიულად (სურ. 6). დაიფარა ნაკვეთების და კვადრატების ბადით (სურ. 7), დაინომრა I-XL ნაკვეთი, რომელთა ზომებია 18x24 გასათხრელ ფართობში მოქცეული ნაკვეთები 6x6 კვადრატებად დაიყო, საჭიროების შემთხვევაში კვადრატები 2x2 მ და 1x1 მ მონაკვეთებად დანაწილდა.

კულტურული ფენების გამოვლენის მიმინთ მოისხნა ბუნებრივი საფარი (ნიადაგის ზედა ფენა). სახლების კონტურების გამოვლენამდე იხსნებოდა 0,1 – 0,15 მ სისქის ფენა, სახლების იატაკის გამოვლენა ხდებოდა დანის, ლანცეტისა და ფუნჯის მეშვეობით. ფენები ინომრებოდა ზევიდან ქვევით.

საველე სამუშაოების მიზანს წარმოადგენდა სოფ. დარაკოვის ტერიტორიაზე არსებული კარიერის ზონაში გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება.

საველე სამუშაოების ვადა თავდაპირველად 30 (ოცდაათი) სამუშაო დღით განისაზღვრა (I ეტაპი). იმის გამო, რომ გათხრების შედეგად მნიშვნელოვანი ობიექტები გამოვლინდა, მათი კონსერვაციის მიზნით საველე სამუშაოები 6 (ექვსი) დღით გახანგრძლივდა (II ეტაპი).

I ეტაპის სამუშაოები 2008 წლის 1 სექტემბრიდან 04 ოქტომბრამდე მიმდინარეობდა, II ეტაპისა კი 06-11 ოქტომბერს განხორციელდა.

გათხების შედეგად მოპოვებული რამდენიმე ათასი არტეფაქტის ტრანსპორტირებისათვის მოსამზადებლად ექსპედიციის წევრებს 4 (ოთხი) დღე დასჭირდათ. ამის გამო ექსპედიცია თბილისში 16 ოქტომბერს დაბრუნდა.

I ეტაპის სამუშაოებში მონაწილეობდნენ ექსპედიციის ხელმძღვანელი; ორი არქეოლოგი; სამი ასისტენტი; ტოპოგრაფი; მხატვარი; 12 მუშა.

II ეტაპზე - ექსპედიციის ხელმძღვანელი, ერთი არქეოლოგი, ერთი ასისტენტი, ერთი არქიტექტორი და 6 მუშა.

დარაკოვის ნამოსახლარის გათხრებში მონაწილეობა მიიღეს:

10. ნარიმანიშვილი გოდერძი – ხელმძღვანელი (36 სამუშაო დღე).
11. დავლიანიძე რევაზი – არქეოლოგი (36 სამუშაო დღე).
12. შანშაშვილი ნინო – არქეოლოგი (30 სამუშაო დღე).
13. მურვანიძე ბიძინა - ასისტენტი (36 სამუშაო დღე).
14. კვაჭაძე მარინე – ასისტენტი (30 სამუშაო დღე).
15. სადრაძე ვაჟა – ასისტენტი (22 სამუშაო დღე).
16. შატბერაშვილი ვახტანგი (8 სამუშაო დღე).
17. თევზაძე ალექსანდრე – ტოპოგრაფი (10 სამუშაო დღე).
18. ტატიშვილი გიორგი – მხატვარი (36 სამუშაო დღე).

რუკები შედგა ტოპოგრაფის მიერ შესაბამისი ინსტრუმენტების (ნიველირი, კიპრეგელი) გამოყენებით. რუკაზე დატანილი იქნა რელიეფი, ნაკვეთების ბადე, დაფიქსირდა მყარი ნულოვანი წერტილი. გათხრის პროცესში, ყველა უბანზე დაფიქსირდა სათადარიგო ნულოვანი წერტილიც, რომელიც ძირითად ნულოვან წერტილზე იქნა მიბმული.

შედგა შესაბამისი გეგმები. ყველა სახლი და დეტალი არქიტექტორის მიერ იქნა ჩახატული.

ფოტოფიქსაცია მიმდინარეობდა ყოველდღიურად. ფიქსირდებოდა როგორც სამუშაო სიტუაცია, ისე განათხარი ძეგლების მდგომარეობა – დილით, გათხრების დაწყებიდან 3-4 საათის შემდეგ და სამუშაო დღის ბოლოს. ხდებოდა დაფიქსირებული სიტუაციის დეტალური ფოტოგადაღება. ფოტოფიქსაცია ხდებოდა ციფრული აპარატის, ნეგატიური და პოზიტიური ფირების საშუალებით.

ნამოსახლარის ტერიტორიიდან, სახლებიდან და სამეურნეო ორმოებიდან აღებული იქნა ნიმუშები პალინოლოგიური და პალეოზოოლოგიური კვლევისათვის (ლაბორატორიული კვლევის შედეგები იხ. დანართები D, E).

მიწის ნიმუშები აიღეს არქეოლოგებმა, სტერილური დანით ხდებოდა 500-1000 გრამი მიწის აღება, რომელიც თავსდებოდა ელვაშესაკრავიან პოლიეთილენის პარკებში. ნიმუშები ლაბორატორიული დამუშავებისათვის გადაეცა პალინოლოგს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს ელ. ყვავაძეს.

(იხ. დანართი E1, E2).

პალეოზოოლოგიური მასალა. ცხოველთა ძეგლები აღებულ იქნა არქეოლოგების მიერ, შეიფუთა და ჩამოტანილ იქნა აკც-ს ლაბორატორიაში. ნიმუშები ლაბორატორიული შესწავლისათვის გადაეცა ზოოლოგს, ბიოლოგიის დოქტორს ო. ბენდუქიძეს (იხ. დანართი D1, D2).

4.2. ლაბორატორიული სამუშაოების მეთოდები

სამაროვანზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული არტეფაქტები გაირეცხა, ნაწილს გამოეცვალა ეტიკეტი, არტეფაქტები (კერამიკა) მომზადდა სარესტავრაციოდ, რომელთაგან მხოლოდ ნაწილი იქნა აღდგენილი.

არტეფაქტები დაჯგუფდა სახლებისა და ტიპოლოგიური ნიშნების მიხედვით.

ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების შემდეგ მიღებული მონაცემები დამუშავებულია კომპიუტერულ ფაილებად Exell, Word პროგრამებში.

ლაბორატორიული სამუშაოების დამთავრების შემდეგ მასალა გადაეცემა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს.

პალინოლოგიური მასალის დამუშავების მეთოდი.

მიწის ნიმუშები დამუშავდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლ. დავითაშვილის სახელობის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის პალეობოტანიკური განყოფილების პალინოლოგიურ ლაბორატორიაში ლაბორანტ თამარ სახუტაიშვილის დახმარებით და ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ელისო ყვავაძის ხელმძღვანელობით.

პალინოლოგიური დამუშავების მეთოდის მიხედვით პირველ დღეს 50-80 გრამი მიწის ნიმუში 5 წუთის განმავლობაში ტუტეში (KOH) მოიხარშება და მტვრის მარცვლების დალექვის მიზნით 24 საათის განმავლობაში დადგება. შემდეგ ეტაპზე მოხდება მასალის ცენტრიფუგირება ჯერ დისტილირებულ წყალში და შემდეგ კადმიუმის სითხეში, რის შემდეგაც ისევ მოხდება ნიმუშის დაყენება 24 საათის განმავლობაში. შემდეგი ეტაპი აცეტოლიზს დაეთმობა. მტვრის მარცვლების შეღებვის შემდეგ მოხდება მასალის ცენტრიფუგირება ჯერ ძმარმუავაში, მერე კი დისტილირებულ წყალში.

მასალის იდენტიფიკაცია გლიცერინზე დამზადებულ დროებით პრეპარატზე მოხდება: თითოეული ნიმუშიდან დაითვლება მტვრის მარცვლები და სპორები ლეიტცის გერმანული ფირმის მიკროსკოპით (სერიის ნომერი Wetzlar № 522929), მოხდება მტვრის მარცვლებისა და სპორების იდენტიფიკაცია დღეს არსებული პალინოლოგიური ატლასებითა და თანამედროვე მტვრის ეტალონური პრეპარატებით, შედგება პალინოლოგიური დიაგრამები ყველა კომპონენტის პროცენტთა შემადგენლობის აღნიშვნით (ტაქსონების პროცენტები დაითვლება მტვრისა და სპორების საერთო ჯამიდან).

შესწავლილი პალინოლოგიური მასალის გადაღება მოხდება Minolta-ს ფირმის დიგიტალური ფოტოაპარატით. შესწავლილი ნიმუშები შეინახება პალეობიოლოგიის ინსტიტუტის პალინოლოგიურ კოლექციაში (დაწვრილებით ის. დანართი E1).

ოსტეოლოგიური მასალის დამუშავების მეთოდი.

დარაკოვის ნამოსახლარზე მოპოვებული ოსტეოლოგიური მასალა გაირეცხა. შემდგომი დამუშავების დროს შედარებული იქნა თანამედროვე ოსტეოლოგიური მასალის ატლასებთან და კატალოგებთან, მოხდა მათი იდენტიფიკაცია (დაწვრილებით ის. დანართი D1).

დამუშავებული მასალა შეინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრში.
ნიადაგის ნიმუშების, ძვლოვანი მასალის პროცესირებისა და ანალიზის მეთოდების
დაწვრილებითი აღწერა იხილეთ დანართები: D1, E1.

5.0. შედეგები

5.1. ძირითადი მონაცემების მოკლე მიმოხილვა, შესწავლილი ტერიტორიის ზომები და გაჭრილი თხრილების საერთო რაოდენობა:

- ა). გათხრილი ფართობის ზომებია 750 კვ.მ. (სურ. 272, 273, 274)
- ბ). გამოვლენილია 9 ნაგებობა, 2 ხარო და 20 სამეურნეო ორმო.
- გ). პალინოლოგიური შესწავლისათვის აღებული იქნა 40 ნიმუში,
- დ) ნამოსახლარზე მოპოვებულია 8687 არტეფაქტი, რომელთაგან 819 თიხის ჭურჭელია (6 380 ფრაგმენტი); ლითონის 8 ნივთი; ქვის 263 იარაღი.
- ე) ნამოსახლარი ერთფენიანია.

5.2 ძეგლები:

სახლი № 1.

სახლი № 1 მდებარეობს XXVII ნაკვეთის მე-4-9 კვადრატებში, დამსრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ნაგებობა დაზიანებულია ხევის მიერ (სურ. 5, 272, 274). ვიზუალური დათვალიერებისას ჭრილში კარგად ჩანდა კედლებისა და იატაკის ნაშთი (სურ. 8,9). მოიხსნა ზედა ფენა და გამოვლინდა კედლების ჩატკევის შედეგად წარმოქმნილი ინტენსიური ქვყრილი, რომელიც დიდი და საშუალო ზომის ქვებისგან შედგებოდა (სურ. 10).

ქვყრილის ალაგების შემდეგ დაფიქსირდა 0.4 – 0.5 მ სისქის ფენა, რომელიც აღარ შეიცავდა ქვებს. სამაგიეროდ დაფიქსირდა დამწვარი ალიზის, მიწის და ძელების ნაშთების შემცველი ფენა (სურ. 11, 12; 17, 18).

დამწვარ ფენაში დაფიქსირდა ძელების სამი ღონე. ზედა ღონე იატაკიდან 0.4 მ-ის სიმაღლეზეა და 0.15-0.2 მ დიამეტრის ძელებისაგან შედგება (სურ. 13-14). ძელებისა და შესაბამისი ღონის მოხსნის შემდეგ დაფიქსირდა საშუალო ღონე, რომელიც იატაკიდან 0.2 მ-ის სიმაღლეზე გაიწმინდა. ეს ღონე ისეთივე ძელებს შეიცავს, როგორც ზედა ღონეზე გვხვდებოდა. აქვე დაფიქსირდა წვრილი ტოტებისა თუ წნელების ანაბეჭდები, რომელთა დიამეტრი 0.03 მ-ს არ აღემატებოდა (სურ. 15). ქვედა ღონე უშუალოდ იატაკზე დაფიქსირდა. აქ გამოვლენილი ძელების დიამეტრი 0.2-0.3 მ-ს უდრის. მსხვილი ძელები დაფარული იყო ტოტებისა თუ ძელების 0.05-0.08 მ-ის სისქის ფენით (სურ. 17, 22, 23).

სახლი ნაგებია დიდი და საშუალო ზომის ქვით (სურ. 19). გაიწმინდა ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთი, ჩრდილო-დასავლეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი კედლები (სურ. 63, 64).

ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის სიგრძეა 7.50 მ, სიგანე – 0.60 მ. შემორჩენილია ქვის წყობის 5 რიგი. ეს კედელი № 1 სახლის სხვა კედლებთან შედარებით მაქსიმალურ სიმაღლეზეა (1.20 მ) შემორჩენილი (სურ. 33-35).

ჩრდილო-დასავლეთი კედლის საერთო სიგრძე 8 მ ყოფილა. ქვის წყობა შემორჩენილია ცენტრალურსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. კედლის შემორჩენილი ნაწილის სიგრძე 5.30 მ-ია, სიგანე - 0.50 მ. კედლის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ყველაზე მეტადაა დაზიანებული.

სამხრეთ-დასავლეთი კედელი ყველაზე ძლიერაა დაზიანებული. ქვის წყობის ნაშთი შემორჩენილია კედლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. კედლის შემორჩენილი სიგრძეა 4.30 მ-ია, სიგანე - 0.45 მ. კედლის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი კი ეროზიულ პროცესს დაუზიანებია.

სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის სიგრძე 5.20 მ-ია, სიგანე - 0.40 მ, შემორჩენილი სიმაღლე - 0.94 მ. პოლიგონალურ კედელში, რომელზეც შემორჩენილია ქვის წყობის ოთხი რიგი, კედლის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი სრულიადაა განადგურება. კედლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, აღმოსავლეთ კუთხესთან გაჭრილია საკარე ღიობი (სიგანე - 0.58 მ). სახლში შესასვლელის სრულად გათხრა ვერ მოხერხდა. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ის საკმაოდ გრძელი უნდა იყოს (სურ. 30-32).

სახლის ჩრდილო ნაწილი, ჩრდილოეთი კუთხე და მიმდებარე ჩრდილო-დასავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის ნაწილი ადრევე, სახლის ფუნქციონირებისას ჩანს დაზიანებული. განახლების დროს ადრეული (ძველი) კედლის დაზიანებული ნაწილი ადგილზე დაუტოვებიათ და ინტერიერის შემცირების ხარჯზე ახალი კედლები ამოუყვანიათ (სურ. 24-26).

ამ დროს უნდა მოეზღუდათ სახლის ჩრდილოეთი ნაწილიც. ზღუდე მაღალი არ არის. იგი ძირითადად, შედგენილია ცერზე დაყენებული ქვის ფილებით, რომელთა სიმაღლე 0.30-0.70 მ უდრის. შემოზღუდული ადგილის ფართობი 10 მ² შეადგენს (სურ. 27-29).

ამავე დროს ჩანს განახლებული იატაკიც, ზღუდის შიგნით მოქცეული ნაწილი ქვის ფილებით ყოფილა მოგებული, რომელიც იატაკის განახლების შემდეგ, თიხატკეპნილი იატაკის ქვეშ მოექცა.

ზღუდე უშუალოდ ებჯინება აღმოსავლეთ კედელს, ჩრდილოეთის კედელთან კი ისეა გამართული, რომ მის გასწვრივ არსებულ „მერხს“ ორად ყოფს (სურ. 39).

ნაგებობის ფართობი დაახლოებით 52.6 მ² შეადგენს. ინტერიერი მარტივია, ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ღუმელია გამართული, დასავლეთ კედელზე საკურთხეველია მიდგმული, ჩრდილოეთი კედელს, ღუმელის გაყოლებით, ქვით აშენებული და თიხით გადალესილი მერხი მიუყვება (სურ. 38).

იატაკის ერთი ნახევარი თიხატკეპნილია, მეორე ნახევარი ქვაფენილიანია (სურ. 20, 21). ქვაფენილი ძირითადად სახლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გაიწმინდა, დანარჩენი ფართობი თიხაფენილ იატაკს ეკავა.

როგორც ჩანს, სახლს ბანური გადახურვა ჰქონდა, რომელიც საგარეოდ ეყრდნობოდა კედლისპირა სვეტებს – პილასტრებს და შუა ბოძებს. ერთი ასეთი შუაბოძის ბალიშად მივიჩნიეთ სახლის დასავლეთ ნაწილში (სურ. 23), საკურთხეველსა და ღუმელს შორის გამოვლენილი ბაზალტის ბრტყელი ფილა (0.40 x 0.50).

ღუმელის ნაშთი აღმოჩნდა სახლის დასავლეთ კუთხესთან. ზურგიით მიდგმული ყოფილა ჩრდილო-დასავლეთ კედელზე. ღუმელის ზურგი მხარე რიყის რამდენიმე ქვით იყო ამოყვანილი (ამოშენებული). ძლიერ დაზიანებული ღუმელი მეტის თქმის საშუალებას არ იძლევა (სურ. 37). ღუმელზე მარჯვნიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, მიდგმული აქვს თარო (მერხი), რომელიც სახლის ჩრდილო-დასავლეთი კედლის გასწვრივ გაუმართავთ. შემორჩენილი სიგრძეა 4.40 მ-ია, სიგანე – 0.36-0.60 მ, სიმაღლე - 0.30-0.45 მ. თაროს, რომელიც ქვით თიხაზეა ნაგები, პირიმხარეს კუთხეში ჩაშენებული აქვს ხის ძელი. თარო ერთიანად ბათქაშითაა გადალესილი და სახლის კედელთან ცერადაა აღესილი.

სახლის სამხრეთ-დასავლეთ კედელთან, თითქმის შუა ნაწილში, გაიწმინდა კარგად დაცული, წაგრძელებული ფორმის, ოდნავ ასიმეტრიული საკურთხეველი. ქვით თიხაზე ნაგები საკურთხევლის კონსტრუქციაში ნაპირებთან ჩართულია ხის ძელები და ერთიანად ბათქაშითაა შელესილი. საკურთხევლის ზომებია: სიგრძე - 2.72 მ, სიგანე - 1.12 მ, სიმაღლე - 0.48 მ. (სურ. 36, 40-43)

საკურთხევლის ზედაპირი, ჩრდილო-აღმოსავლეთ ნახევარზე, თანაბრადაა ჩაზნექილი და კარგადაა მოლესილი. აქ, ცენტრალურ ნაწილში, დადასტურდა მცირე ზომის ძაბრისებური ორმო (დმ – 0.22 მ), რომელსაც ზედაპირთან ქვები ჰქონდა შემოწყობილი. ორმოს პირთან, სამხრეთ-დასავლეთით გაიწმინდა ქვის მასიური ფილა (სურ. 47, 48).

საკურთხევლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ჩრდილო-დასავლეთი მხრიდან აქვს თახჩა (ზომები: 1.16 x 0.40 x 0.30 მ). საკურთხეველს ჩრდილო-დასავლეთიდან ებჯინება, აქვს ქვატალახით ნაგები თარო (1.36 x 0.34-0.46 x 0.30 მ), რომელიც სამხრეთ-დასავლეთ კედელზეა მიდგმული, თაროზე რიყის ქვის სანაყებია დაწყობილი (სურ. 45, 46).

საკურთხევლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 1.3 მ-ის დაშორებით, გაიწმინდა ხარო, რომლის კედლებიც ბაზალტის ფილებითაა მოპირკეთებული. მისი ზომებია: პირის დმ – 0.84 მ, ძირის დმ – 0.70 მ, სიღრმე – 0.84 მ. ხაროს იატაკის ფილები ფარავდა (სურ. 57, 58).

საკურთხევლის უკან, სამხრეთ-აღმოსავლეთით გაიწმინდა სამალავი, რომელიც დაფიქსირდა საკურთხევლიდან 0.80 მ-ის დაშორებით, ფილაქვით მოგებული სარეცლის ქვეშ (სურ. 52, 53). აქ აღმოჩნდა 0.30 მ დიამეტრის მქონე ხის ძელის ანაბეჭდი. ძელი სიგრძივ, დიამეტრზე იყო გაჭრილი, შუა ნაწილი ისე იყო ამოღებული, რომ ვარცლის ფორმა ჰქონდა მიღებული. ძელის სიგრძე – 0.50-0.60 მ-ია, სიგანე – 0.30-

0.40 მ. სამალავში დაფიქსირებული ძელის ნაშთი კარგად იყო დაცული (სურ. 54-56). სამალავი ქვის ფილით ორად იყო გაყოფილი. ერთ განყოფილებაში კერამიკის ფრაგმენტები აღმოჩნდა (სურ. 53).

სახლის თიხატკეპნილ იატაკზე მრავლად დაფიქსირდა სხვადასხვა ზომისა და ფორმის თიხის ჭურჭლის ანაბეჭდები (სურ. 49-51).

ინტერიერში ძველი ფენებიც დადასტურდა. კერძოდ, საკურთხევლის წინ გაიწმინდა ორმოს ნაშთი, რომლის დმ – 0.92 მ, სიღრმე – 0.20-0.30 მ. მასში ისეთივე სახის კერამიკა აღმოჩნდა, როგორც სახლის იატაკზე. თუმცა, ორმო სახლის თიხატკეპნილი იატაკით იყო დაკონსერვებული (სურ. 59).

უფრო ძველი ორმოები (იხ. №№ 15, 16 ორმოების აღწერილობა) სახლის დასავლეთი კედლის ქვეშ დაფიქსირდა (სურ. 60-62).

№ 1 სახლში აღმოჩნდა:

I. კერამიკა

1. მოყავისფროდ გამომწვარი კათხის ფრაგმენტი, ზედაპირი მოჩაღისფროდაა ნაპრიალები, ძირი ხაოიანი აქვს, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან (ინვ. № 38; სურ. 297, 3).
2. მოყავისფროდ გამომწვარი, უხეშად ნაძერწი სასმისის ფრაგმენტი (ინვ. № 39; სურ. 297, 4).
3. მოყავისფროდ გამომწვარი ჭურჭლის ფრაგმენტი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, ანგობით დაფარული ზედაპირი წითლადაა მოხატული (ინვ. № 40; სურ. 298, 5).
4. მოყავისფროდ გამომწვარი ოთხკუთხა ჯამის ფრაგმენტი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან (ინვ. № 42; სურ. 297, 5).
5. მოყავისფროდ გამომწვარი, ხელით ნაძერწი მცირე ზომის ჯამის ფრაგმენტი (ინვ. № 43; სურ. 297, 2).
6. მოყვითალოდ გამომწვარი, წითლად მოხატული ჭურჭლის ფრაგმენტი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან (ინვ. № 49; სურ. 298, 3).
7. მოყვითალოდ გამომწვარი, წითლად მოხატული ჭურჭლის ფრაგმენტი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან (ინვ. № 51; სურ. 298, 2).
8. მოყავისფროდ გამომწვარი კონუსისებრი ნივთი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, ზედაპირზე შეიმჩნევა ანგობის კვალი (ინვ. № 52; სურ. 298, 8).
9. შავად გამომწვარი მცირე ზომის ჭურჭელი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან (ინვ. № 53; სურ. 297, 1).
10. მოყავისფროდ გამომწვარი ალიზის შეღესილობის ფრაგმენტი (ინვ. № 54; სურ. 298, 10).
11. მოყავისფროდ გამომწვარი, წითლად შეღებილი ჯამის ფრაგმენტი (ინვ. № 55; სურ. 292, 2).

12. მოყავისფროდ გამომწვარი, წითლად შეღებილი ფიალის ფრაგმენტი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან (ინვ. № 56; სურ. 292, 1).
13. მონაცრისფროდ გამომწვარი, წითლად მოხატული ჯამის ფრაგმენტი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან (ინვ. № 57; სურ. 292, 3).
14. მოყავისფროდ გამომწვარი, წითლად შეღებილი ჯამის ფრაგმენტი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან (ინვ. № 58; სურ. 292, 4).
15. მოწითალოდ გამომწვარი, წითლად შეღებილი დერგის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 59; სურ. 286, 2).
16. მოწითალოდ გამომწვარი, წითლად შეღებილი დერგის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 61; სურ. 286, 3).
17. მოწითალოდ გამომწვარი, მოყავისფროდ შეღებილი დერგის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 62; სურ. 286, 4).
18. მოწითალოდ გამომწვარი, წითლად შეღებილი ჭურჭლის ძირი (ინვ. № 265).
19. მოწითალოდ გამომწვარი, წითლად შეღებილი ქილის ფრაგმენტი (ინვ. № 66; სურ. 297, 8).
20. მოხალისფროდ გამომწვარი, წითლად მოხატული ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 68; სურ. 298, 1).
21. მოყვითალოდ გამომწვარი, ზედაპირნაპრიალები ჭურჭლის ფრაგმენტი, შემკულია ამოღარული ორნამენტით (ინვ. № 71).
22. მოვარდისფროდ გამომწვარი ჭურჭლის ფრაგმენტი, თეთრი ანგობით დაფარული ზედაპირი წითლადაა მოხატული (ინვ. № 83; სურ. 298, 4).
23. მოყვითალოდ გამომწვარი დოქი, ტანზე გამჭოლი ნახვრეტებით (ინვ. № 84; სურ. 290).
24. შავად გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი (ინვ. № 89; სურ. 293, 4).
25. მონაცრისფროდ გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი, ზედა და შიდაპირი შავადაა ნაპრიალები (ინვ. № 90; სურ. 293, 5).
26. მონაცრისფროდ გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი (ინვ. № 91; სურ. 293, 1).
27. მონაცრისფროდ გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი, გვერდზე გამჭოლი ნახვრეტი აქვს (ინვ. № 92; სურ. 293, 2).
28. მონაცრისფროდ გამომწვარი ჯამის პირის ფრაგმენტი, ზედა და შიდაპირი რუხი აქვს (ინვ. № 93; სურ. 295, 9).
29. მონაცრისფროდ გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი, ზედაპირზე ნაპრიალები ზოლი აქვს (ინვ. № 94; სურ. 292, 7).
30. შავად გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი (ინვ. № 95).
31. შავად გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი (ინვ. № 96).
32. მოყავისფროდ გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი (ინვ. № 97).
33. შავად გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი (ინვ. № 98; სურ. 293, 6).
34. მონაცრისფროდ გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი, ზედაპირი შავად აქვს ნაპრიალები (ინვ. № 99).
35. მონაცრისფროდ გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი, ზედა და შიდაპირი მოყავისფრო აქვს (ინვ. № 100).
36. რუხად გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი, ზედა და შიდაპირი შავი აქვს (ინვ. № 101).
37. შავად გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი (ინვ. № 102).

38. რუხად გამომწვარი, შავზედაპირიანი ჯამის ფრაგმენტი (ინვ. № 103).
39. რუხად გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი, ზედაპირი ხაოიანი აქვს (ინვ. № 105).
40. მოყავისფროდ გამომწვარი, ზედაპირნაპრიალები ჯამის ფრაგმენტი (ინვ. № 106).
41. რუხად გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი, შავად ნაპრიალები ზედა და შიდაპირი აქვს (ინვ. № 107).
42. მოყავისფროდ გამომწვარი, შავად ზედაპირნაპრიალები ჯამის ფრაგმენტი (ინვ. № 108).
43. რუხად გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი, ზედა და შიდაპირი მოყავისფრო აქვს (ინვ. № 109).
44. რუხად გამომწვარი ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 110; სურ. 291, 11).
45. რუხად გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი (ინვ. № 111; სურ. 292, 8).
46. შავად გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი (ინვ. № 112).
47. რუხად გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი, ზედაპირი მოშავო-მოყვითალო აქვს (ინვ. № 113).
48. შავად გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი (ინვ. № 114; სურ. 293, 3).
49. მოყავისფრო-რუხად გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი (ინვ. № 115; სურ. 296, 2).
50. რუხად გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი (ინვ. № 116; სურ. 296, 4).
51. მოყავისფრო-რუხად გამომწვარი ჯამის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 117; სურ. 296, 3).
52. მონაცრისფროდ გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი, ზედა და შიდაპირი რუხი აქვს (ინვ. № 118; სურ. 294, 8).
53. რუხად გამომწვარი ჯამის პირის ფრაგმენტი, ზედა და შიდაპირი შავი აქვს (ინვ. № 119; სურ. 295, 7).
54. მონაცრისფროდ გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი, ზედა და შიდაპირი რუხი აქვს (ინვ. № 120; სურ. 294, 2).
55. მონაცრისფროდ გამომწვარი ჯამის პირის ფრაგმენტი, ზედა და შიდაპირი მოყავისფრო აქვს (ინვ. № 121; სურ. 295, 10).
56. რუხად გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი, შავ ზედაპირზე ნაკაწრები აქვს (ინვ. № 122).
57. რუხად გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი, ზედა და შიდაპირი შავი აქვს (ინვ. № 123; სურ. 294, 3).
58. შავად გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი, ზედა და შიდაპირი ნაპრიალები აქვს (ინვ. № 124; სურ. 294, 1).
59. რუხად გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი, ზედა და შიდაპირი შავი აქვს (ინვ. № 125).
60. რუხად გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი, ზედა და შიდაპირი შავი აქვს (ინვ. № 126).
61. რუხად გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი, ზედა და შიდაპირი შავი აქვს (ინვ. № 127).
62. რუხად გამომწვარი ჯამის პირის ფრაგმენტი, ზედა და შიდაპირი მოყვითალო აქვს (ინვ. № 128; სურ. 295, 6).
63. რუხად გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი, ზედა და შიდაპირი შავი აქვს (ინვ. № 129; სურ. 294, 4).
64. რუხად გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი, ზედა და შიდაპირი შავი აქვს (ინვ. № 130; სურ. 294, 5).
65. მონაცრისფროდ გამომწვარი, შავად ზედაპირნაპრიალები ჭურჭლის ფრაგმენტი, შემკულია ამოღარული ორნამენტით (ინვ. № 132).

66. მონაცრისფროდ გამომწვარი, შავად ზედაპირნაპრიალები ჭურჭლის ფრაგმენტი, შემკულია რელიეფური ორნამენტით (ინვ. № 133; ტაბ. 1-25, 16).
67. მონაცრისფროდ გამომწვარი, ზედაპირნაპრიალები ჭურჭლის ფრაგმენტი, შემკულია ამოღარული და ნაპრიალები ორნამენტით (ინვ. № 135).
68. მონაცრისფროდ გამომწვარი, ზედაპირნაპრიალები ჭურჭლის ფრაგმენტი, შემკულია ამოღარული ორნამენტით (ინვ. № 136).
69. მონაცრისფროდ გამომწვარი, შავად ზედაპირნაპრიალები ჭურჭლის ფრაგმენტი, შემკულია რელიეფური ორნამენტით (ინვ. № 137).
70. მონაცრისფროდ გამომწვარი, ზედაპირნაპრიალები ჭურჭლის ფრაგმენტი, შემკულია ამოღარული ორნამენტით (ინვ. № 138).
71. შავად გამომწვარი ზედაპირნაპრიალები ჭურჭლის ფრაგმენტები, შემკულია რელიეფური და ნაპრიალები ორნამენტით (ინვ. № 139).
72. რუხად გამომწვარი ყურიანი ქოთნის ფრაგმენტები, დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი მინარეგებიანი თიხისაგან, უხეშადაა ნაძერწი (ინვ. № 140; სურ. 282, 4).
73. რუხად გამომწვარი ყურიანი ქოთნის ფრაგმენტები, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან შემკულია ნაპრიალები ხაზებით (ინვ. № 141; სურ. 282, 3).
74. მოყვითალოდ გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი, ზედა და შიდაპირი ნაპრიალები აქვს, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან (ინვ. № 142; სურ. 294, 6).
75. რუხად გამომწვარი, შავად ზედაპირნაპრიალები ჯამის ფრაგმენტი (ინვ. № 143; სურ. 292, 5).
76. შავად გამომწვარი, ხელით ნაძერწი დერგის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 144; სურ. 284, 7).
77. მონაცრისფროდ გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი, ზედა და შიდაპირი რუხი აქვს, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან (ინვ. № 145; სურ. 294, 7).
78. მოხალისფროდ გამომწვარი, წითლად მოხატული ჭურჭლის ფრაგმენტი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან (ინვ. № 147; სურ. 298, 6).
79. მოხალისფროდ გამომწვარი დერგის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 148; სურ. 285, 1).
80. მოხალისფროდ გამომწვარი დერგის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 149; სურ. 285, 2).
81. მოწითალოდ გამომწვარი, ყავისფერ ზედაპირიანი დერგის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 150; სურ. 283, 1).
82. მოხალისფროდ გამომწვარი დერგის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 151; სურ. 285, 5).
83. მოყავისფროდ გამომწვარი დერგის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 152).
84. მოხალისფროდ გამომწვარი დერგის პირის ფრაგმენტი, ზედა და შიდაპირზე ჩარხის კვალი ეტყობა (ინვ. № 153; სურ. 285, 3).
85. მოხალისფროდ გამომწვარი დერგის პირის ფრაგმენტი, ზედა და შიდაპირზე ჩარხის კვალი ეტყობა (ინვ. № 154; სურ. 285, 4).
25. ნახევრად ზრდასრული ცხვრის ან თხის ქვედა ყბის ნაწილი (ინვ. № Dar. zoo 246);
26. ძროხის ქვედა მოლარი (ინვ. № Dar. zoo 247), ზედა პრემოლარი (ინვ. № Dar. zoo 247ა),
27. ძროხის ქვედა ყბის ნაწილი (ინვ. № Dar. zoo 247ბ), ბეჭის ფრაგმენტები (2 ცალი, ინვ. № Dar. zoo 247გ,დ),
28. ძროხის II ფალანგა (ინვ. № Dar. zoo 247ე).

ორმო № 16.

მდებარეობს XXVII ნაკვეთის მე-7 კვადრატში (სურ. 272, 273, 274), № 15 ორმოს სამხრეთ-აღმოსავლეთით 1 მეტრის დაშორებით. № 16 ორმო დაფიქსირდა № 2 სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთის კედლის ქვეშ (სურ. 234, 235, 236). ორმოს პირის დმ-ია 1.30 მ, ძირის დმ – 1.60 მ, სიღრმე - 1.80 მ. (სურ. 237).

ორმოში აღმოჩნდა:

I. კერამიკა

1. შავად გამომწვარი პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1117; სურ. 243, 1).
2. მოჩაღისფროდ გამომწვარი ძირის ფრაგმენტები (ინვ. № 1118).
3. მოჩაღისფროდ გამომწვარი ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 1119).
4. რუხად გამომწვარი პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1120; სურ. 243, 3).

5. მოყავისფროდ გამომწვარი გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1121; სურ. 242, 9).
6. შავად გამომწვარი გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1122; სურ. 242, 8).
7. მოყავისფროდ გამომწვარი პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1123; სურ. 243, 5).
8. შავად გამომწვარი ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1124; სურ. 243, 7).
9. შავად გამომწვარი გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1125).
10. შავად გამომწვარი ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1126; სურ. 243, 6).
11. მოყავისფროდ გამომწვარი პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1127; სურ. 243, 2).
12. მონაცრისფროდ გამომწვარი გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № 1128; სურ. 242, 3).
13. მონაცრისფროდ გამომწვარი გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1129; სურ. 242, 4).
14. მოყავისფროდ გამომწვარი გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № 1130; სურ. 242, 2).
15. რუხად გამომწვარი გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № 1131).
16. რუხად გამომწვარი გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № 1132; სურ. 242, 10).
17. მონაცრისფროდ გამომწვარი პირ-გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № 1133; სურ. 243, 4).
18. მონაცრისფროდ გამომწვარი გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № 1134; სურ. 242, 7).
19. მონაცრისფროდ გამომწვარი ძირ-გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № 1135).
20. მოჩალისფროდ გამომწვარი ქუსლიანი ძირის ფრაგმენტები (ინვ. № 1136; სურ. 243, 9).
21. შავად გამომწვარი გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1137; სურ. 242, 11).
22. მონაცრისფროდ გამომწვარი გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1138; სურ. 242, 5).
23. მონაცრისფროდ გამომწვარი გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1139; სურ. 242, 6).
24. მოყავისფროდ გამომწვარი ძირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1140).
25. მოყავისფრო-რუხად გამომწვარი პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1141; სურ. 243, 8).
26. რუხად გამომწვარი ყურისა და გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1142; სურ. 242, 1).
27. მოჩალისფრო-რუხად გამომწვარი სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 1143).
28. შავად გამომწვარი სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 1144).
29. მონაცრისფროდ გამომწვარი გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1145).
30. ძვლის მახათი (ინვ. № 1146; სურ. 242, 13).
31. ბრინჯაოს საკინძი (ინვ. № 1147; სურ. 242, 12).

II. ქვის არტეფაქტები:

32. ობსიდიანის ანატკეცები (ინვ. № 1148).
33. რიყის ქვის სანაყი (ინვ. № 1149; სურ. 242, 14).

III. ოსტეოლოგიური მასალა:

34. თხის ფალანგა (ინვ. № Dar. zoo 248).
35. მეტატარზის ქვედა ბოლო (ინვ. № Dar. zoo 248ა).
36. ცხვრის ან თხის ზედა მოლარები (5 ცალი, ინვ. № Dar. zoo 249, 249ა,ბ,გ,დ).
37. ცხვრის ან თხის დიდი წვივის ძვლის ქვედა ბოლო (ინვ. № Dar. zoo 249ე).
38. ნახევრად ზრდასრული თხის ან ცხვრის იდაყვის ძვალი (ინვ. № Dar. zoo 250).
39. ნახევრად ზრდასრული თხის ან ცხვრის ბარძაყის ძვლის ქვედა ბოლო (ინვ. № Dar. zoo 250ა).
40. ძროხის მარჯვენა ზედა ყბა (ინვ. № Dar. zoo 251).

41. ძროხის ქვედა ბოლო მოლარი (ინვ. № Dar. zoo 251ა).
42. ძროხის ბეჭი (ინვ. № Dar. zoo 251ბ).
43. ძროხის წვივის დიდი ძვლის ფრაგმენტი (ინვ. № Dar. zoo 251გ).
44. ძროხის წვივის დიდი ძვლის ქვედა ბოლო (ინვ. № Dar. zoo 251დ).
45. ძროხის მეტატარზის ფრაგმენტი (ინვ. № Dar. zoo 251ე).
46. ძროხის კოჭი (ინვ. № Dar. zoo 251ვ).
47. ძროხის I ფალანგა (ინვ. № Dar. zoo 251ზ).
48. ძროხის კვირისტავი (ინვ. № Dar. zoo 251თ).
49. ძროხის ფეხის ძვალი (ინვ. № Dar. zoo 251ი).
50. ძროხის ქვედა საჭრელი კბილი (ინვ. № Dar. zoo 251კ).
51. ძროხის სარძევე ზედა კბილი (ინვ. № Dar. zoo 251ლ).
52. ძროხის მხრის ძვლის ქვედა ბოლო (ინვ. № Dar. zoo 251მ).

ორმო № 17.

მდებარეობს XX ნაკვეთის მე-4 კვადრატში (სურ. 272, 273, 274). პირის დმ-ია 0.90 მ. ორმო დაფიქსირდა № 5 სახლის სამხრეთ-დასავლეთის კედელში გაჭრილ შესასვლელში (სურ. 244, 245, 246). ორმოს სამხრეთი ნაწილი ჩატრილი აქვს სახლის სამხრეთ-დასავლეთ კედელს, ამიტომ ორმოს სიღრმე სამხრეთით 0.25 მ-ია, ხოლო ჩრდილოეთით - 0.38 მ. (სურ. 247).

ორმოში არტეფაქტები არ დადასტურებულა.

ორმო № 18.

მდებარეობს XX ნაკვეთის მე-8 კვადრატში (სურ. 272, 273, 274). ორმო დაფიქსირდა № 4 სახლის თიხატკეპნილი იატაკის ქვეშ (სურ. 248). ორმოს პირის დმ-ია 1.08 მ, ძირის დმ – 1.30 მ, სიღრმე – 1.65 მ. (სურ. 247).

ორმოში აღმოჩნდა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. 1150) და ოსტეოლოგიური მასალა: ხარის ან ძროხის შუბლის ძვლის მარჯვენა ნაწილი (ინვ. № Dar. zoo 252).

ორმო № 19.

მდებარეობს XX ნაკვეთის მე-8 და მე-9 კვადრატების საზღვარზე (სურ. 272, 273, 274). იგი აღმოჩნდა № 4 სახლის სამხრეთის კედლის ქვეშ (სურ. 248, 249, 250). ორმოს პირის დმ-ია 1.10 მ, ძირის დმ – 1.30 მ, სიღრმე – 1.55 მ. (სურ. 251)

ორმოში აღმოჩნდა:

I. კერამიკა

1. შავად გამომწვარი ჯამის ფრაგმენტი (ინვ. № 1151; სურ. 252; სურ. 257, 3), მონალისფროდ გამომწვარი გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1152; სურ. 258, 3),
2. მონალისფროდ გამომწვარი ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1153; სურ. 253; სურ. 257, 1),
3. რუხ-მონალისფროდ გამომწვარი პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1154),
4. მონალისფროდ გამომწვარი პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1155; სურ. 258, 1),
5. მონაცრისფროდ გამომწვარი ძირის ფრაგმენტი (ინვ. № 1156),
6. შავად გამომწვარი გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1157; სურ. 258, 2),
7. მონალისფროდ გამომწვარი პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 1158; სურ. 257, 2),
8. მოყავისფროდ გამომწვარი გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № 1159),
9. მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № 1160).

II. ქვის არტეფაქტები:

10. ობსიდიანის ანატკეცები (ინვ. № 1161).
11. ბაზალტის ხელსაფქვავე (ინვ. № 1162; სურ. 254; სურ. 258, 4).
12. ბაზალტის ხელსაფქვავეს ფრაგმენტი (ინვ. № 1163; სურ. 256; სურ. 258, 5).
13. რიყის ქვის სანაყი (ინვ. № 1164; სურ. 255; სურ. 258, 6).

III. ოსტეოლოგიური მასალა:

14. ბურვაკის მარცხენა ზედა ყბა (ინვ. № Dar. zoo 253).
15. ბურვაკის მეტაპოდიუმი (ინვ. № Dar. zoo 253ა).

16. თხის ან ცხვრის ქვედა ყბის ფრაგმენტი (ინვ. № Dar. zoo 254).
17. თხის ან ცხვრის ქვედა მოლარი (ინვ. № Dar. zoo 254ა).
18. თხის ან ცხვრის ბეჭი (ინვ. № Dar. zoo 254ბ).
19. ძროხის დიდი წვივის ქვედა ბოლო (ინვ. № Dar. zoo 255).
20. მეტატარხის ფრაგმენტი (ინვ. № Dar. zoo 255ა).
21. ზედა პრემოლარი (ინვ. № Dar. zoo 255ბ).
22. ხარის სხივის ძვლის ქვედა ბოლო (ინვ. № Dar. zoo 256).

ორმო № 20.

მდებარეობს XX ნაკვეთის მე-9 კვადრატში (სურ. 272, 273, 274), № 19 ორმოდან სამხრეთ-დასავლეთით 0.70 მ-ის დაცილებით (სურ. 259). ორმოს აქვს ცილინდრული ფორმა, მისი დმ-ია 1.00 მ, სიღრმე – 0.18 მ. (სურ. 251).

ორმოში აღმოჩნდა მოყავისფრო-რუხად გამომწვარი ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 1165; სურ. 258, 7) და ოსტეოლოგიური მასალა: თხის I და II ფალანგა (ინვ. № Dar. zoo 257, 257ა); ძროხის სხივის ძვლის ქვედა ბოლო (ინვ. № Dar. zoo 258).

ხარო № 1.

მდებარეობს XX ნაკვეთის მე-6 და XXVII ნაკვეთის მე-4 კვადრატების საზღვარზე (სურ. 272, 273, 274). ხაროს პირის დმ-ია 1.70 მ, ძირის დმ – 1.80 მ, ხოლო სიღრმე მიწის თანამედროვე ზედაპირიდან – 0.95 მ. ხარო წარმოადგენს გათლილი ქვებით, მშრალი წყობით ნაგებ, ცილინდრული ფორმის სათავსს (სურ. 260, 261, 262). შემორჩენილია კედლის წყობის 6 რიგი, რომლის სიმაღლე 0.80 მ-ია. ხაროს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი დაზიანებულია № 2 სახლის გამართვისას (სურ. 265, 267).

ხაროში აღმოჩნდა:

I. კერამიკა

1. მოვარდისფრო-მონალისფროდ გამომწვარი პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 943),
2. მონაცრისფროდ გამომწვარი გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 944),
3. მონალისფროდ გამომწვარი ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 945; სურ. 270, 3),
4. შავად გამომწვარი ძირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 946),
5. მონალისფროდ და მოყავისფროდ გამომწვარი სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 947).

II. ქვის არტეფაქტები:

6. ობსიდიანის ანატკეცები (ინვ. № 940, 948).

III. სამკაული:

7. მინისებრი პასტის მძივი (ინვ. № 941; სურ. 268; სურ. 270, 2),
8. ბრინჯაოს ზარაკი (ინვ. № 942; სურ. 268; სურ. 270, 1).

IV. ოსტეოლოგიური მასალა:

9. ძროხის ზედა პრემოლარი (2 ცალი, ინვ. № Dar. zoo 204).
10. მელისა მეტაპოდიუმი (ინვ. № Dar. zoo 205).
11. ძაღლის ზედა ყბა (ინვ. № Dar. zoo 206).
12. ძაღლის მეტაპოდიუმის ზედა ბოლო (ინვ. № Dar. zoo 206ა).
13. ხბოს ქვედა ყბა (ინვ. № Dar. zoo 207).
14. ხბოს ზედა ყბა (ინვ. № Dar. zoo 207ა).
15. ხბოს მეტაპოდიუმი (ინვ. № Dar. zoo 207ბ).
16. ძროხის მარჯვენა ქვედა ყბა (ინვ. № Dar. zoo 208).
17. ძროხის თავის ქალის ფრაგმენტები (ინვ. № Dar. zoo 208ა).
18. ხბოს ზედა და ქვედა ყბის ფრაგმენტები (ინვ. № Dar. zoo 209).
19. ხბოს საჭრელი კბილი (ინვ. № Dar. zoo 209ა).
20. ხბოს ყურის ძვალი (ინვ. № Dar. zoo 209ბ).
21. ხბოს მეტაკარპის ქვედა ბოლო (ინვ. № Dar. zoo 209გ).
22. ცხვრის ზედა მოლარი (ინვ. № Dar. zoo 210).
23. მაჩვის ქვედა ბოლო მოლარი (ინვ. № Dar. zoo 210¹).
24. ძაღლის თავის ქალა (ინვ. № Dar. zoo 16).
25. ძაღლის ზედა ყბების ნაწილები (ინვ. № Dar. zoo 16ა,ბ).
26. ძაღლის ქვედა ყბა (2 ცალი ინვ. № Dar. zoo 16გ,დ).
27. ძაღლის სხივის ძვალი (ინვ. № Dar. zoo 16ე).
28. ძაღლის მხრის ძვალი (ინვ. № Dar. zoo 16ვ).
29. ძაღლის კისრის II მაღა (ინვ. № Dar. zoo 16ზ).
30. ხბოს მეტაკარპალური ძვალი (ინვ. № Dar. zoo 17).

ხარო № 2.

მღებარეობს XX ნაკვეთის მე-6 კვადრატში (სურ. 272, 273, 274). ხაროს პირის დმ-ია 1.95 მ, ძირის დმ – 2.10 მ, სიღრმე მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1.40 მ-ია. ხარო წარმოადგენს კარგად გათლილი ოთხკუთხა ქვებით, მშრალი წყობით ნაგებ, ცილინდრული ფორმის სათავსს (სურ. 263, 264). შემორჩენილია კედლის წყობის 9 რიგი, რომლის სიმაღლე 1 მ-ია. № 2 ხარო მღებარეობს № 1 ხაროს დასავლეთით 0.80 მ-ის დაშორებით (სურ. 266, 267).

№ 2 ხაროს სამხრეთ კედელზე გადადის და ზედ ეყრდნობა № 3 სახლის ჩრდილოეთის კედელი, რომელიც დასავლეთისაკენ გრძელდება და № 1 ხაროს აღმოსავლეთ კედლის თავზე კუთხეს კრავს დასავლეთის კედელთან. № 3 სახლის დასავლეთი ნაწილი დაზიანებულია, კედლები შემორჩენილია ცალკეული ქვების სახით.

ამრიგად, № 1 ხარო დაზიანებულია № 2 სახლის გამართვისას, ხოლო №2 ხარო № 3 სახლის აგებისას.

№ 2 ხაროში აღმონდა:

I. კერამიკა

1. მონალისფროდ გამომწვარი, წითლად მოხატული ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 949; სურ. 269; სურ. 271, 11),
2. წითლად შეღებილი ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 950; სურ. 269; სურ. 270, 4),
3. მონალისფროდ გამომწვარი გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 951; სურ. 271, 8),
4. მონალისფროდ გამომწვარი ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 952; სურ. 270, 6),
5. მოყავისფროდ გამომწვარი პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 953; სურ. 271, 3),
6. მონაცრისფროდ გამომწვარი პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 954; სურ. 271, 1),
7. მონალისფროდ გამომწვარი ფიალის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 955; სურ. 271, 4),
8. შავად გამომწვარი პირის ფრაგმენტი (ინვ. № 956; სურ. 271, 7),
9. მოყავისფროდ გამომწვარი პირის ფრაგმენტი (ინვ. № 957; სურ. 271, 2),
10. შავად გამომწვარი პირის ფრაგმენტი (ინვ. № 958; სურ. 271, 6),
11. მოყავისფროდ გამომწვარი გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 959),
12. მოყავისფროდ გამომწვარი პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 960; სურ. 271, 5),
13. მოყავისფროდ გამომწვარი ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 961; სურ. 270, 5),
14. მოყავისფროდ გამომწვარი, რელიეფურორნამენტისანი გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 962; სურ. 271, 9),
15. მონალისფროდ გამომწვარი, რელიეფურორნამენტისანი გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 963; სურ. 271, 10),
16. მონაცრისფროდ გამომწვარი ძირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 964),
17. მონალისფროდ გამომწვარი ძირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 965),
18. მონალისფროდ გამომწვარი ძირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 966),
19. მონალისფროდ გამომწვარი ძირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 967; სურ. 270, 8),
20. მოყავისფროდ გამომწვარი გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 968),
21. მონალისფროდ გამომწვარი გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 969),
22. შავად გამომწვარი გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 970),
23. მონალისფროდ გამომწვარი ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 971; სურ. 270, 7),
24. შავად გამომწვარი სხვადასხვა ჭურჭლის უსახო ფრაგმენტები (ინვ. № 972),
25. მოყავისფროდ გამომწვარი სხვადასხვა ჭურჭლის უსახო ფრაგმენტები (ინვ. № 973),
26. მონალისფრო-მოწითალოდ გამომწვარი სხვადასხვა ჭურჭლის უსახო ფრაგმენტები (ინვ. № 974).

გათხრების დასრულების შემდეგ, გამოვლენილი ნაგებობები დაკონსერვდა. კედლები დაიფარა გეოტექსტილით, თხრილის ქვედა ნაწილი შეივსო ყვითელი ქვიშით, ზედა კი

- გათხრების შედეგად ამოღებული მიწით (სურ. 276, 277, 278). გათხრილი ფართობი, მიწით შევსების შემდეგ ბალახის ფენით დაიფარა (სურ. 279, 280, 281).

5.3. არტეფაქტები

დარაკოვის ნამოსახლარზე ჩატარებული გათხრების შედეგად მოპოვებული იქნა 8 491 არტეფაქტი; მათ შორის პალეოზოოლოგიური მასალა, გატარებულია 1003 ერთეული. არტეფაქტების ჩამონათვალი ცხრილის სახით შემდეგნაირად არის დაჯგუფებული:

არტეფაქტები	ნამოსახლარზე მოპოვებული მასალა	უკონტექსტოდ ნაპოვნი მასალა
1. კერამიკა	819 თიხის ჭურჭელი. თიხის ჭურჭლების ფრაგმენტების საერთო რაოდენობა 6 380 ერთეულია	20
2. ბრინჯაო	6	
3. რკინა	4	
4. ქვა	105	1
5. მინა	0	
6. მინისებური პასტა	1	
7. ძვალი	25	
8. ობსიდიანი	158	
9.ოსტეილოგიური მასალა	1003	
საერთო რაოდენობა	8 491	21

	ნამოსახლარზე მოპოვებული არტეფაქტები	უკონტექსტოდ ნაპოვნი მასალა
თიხის ჭურჭელი	819	20
სამკაული	24	
საყოფაცხოვრებო ჭურჭელი	50	
ობსიდიანის იარაღები	13	
თიხის რგოლი	5	
საწაფი	2	
თიხის ფიგურა	1	

იარალი	2	
საერთო რაოდენობა	916	20

5.3.1. არტეფაქტების განხილვა

კერამიკა

ნამოსახლარზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი მრავალრიცხოვნებითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

ჭურჭლების ერთი ჯგუფი განლექილი თიხისაა, თხელკედლიანია და ჩარხზეა დამზადებული. გამომწვარია შავად.

მეორე ჯგუფის კერამიკაც კარგად განლექილი თიხისაგან არის დამზადებული, თხელკეციანია და წითლადაა გამოწვარი. ამ ჯგუფის კერამიკის ზედაპირი კარგადაა დამუშავებული – გაპრიალებულია ან შემკულია რელიეფური ორნამენტით (სურ. 299). ასეთი კერამიკის ნაწილი წითელი საღებავითაა შეღებილი, ან მოხატულია (სურ. 298-1,2,3,4,5,6; 330-4,5,6; 331; 332; 337).

ამდენად, დარაკოვის ნამოსახლარზე 2008 წელს მოპოვებული თიხის ჭურჭელი, დანიშნულების მიხედვით, სამ ძირითად ჯგუფად იყოფა:

1. სამეურნეო.
2. სამზარეულო.
3. სუფრის.

სამეურნეო ჭურჭლებია – ქოცო (სურ. 283; 284; 324-1,2,3,4,5,6; 326-1,2,3,4,5,6,7,8), დერგი (სურ. 282-1,2,5; 308-5,6,7,8,9,10,11; 310; 324-7,8,9; 328-4,5,6,7,8; 334-1,2,3,4,5,6,7,8,9,10; 341-2).

სამზარეულო ჭურჭელს მიეკუთვნება - ქოთანის (სურ. 282-3; 285; 286; 287; 289-3,4; 296-6; 309; 311-1,2,3,4,5,6,7; 334-10,11,12,13,14; 336-1,2,3); ქილა (სურ. 288-8,9,10,11; 291-10; 311-10); კოჭობი (სურ. 282-4; 287-2,10; 288-1,2,3,4,5,6,7; 289-1,2; 301; 311-8,9; 323-7); ბადია (სურ. 292-6,7,8; 295-6,7,8; 296-1,7; 307-2; 308-1; 323-1,4,8; 328-1; 335-1; 341-1). ამ ჯგუფის ყველა ჭურჭელს აუცილებლად ეტყობა ცეცხლის კვალი. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ჭურჭლები მხოლოდ სამზარეულო დანიშნულების იყო.

სუფრის ჭურჭელს მიეკუთვნება – დოქი (სურ. სურ. 289-5; 290; 291-1,2,3,4; 300-1,2); ხელადა (სურ. 297-8; 300-3,20; 315-1,2,3; 319-2,4; 326-10,11; 329-1,2,3,4; 330 ; 336-4,6,7,8,9); სასმისი (სურ. 291-5; 321-5); ჯამი (სურ. 292-2,7,8; 293; 294; 295-1,2,3,4,5,9,10; 307-2,3,4; 308-2,3,4; 312-1,2,3,4,5,6,7; 313-; 314; 322; 327; 328-2,3; 335-2,3,4,5,6,7,8,9); ფიალა (სურ. 292-1,3,4,5; 312-6,7; 335-8,9).

ლითონის იარაღი:

ნამოსახლარზე რკინის ხუთი ნივთი აღმოჩნდა: № 4 სახლში ორი დანა დაფიქსირდა (სურ. სურ. 318-1,3). ორივე ძლიერაა დაჯანგული. № 5 სახლში სატეხი (სურ. 325-1), № 6 სახლში ღერაკი (სურ. 332-13), № 7 სახლში დანის ტარი (სურ. 338-1).

ქვის არტეფაქტები:

სამეურნეო დანიშნულების ქვის იარაღები ნამოსახლარზე გათხრილ ყველა სახლში დაფიქსირდა. ისინი ძირითადად ტუფის, ბაზალტის და რიყის ქვისაგანაა დამზადებული. იშვიათად გვხვდება პემზისაგან დამზადებული ცალები. ამ სახეობის იატაკებიდან გვხვდება სანაყები, ხელსაფქვავეები და სასრესები (სურ. 305; 306-6; 317; 320; 321; 325-4,5,6,7,8,9,10; 333; 338-2,3,4,5; 339; 340).

სამკაული:

სამკაულები ნამოსახლარზე მცირე რაოდენობით აღმოჩნდა. № 1 სახლში ბრინჯაოს სამაჯური (სურ. 302-5), მინისებური პასტის მძივი (სურ. 302-3) და თიხის საკიდები (სურ. 302-1,2) დაფიქსირდა. № 4 სახლში კი სარდიონის მძივი (სურ. 318-4) გამოვლინდა. № 5 სახლში აღმოჩნდა ბრინჯაოს საკინძი (სურ. 325-2), ხოლო № 6 სახლში – ქვის საკიდი (სურ. 332-12).

ძვლის ნაკეთობები:

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქარქაშის ნაწილი (სურ. 303-6). აღსანიშნავია ცხოველის ლულოვანი ძვალისაგან (სურ. 303-7) და თხის რქისაგან (სურ. 303-4) დამზადებული სამეურნეო დანიშნულების (საპრიალებელი ?) იარაღები.

სარიტუალო დანიშნულების ნივთებიდან აღსანიშნავია ღორის ფაღანგებისაგან დამზადებული ამულეტები (სურ. სურ. 303-1,2,3; 304; 325-3).

ოსტეოლოგიური მასალა:

დარაკოვის ნამოსახლარზე მცხოვრებთა ძირითად საკვებს წარმოადგენდა ხორცი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები, რაზეც მეტყველებს აქ აღმოჩენილი შინაური ცხოველების მრავალრიცხოვანი ძვლოვანი ნაშთი. ნამოსახლარზე დადასტურებულია: ქათამი, ვირი, ცხენი, ღორი, ცხვარი, თხა, კამეჩი და მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, აგრეთვე ძაღლი. გარდა ამისა დარაკოვის ნამოსახლარის კულტურულ ფენებში აღმოჩნდა გარეული ცხოველების ნაშთებიც: მელა, მახვი, დათვი, შველი და კეთილშობილი ირემი, ასევე დაფიქსირებულია რომელიღაც ფრინველის რამდენიმე წვრილი ძვალი, მემინდვრიას ქვედა ყბა და თევზის ერთი ძალა (იხ. დანართები D1, D2).

6.0. ინტერპრეტაცია

დარაკოვის ნამოსახლარი ორ კულტურულ ფენას და რამდენიმე სამშენებლო ჰორიზონტს შეიცავს (ტაბ. 272-275). ზედა ფენა საკულტო, საცხოვრებელ, სამეურნეო ნაგებობებსა და სამეურნეო ორმოების ნაწილითაა წარმოდგენილი. ქვედა ფენას სამეურნეო ორმოების დიდი ნაწილი მიეკუთვნება.

ზედა ფენა, სახლებში, სამეურნეო ორმოებსა და ხაროებში აღმოჩენილი მასალების მიხედვით ძვ.წ. V-IV სს თარიღდება.

ხაროები სახლებზე უფრო ადრეული ჩანს. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა ნამოსახლარზე დაფიქსირებული სტრატოგრაფია. მაგ. № 1 ხარო ჩაჭრილი აქვს № 2 სახლს. № 1 და № 2 ხაროს კედლებზე კი № 3 სახლის ჩრდილოეთი, ზურგის კედელი გადადის.

მაგ. ხაროებიდან მოპოვებული მასალები № 10 სამეურნეო ორმოში აღმოჩენილი კერამიკის იდენტურია. ნამოსახლარის ამ მონაკვეთში დაფიქსირებული სტრატოგრაფია გვიჩვენებს, რომ № 10 ორმოს თავზე № 5 სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე გადადის და № 10 ორმოს დიდ ნაწილს № 5 სახლის ზემოთ აღნიშნულ კუთხეში გამართული ღუმელი ფარავს.

უნდა აღინიშნოს, რომ ხაროებში და № 10 სამეურნეო ორმოში აღმოჩენილი კერამიკა სახლებში დაფიქსირებული კერამიკის მსგავსია.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ჩამოთვლილი ობიექტები თანადროულია ერთ კულტურულ ფენას მიეკუთვნება. თუმცა გათხრებისას ისიც დაფიქსირდა, რომ ეს ფენა რამდენიმე სამშენებლო დონეს შეიცავს.

მაგ. XX ნაკვეთის 4, 5 და 8, 9 კვადრატების გათხრისას გამოვლინდა № 4 და № 5 სახლები. გაირკვა, რომ № 5 სახლი № 4 სახლის დანგრევის შემდეგაა გამართული. № 4 და № 5 სახლების ქვეშ კი სამეურნეო ორმოები დაფიქსირდა.

№ 5 სახლის სამხრეთი კედელი № 4 სახლის ჩრდილოეთ, ზურგის კედელზეა აგებული.

№ 4 სახლი რამდენჯერმე გადაკეთებული ჩანს. ჩრდილო-დასავლეთი კუთხე სამჯერ ჩანს კაპიტალურად შეკეთებული. აქვე ფიქსირდება იატაკის ორი დონე. № 4 სახლის იატაკის ქვეშ № 9, 12, 13, 18, 19 ორმოები გაითხარა.

№№ 2, 3 სახლების №№ 1, 2 ხაროების, შესწავლამ გვიჩვენა, რომ № 3 სახლი № 2 სახლის დანგრევის შემდეგ არის გამართული. № 3 სახლი კი № 1 და № 2 ხაროებზეა გამართული.

№ 2 სახლის იატაკის ქვეშ № 1 და № 8 სამეურნეო ორმოები გაითხარა, რომლებიც სტრატეგრაფიულად სხვა დონეს მიეკუთვნება. ისინი დაკონსერვებული იყო სახლების ქვაფენილიანი და თიხატკეპნილი იატაკებით.

№ 15 და № 16 ორმოების თავზე № 1 სახლის დასავლეთი კედელი გადადის.

ამდენად სტრატეგრაფია გვიჩვენებს, რომ ეს ორმოები სახლების მშენებლობამდე ფუნქციონირებდა.

ძეგლის თარიღი

დარაკოვის ნამოსახლარზე მოპოვებული მასალების ანალიზი, რომელიც ჩვენს მიერ ადრე შესწავლილი თანადროული მასალების ფორმალურ-ტიპოლოგიურ და სტილისტურ ანალიზებს ეყრდნობა [ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი 2002; Нариманишвили 1991; Narimanišvili 2000; Narimanishvili, Shatberashvili 2004]. დარაკოვის ნამოსახლარის სტრატეგრაფიის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ უძველესი ფენა აქ სამეურნეო ორმოებითაა წარმოდგენილი და ძვ.წ. VI ს-ს მიეკუთვნება. სამეურნეო ორმოები პრაქტიკულად არ შეიცავს წითლად გამომწვარ კერამიკას. კერამიკული ფორმები ანტიკური ხანის მასალასთან პარალელურს ვერ პოულობს. თიხის ჭურჭელი გაპრიალებული და ნაკაწრი ორნამენტითაა შემკული. შეიძლება ითქვას, რომ კერამიკის ფორმა და ორნამენტი რკინის ფართო ათვისების ხანაში გავრცელებულ თიხის ჭურჭელთან დიდ მსგავსებას ამჟღავნებს.

სახლებში აღმოჩენილი კერამიკა მკვეთრად განსხვავდება ორმოებში აღმოჩენილი კერამიკისაგან. სახლების არტეფაქტების აბსოლუტური უმრავლესობა წითლადაა გამომწვარი. მათი ნაწილი შედებილი ან მოხატულია წითელი საღებავით. გვხვდება თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭლებიც.

დარაკოვის ნამოსახლარზე მოპოვებული მასალებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს წითელი საღებავით შეღებილი და მოხატული კერამიკა. ასეთი სტილის კერამიკის გავრცელება აქემენიდური კულტურის გავლენით არის ახსნილი [დაწვრილებით იხ. ნარიმანიშვილი 1988; ნარიმანიშვილი 1993; ნარიმანიშვილი 1994; ნარიმანიშვილი, ხიმშიაშვილი 1993; ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი 2002; მახარაძე, ნარიმანიშვილი 2001].

მოხატული კერამიკის უძველესი ნიმუშები საქართველოს ტერიტორიაზე ქვემო ქართლში, არუხლოს ნამოსახლარის ძვ.წ. IV ათასწლეულის ფენებშია აღმოჩენილი [ჯავახიშვილი, ღლონტი 1962; Гогелия, Челидзе 1991, გვ. 11]. მოხატული კერამიკის ცალკეული ნიმუშები ძვ.წ. III ათასწლეულშიც გვხვდება [Шаншашвили 2007]. ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში ასეთი კერამიკა ფართოდაა გავრცელებული [ჯაფარიძე 1969, გვ. 122-129]. შემდგომში, დაახლოებით ათასი წლის მანძილზე კი აღარ გვხვდება. ამ დიდი პაუზის შემდეგ, ქართლის ტერიტორიაზე მოხატული კერამიკა ხელმეორედ აქემენიდურ ხანაში გამოჩნდა და ძვ.წ. IV-III სს-ში იმდენად გავრცელდა, რომ ამ პერიოდს მოხატული კერამიკის ხანასაც უწოდებენ [Гагошидзе

1979, გვ. 90]. ძვ.წ. II ს-დან მოხატული კერამიკის წილი თანდათან მცირდება. ისე, რომ ახ.წ. II საუკუნისათვის ის პრაქტიკულად ქრება.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძვ.წ V-I სს-ით დათარიღებული წითლად მოხატული კერამიკის სტილისტური ანალიზის მიხედვით ამ მასალაში ოთხი ძირითადი სტილი შეიძლება გამოიყოს: 1) სამკუთხედების სტილი; 2) სამადლოს სტილი; 3) კაზრეთის სტილი; 4) სამთავროს სტილი [Narimanishvili, Shatberashvili 2004].

ამ პერიოდის მოხატული კერამიკა საქართველოს ტერიტორიაზე პირველად ქვემო ქართელში, 1947 წელს ბ. კუფტინის მიერ სოფ. კუშჩიში იქნა აღმოჩენილი [Куптин 1948, გვ. 7-10], რომელიც დარაკოვის ნამოსახლარიდან ხუთიოდე კილომეტრითაა დაცილებული.

XX ს-ის 50-იანი წლებიდან მოხატული კერამიკის მრავალი ნიმუში აღმოჩნდა [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004; მახარაძე 1999; რამიშვილი 1998; რამიშვილი, წითლანაძე, ჯორბენაძე 1979], გაითხარა მრავალფენიანი ნამოსახლარები, სადაც წითლად მოხატული კერამიკა დომინირებდა (ჩხიკვათა, თეთრიწყარო, შავსაყდარა, ეცო, ბეშთაშენი, უფლისციხე, სამადლო, ნასტაკისი, ციხიაგორა, ვარსიმაანთკარი და სხვ.).

აღსანიშნავია, რომ ძვ.წ. V-I სს-ის მოხატული კერამიკის უდიდესი ნაწილი მონოქრომულია. ნახატი წითელი საღებავითაა შესრულებული. პარალელურად გვხვდება თეთრი საღებავით მოხატული ჭურჭლები [Нариманишвили 1991].

დარაკოვის ნამოსახლარზე მოპოვებული წითელი საღებავით მოხატული კერამიკა, ზემოთ აღნიშნული მოხატულობის 1 და 2 სტილს შეესაბამება (სურ. 298-2,3,4,5,6; 329-1,2; 330-4,5,6; 331; 332-6,7,8,9,10; 337).

სამკუთხედების სტილის მოხატულობა დატანილია ჭურჭლის გაპრიალებულ ან ანგობირებულ ზედაპირზე. დეკორის მთავარ დეტალს წარმოადგენს სამკუთხედების რიგი, რომლებიც ხშირად სხვა ორნამენტთან ერთად გვხვდება (თევზიფხური, ზიგზაგები, პორიზონტალური ხაზები), თუმცა ისინი მეორად დატვირთვას ატარებენ.

პირველი სტილის მოხატულობაში ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა: A) სამკუთხედები წვერით ზემოთ და B) სამკუთხედები წვერით ქვემოთ.

A ჯგუფის მოხატულობის ძირითადი ნაწილი ჭურჭლის ტანზე, ერთ ან ორ ფრიზადაა განლაგებული. ერთ ფრიზად განლაგებული სამკუთხედების დიდი ნაწილი ბადისებური ორნამენტითაა შევსებული.

B ჯგუფის მოხატულობა ერთგვაროვანია – წვერით ქვემოთ მიმართული სამკუთხედები ირიბი ხაზებითაა შევსებული. ამ ჯგუფის მოხატულობის ცალკეულ ნიმუშებს შორის განსხვავება მხოლოდ ჭურჭლის ყელისა და მუცლის გაფორმებაში შეინიშნება –

სამკუთხედების ზემოთ და ქვემოთ დატანილია ჰორიზონტალური ხაზები, ზიგზაგები, ბადე ან თეზიფსური ორნამენტი.

ქართლში სამკუთხედებით მოხატული კერამიკის გამოჩენას მკვლევარები ძვ.წ. V ან ძვ.წ. IV ს-დან ვარაუდობენ. აზრთა სხვადასხვაობაა მოხატული კერამიკის წარმომავლობისა და გავრცელების გზების შესახებაც [დაწვრილებით იხ. Нариманишвили 1991].

ჩვენი აზრით, ამ ორნამენტის ქართლის ტერიტორიაზე დამკვიდრებას ორი პირობა განსაზღვრავდა. წითელკეციანი კერამიკის წითელი საღებავით მოხატვა და შეღებვა უთუოდ აქემენიდურ ირანთან ურთიერთობის შედეგია, თუმცა სამკუთხედების სტილის ფართოდ გავრცელებას და ადგილობრივ წარმოებას ხელი შეუწყო გვიანბრინჯაორკინის ხანაში ქართლში დამკვიდრებულმა ნაცრისფრად ან შავად გამომწვარი კერამიკის შემკობის ადგილობრივმა სამკუთხედების სტილმა, რომლისთვისაც ნაკაწრი ან ნაპრიალები, ბადისებური ორნამენტით ან ირიბი ხაზებით შევსებული სამკუთხედებია დამახასიათებელი. ეს უკანასკნელი ძალზე ახლოს დგას წითელი საღებავით მოხატული კერამიკის სამკუთხედების სტილთან.

A ჯგუფის კერამიკის დათარიღების საკითხი ჯერ კიდევ პრობლემატურია. ჯერ-ჯერობით არაა გათხრილი კარგად დათარიღებული კომპლექსები, რომელთა საშუალებით მოხდებოდა A ჯგუფის მოხატულობის ზუსტი თარიღის განსაზღვრა. ზედა თარიღის დასაგენად ერთგვარ დახმარებას გვიწევს ვარსიმეანთკარის № 175 სამარხი, სადაც არქაული ტიპის ილარებია აღმოჩენილი და კუშჩის № 3 სამარხი, რომელშიც სამკუთხედებით მოხატულ დოქთან ერთად ძვ.წ. V ს-ისათვის დამახასიათებელი სანელსაცხებლეა აღმოჩენილი [საგინაშვილი 2000, გვ. 72].

დარაკოვის ნამოსახლარის სტატიგრაფია და მოპოვებული არტეფაქტები აშკარად მიუთითებს, რომ მოხატული კერამიკა ქართლში ძვ.წ. VI ს-ის მიწურულს თუ არა ძვ.წ. V ს-ის დასაწყისში უკვე უნდა ყოფილიყო ყოფაში.

ამდენად, არა მხოლოდ A ჯგუფის მოხატული კერამიკის, არამედ წითელკეციანი კერამიკის გაჩენის თარიღად აქემენიდური ეპოქის ის მონაკვეთი უნდა მივიჩნიოთ, როდესაც აქემენიდებმა ჩრდილოეთი საზღვრების გამაგრებას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს. ჩვენი აზრით სამხრეთ კავკასიაში აქემენიდური კულტურის გავრცელება ძვ.წ. 522-521 წლების შემდეგ უნდა მოხდარიყო, როდესაც ამ მიმართულებით აქემენიანთა სამხედრო აქტივობამ პიკს მიაღწია და სატრაპიების ჩამოყალიბება დაიწყო. როგორც ჩანს, ძვ.წ. 515 წლისათვის, როდესაც დარიოს I-მა თრაკია დაიპყრო და სკვითაში ლაშქრობა წამოიწყო, აქემენიდური ირანის პოლიტიკური გავლენა სამხრეთ კავკასიაზე უკვე დამყარებულია.

B ჯგუფის მოხატული კერამიკის თარიღის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ვანის მდიდრულ სამარხებს ენიჭება, სადაც წვერით ქვემოთ მიმართული სამკუთხედებით შემკულ ჭურჭელთან ერთად იმპორტული არტეფაქტები და მონეტებია

აღმოჩენილი, რაც ამ კომპლექსებს ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრით ათარიღებს [თოლორდავა 1985, გვ. 202; ლორთქიფანიძე და სხვ. 1972, გვ. 91]. ასეთივე მოხატულობა აქვს ტახტიძირში მოპოვებულ დოქებსაც, რომელთა თარიღი, ასევე იმპორტულ მასალაზე დაყრდნობით, ძვ.წ. IV ს-ით განისაზღვრა [Gagošidze 2000].

სამკუთხედებით მოხატული კერამიკის განვითარების გვიანდელ ეტაპზე, კერძოდ ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევრიდან, როდესაც ჭურჭელზე ჩნდება შევროვნები – მთლიანად შედებილი სამკუთხედები [Нариманишвили 1991].

დარაკოვის ნამოსახლარზე თეთრი ანგობით მოხატული კერამიკაც იქნა დაფიქსირებული. დღემდე ამ სახის ჭურჭლების წარმომავლობისა და გავრცელების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა.

ძვ.წ. V-I საუკუნეებით დათარიღებულ ქართლის არქეოლოგიურ ძეგლებზე წითელი საღებავით მოხატული ჭურჭლების გვერდით გვხვდება თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭლებიც. ასეთი კერამიკის წარმომავლობისა და გავრცელების საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა [Нариманишвили 1991].

თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭელი პირველად კახეთში აღმოჩნდა. გ. ნიორაძემ ისინი „ჩვენი წელთაღრიცხვის წინა და დასაწყისის პირველ საუკუნეებით“ დაათარიღა [ნიორაძე 1940, გვ. 92]. კახეთის ტერიტორიაზე ასეთი ჭურჭელი შემდგომში მრავლად აღმოჩნდა [Пицхელაური 1977], ქართლშიც ელინისტური ხანის თითქმის ყველა ძეგლზეა დადასტურებული [ნარიმანიშვილი 1982].

ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ასეთი ჭურჭელი ი. გაგოშიძეს „კახეთის რომელიღაც სამეთუნეო ცენტრიდან შემოტანილად მიაჩნია“ [გაგოშიძე 1970, გვ. 46].

თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭლების წარმომავლობისა და დათარიღების საკითხებს სპეციალურად შეეხო კ. ფიცხელაური [Пицхელაური 1977] და სათანადო მასალაზე დაყრდნობით ამგვარი ჭურჭელი დაუკავშირა ჰერულ ტომებს. ასეთი კერამიკის ქართლში გავრცელება კი ჰერებთან სავაჭრო ურთიერთობის გზით ივარაუდა.

ჩვენ ადრე ვიზიარებდით ი. გაგოშიძის [Гагошидзе 1979, გვ. 79-80] და კ. ფიცხელაურის [ფიცხელაური 1973; Пицхელაური 1977] მოსაზრებებს და ვფიქრობდით, რომ მოხატვის ეს სტილი კახეთის რომელიღაც რეგიონში (ჰერეთი) ჩამოყალიბდა და შემდგომში გავრცელდა სხვა რეგიონებშიც.

ამ სტილით მოხატული კერამიკის წარმომავლობის საკითხს შეეხო ნ. მირიანაშვილიც, რომელმაც მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლის საფუძველზე შესაძლებლად მიიჩნია ასეთი ჭურჭლის სამადლო-ნასტაკისის სახელოსნოებში დამზადება [მირიანაშვილი 1982, გვ. 46]. თუმცა შემდგომ აღნიშნა, „არ არის გამორიცხული, რომ თეთრი ანგობის კონცენტრული წრეხაზებით მოხატული ჭურჭელი, თავდაპირველად მართლაც კახეთის

რომელიდაც სამეთუნეო ცენტრში დაემზადებინათ“ [მირიანაშვილი 1983, გვ. 54]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართლის ელინისტური ხანის ძეგლებზე თეთრი ანგობით და წითელი საღებავით მოხატული ჭურჭლები თანაბარი რაოდენობით არის აღმოჩენილი [მირიანაშვილი 1982, გვ. 47]. სამადლოს ნაქალაქარზე მოპოვებული ელინისტური ხანით დათარიღებულ მასალებს (800-მდე) შორის თეთრი ანგობით მოხატული კერამიკის 30-მდე ფრაგმენტია აღმოჩენილი. რაც იმაზე მიუთითებს, რომ ასეთი კერამიკა ჩვენს მიერ გამოყოფილ III ქრონოლოგიურ ჯგუფში რაოდენობრივად ბევრად ჩამოუვარდება სხვა სტილის კერამიკას.

ამ მონაცემების საფუძველზე ვფიქრობდით, რომ ქართლის ტერიტორიაზე, I ქრონოლოგიურ ჯგუფში (ძვ.წ. V-IV ს-ის პირველი ნახევარი) ასეთი კერამიკა საერთოდ არ გვხვდებოდა. იმ დროისათვის II ქრონოლოგიურ ჯგუფში (ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. III ს-ის დასწყისი) ამ სტილის კერამიკის ერთადერთი ნიმუში იყო ჩვენთვის ცნობილი. ჭურჭელი აღმოჩენილია მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ნატახტრის სამაროვანზე. დოქი დამზადებულია განლექილი თიხისაგან, გამომწვარია მომწვანო-მოჩაღისფეროდ [Нариманишвили 1991].

ამ სტილის კერამიკა ნასტაკისის გარდა დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი გრძელ მინდორზე, უფლისციხეში, ღართისკარში, რომლებიც ძირითადად IV ქრონოლოგიურ ჯგუფს (ძვ.წ. II – ძვ.წ. I ს-ის პირველი ნახევარი) მიეკუთვნებიან. V ქრონოლოგიურ ჯგუფში (სამთავრო, რიყიანების ველი, საყარაულო სერი და სხვ.) ამგვარი კერამიკა კვლავ ქრება [Нариманишвили 1991].

ადრე მიგვაჩნდა, რომ თეთრი ანგობით მოხატული კერამიკა თავს პირველად II ქრონოლოგიური ჯგუფის ბოლოს იჩენს თავს ქართლში. შედარებით მეტია III ქრონოლოგიურ ჯგუფში და ფართო გავრცელებას აღწევს IV ქრონოლოგიურ ჯგუფში, V-ში (ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარი – ახ. წ. I ს) კი კვლავ ქრება. ქართლში თეთრი ანგობით მოხატული კერამიკა დროის მცირე მონაკვეთში არსებობს და არ წარმოადგენს ძირითად დამახასიათებელ მასალას IV ქრონოლოგიურ ჯგუფში კი, როდესაც ისინი ყველაზე დიდი რაოდენობითაა დადასტურებული ქართლის არქეოლოგიურ ძეგლებზე, ეპოქის განმსაზღვრელ მასალას მაინც შავად გამომწვარი, ე.წ. „სარკისებურზედაპირიანი“ კერამიკა წარმოადგენს.

/შენიშვნა: თეთრი ანგობით მოხატული და ე.წ. "სარკისებურზედაპირიანი" ჭურჭლები ერთად აღმოჩნდა ღართისკარის სასიმაგრო სისტემის შიდა ტერიტორიაზე გათხრილ სამლოცველოში, რომელიც ძვ.წ. II ს-ით თარიღდება [Нариманишвили 1991]. სამლოცველოში აღმოჩენილ კერამიკულ მასალას შორის პროცენტულად ყველაზე მეტია თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭელი. ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამ სტილით მოხატული ჭურჭლების დეკორში და კეცის სტრუქტურაში რაიმე ცვლილებების დადასტურება არ ხერხდება [Гагошидзе 1979, გვ. 80].

II და III ქრონოლოგიურ ჯგუფში მოთავსებული ეგზემპლარები კახურ იმპორტს წარმოადგენდნენ. მათი კეცი (ნატახტარი, სამადლო) მომწვანო-ჩაღისფერია და

განსხვავება ადგილობრივი მოვარდისფროკეციანი კერამიკისაგან. ი. გაგომიძის დაკვირვებით, სამადლოში აღმოჩენილი თეთრი ანგობით მოხატული კერამიკა მაინც განსხვავდება ქართლური ელინისტური ხანის კერამიკისაგან, როგორც ფერით და მოხატვის ხასიათით, ისე კვეთილი ორნამენტით. თეთრი ანგობით მოხატული კერამიკის შიდაპირი თითქმის ყოველთვის არათანაბარი-ბურცობებიანია და ხელით ნაძერწის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ სტილით მოხატული ჭურჭლები ფორმითაც განსხვავდებიან სხვა ჭურჭლებისაგან. ისე, რომ ისინი მაინც ცალკე ჯგუფს ქმნიან [Гагошидзе 1979, გვ. 80]. ამასთან, კახეთის ტერიტორიაზე და ქართლში აღმოჩენილი თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭლები იმდენად გვანან ერთმანეთს, როგორც დამზადების ტექნიკით (ტექნოლოგიით), ისე ფერით, რომ ისინი მაინც ერთი სახელოსნოს ნაწარმად თუ არა, ერთი კულტურის პროდუქტად უნდა მივიჩნიოთ. როგორც ჩანს წითლად გამომწვარი, შეღებილი და მოხატული და თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭლები სხვადასხვა ტექნოლოგიით არიან დამზადებული და სხვადასხვა ტექნოლოგიურ პროცესს მოითხოვენ. ეს ალბათ კიდევ ერთი არგუმენტი იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომლის მიხედვითაც თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭლები ქართლში კახეთიდან არის გავრცელებული. მითუმეტეს, რომ დღეისათვის გარკვეულია [Гагошидзе 1979; Пицхелаური 1977], რომ თეთრი ანგობით მოხატულ ჭურჭელს პარალელები კახეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მასალებს შორის მოექებნებათ, რომ ამ სტილით მოხატული ჭურჭლები კახეთში ძვ.წ. IV-ახ.წ. IV საუკუნეებში გვხვდება [Пицхелаური 1977, გვ. 228], მაშინ როდესაც ქართლში ისინი დროის მცირე მონაკვეთში არსებობენ (სომხეთში და აზერბაიჯანში ამ სტილით მოხატული კერამიკა ჯერ-ჯერობით დადასტურებული არ არის).

ადრე მიგვანნდა, რომ ქართლში თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭელი II ქრონოლოგიური ჯგუფის დროს (ალბათ უფრო მის მეორე ნახევარში – ძვ.წ. III ს-ის დასაწყისიდან) ვრცელდება იმპორტის სახით. შესაძლებელია ამ სტილის მოხატული კერამიკა ქართლში, ადგილობრივ მხოლოდ IV ქრონოლოგიურ ჯგუფში მზადდებოდა.

დარაკოვის ნამოსახლარზე გამოვლენილი თეთრი ანგობით მოხატული მოხატული კერამიკა საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამ სტილის კერამიკა ქართლში I ქრონოლოგიური ჯგუფის დასაწყისშივე იჩენს თავს. უფრო შორს მიმავალი დასკვნებისაგან კი ამჟამად თავს ვიკავებთ.

წითლად მოხატული და შეღებილი კერამიკის წარმომავლობისა და გავრცელების გზების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. მკვლევართა ერთი ნაწილისაგან განსხვავებით ვფიქრობთ, რომ ამ სტილის კერამიკის გავრცელება ახლო აღმოსავლეთის გავლენით უნდა მომხდარიყო სამხრეთ კავკასიაში. რაც შეეხება ძვ.წ. VI-V სს ქართლის ტერიტორიაზე ამ სტილის კერამიკის გაჩენას, ჩვენ მას აქემენიდური ირანიდან ვვარაუდობთ.

სამხრეთ კავკასიას თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო უძველესი დროიდან მრავალმხრივი კონტაქტი ჰქონდა გარესამყაროსთან. მნიშვნელოვან სავაჭრო-

სატრანზიტო გზებზე მდებარეობა და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა განაპირობებდა რეგიონის პოლიტიკურსა და ეკონომიკურ მდგომარეობას.

სამხრეთ კავკასიისა და ირანული სამყაროს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა კარგადაა ასახული როგორც წერილობით წყაროებში, ისე არქეოლოგიურ მასალაში. ირანში მიმდინარე პროცესები გარკვეულ გარკვეულ გამოხმაურებას კავკასიაშიც ჰპოვებდა.

ამ ურთიერთობას ინტენსიური, ამასთან სპორადული ხასიათი ჰქონდა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი ძვ.წ. V ს-დან იწყება. ამ დროს სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე ჩნდება ახალი ტიპის კერამიკა – მილიანი და ნისკარტიანი ხელალები, მაღალყელიანი დოქები, პროფილირებული და შვერილიანი ჯამები. ამავე დროს ვრცელდება წითელკეციანი კერამიკა, რომელთა დიდი ნაწილი შედებილი ან მოხატულია წითელი საღებავით. ამ ტიპის კერამიკის გავრცელება ირანიდან ივარაუდება და დარიოს I-ის ჩრდილოეთ რეგიონებში მოღვაწეობას უკავშირდება [ნარიმანიშვილი 1994, გვ. 20].

კავკასიის გადმოსასვლელებს განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. საფიქრებელია, რომ ამ გადმოსასვლელებზე კონტროლის დაწესების გარეშე დარიოსი სკვითიაში ლაშქრობას არ დაიწყებდა. მით უმეტეს, რომ ჰეროდოტეს ცნობით „დარიოსმა განსაზღვრა დაესაჯა სკვითები, რადგან ისინი უწინ შემოიჭრნენ მიდიაში ...“ [ჰეროდოტე IV. I]. ასევე საინტერესოა ერთი ისტორია, რომელსაც ჰეროდოტე მარათონის ბრძოლის აღწერისას მოგვითხრობს: მას შემდეგ, რაც დარიოსი შეიჭრა სკვითების ქვეყანაში, სკვითებს უნდოდათ მისთვის სამაგიეროს გადახდა, ამიტომ გაეზავნეს სპარტაში კაცები, რომ ისინი მოკავშირეებად გაეხადათ და შეთანხმებულიყვნენ იმაში, რომ სკვითები შეეცდებოდნენ მიდიაში შეჭრას მდინარე ფაზისის გასწვრივ, ხოლო სპარტელებს შეუთვალეს დაძრულიყვნენ ეფესოდან, გაჰყოლოდნენ გზას ქვეყნის შიგნით და შემდეგ აქ სადმე შეხვედროდნენ სკვითებს [ჰეროდოტე, VI, 84]. ჰეროდოტეს ამ მონათხრობიდან კარგად ჩანს, რომ სკვითებმა და სპარსელებმა კარგად იციან კავკასიონზე არსებული გადმოსასვლელები და მათი მნიშვნელობა.

კავკასიის ქედის ჩრდილოეთით, სტეპებში ბინადარი ნომადური ტომების სწრაფვა სამხრეთისაკენ და წინა აზიის ცივილიზაციების დაინტერესება კავკასიის ბუნებრივი სიმიდრეებით კარგად არის ასახული არქეოლოგიურ მასალაში.

სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა კავკასიას, აღმოსავლეთ ანატოლიას და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთს შორის შესაძლოა ზედა პალეოლითშიც არსებობდა. ეს ურთიერთობა, ქრონოლოგიური წყვეტილებით, გრძელდებოდა უკერამიკო და კერამიკული ნეოლითის, აგრეთვე ენეოლითის ეპოქაში. თუმცა რეგულარულ სააღებმიცემო ურთიერთობას ადრე ბრინჯაოს ხანაში ეყრება საფუძველი. ძვ.წ. 4000-3250 წწ იწყება საერთაშორისო ურთიერთობა მახლობელ აღმოსავლეთში. ვაჭრობა ძირითადად ნედლეულით - ობსიდიანით, კაუთით, დიაბაზით,

შესაძლოა კერამიკით, მარცვლეულით, შინაური ცხოველებით, ქსოვილებით და საბეჭდავებითაც წარმოებდა.

უძველეს სავაჭრო ობიექტს ობსიდიანი წარმოადგენდა. ობსიდიანით ვაჭრობა შეცვალა სპილენძით ვაჭრობამ. ლითონი გადიოდა იგივე ტრადიციული საკომუნიკაციო გზებით, თუმცა შეიცვალა სატრანსპორტო საშუალებები. გაჩნდა ბორბლიანი ტრანსპორტი, რამაც სავაჭრო კავშირუბრუნებებში ძირეული ცვლილება მოახდინა.

წინააზიურ სამყაროსთან ურთიერთობის გაზრდასთან არის დაკავშირებული სამხრეთ კავკასიაში თრიალეთის კულტურის (ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარი - ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისი) დაწინაურება.

თრიალეთის კულტურის ძეგლების ლითონის (ძირითადად სპილენძის) საბადოებთან კონცენტრაცია ან სატრანზიტო გზებზე მდებარეობა, სპილენძისა და ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების მაღალი დონე მიუთითებს, რომ სამხრეთ კავკასიის ბრინჯაოს ხანის კულტურების ჩამოყალიბება და აყვავება ლითონის წარმოებასთან არის დაკავშირებული. შუა ბრინჯაოს ხანის საზოგადოების სიმდიდრის ძირითად წყაროს ლითონით ვაჭრობა წარმოადგენდა.

შუა ბრინჯაოს ხანაში ისევ არსებობდა ის სავაჭრო გზა, რომელიც ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში სამხრეთ კავკასიას (მტკვარ-არაქსის კულტურა) სირია-პალესტინასთან (კერბეთ-კერაქის კულტურა) აკავშირებდა.

ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთკავკასიური კულტურების აყვავების ეკონომიკურ საფუძველს, როგორც ჩანს, კავკასიის სპილენძის, სურმის და დარიშხანის საბადოების ინტენსიური ექსპლოატაცია წარმოადგენდა. სწორედ მეტალურგიამ გაიყვანა კავკასია საერთაშორისო არენაზე.

გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში კავკასიის მიმართ ინტერესი კიდევ უფრო იზრდება. ამ ეპოქის წერილობით წყაროებსა და არქეოლოგიური მასალებში ასახულია ასურეთის, ურარტუს და მიდიის სამხედრო-პოლიტიკური თუ ეკონომიკური აქტივობა. ასევე ნათლად ჩანს კავკასიის ჩრდილოეთით მცხოვრები ნომადური ტომების დაინტერესება სამხრეთ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის სიმდიდრეებით. მათი ინტენსიური სვალა სამხრეთისაკენ ძვ.წ. VIII ს-ის მიწურულს იწყება, რამაც ამ რეგიონში დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები გამოიწვია.

ძვ.წ. VIII ს-ის მიწურულს ურარტუს მეფე რუსა I სახელმწიფოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში შემოჭრილ კიმერიელებს შეებრძოლა და დამარცხდა. ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრისათვის კიმერიელები ახლო აღმოსავლეთში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ამავე დროს გამოჩნდნენ სკვითებიც. ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისში მიდიელებმა დაანგრიეს ურარტუს დედაქალაქი ტუშპა.

წინა აზიაში სკვითების შემოსვლის სამ ეტაპს გამოყოფენ: პირველი – ეს არის კიმერიელების გამოჩენა ძვ.წ. VIII ს-ის ბოლოს; მეორე ეტაპი დაიწყო ძვ.წ. VII ს-ის შუა ხანებში, როდესაც სკვითები ჩრდილოეთიდან შემოვიდნენ; მესამე კი აქემენიდური სპარსეთის ჩამოყალიბების საწყის ეტაპს ემთხვევა, როდესაც ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანებში საკების ტომი ცენტრალური აზიიდან შემიჭრა [Пиотровский 1949, გვ. 130].

სამხრეთის ცივილიზაციების ბრძოლას ჩრდილოელ ნომადებთან ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამიტომ, წარმოუდგენელია დარიოსს არ გაეთვალისწინებინა კავკასიის ქედზე არსებული გადმოსასვლელი და ისე წამოეწყო დიდი სამხედრო ოპერაცია.

ჩრდილოეთში მცხოვრები ნომადური ტომები აქემენიდებს არა მხოლოდ სხვა მიმართულებით (ბაბილონი, ეგვიპტე და სხვ.) მოქმედებას უშლიდნენ ხელს, არამედ თვით იმპერიის არსებობას უქმნიდნენ საფრთხეს. ამიტომ, მომთაბარეების განეიტრალება და ჩრდილოეთი საზღვრების დაცვის ორგანიზება აქემენიდების ერთ-ერთ ძირითად სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენდა, რომელსაც ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად მიაღწიეს. მომთაბარეებთან ბრძოლა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ აქემენიდი მეფეები ამ ღაშქრობებს უშუალოდ ედგნენ სათავეში.

ძვ.წ. 550 წელს სპარსელებისა და მიდიელების შორის წარმოებული ომი დასრულდა და წარმოიქმნა აქემენიდური ირანის სახელმწიფო. 549-548 წლებში სპარსელებმა დაიპყრეს ის ქვეყნები, რომლებიც მიდიის შემადგენლობაში შედიოდნენ. კერძოდ, პართია, ჰირკანია და არმენია. 545-539 წწ კიროს II-მ აღმოსავლეთ ირანის და ცენტრალური აზიის ნაწილის (დრანგიანა, მარგიანა, ხორეზმი, სოგდიანა, ბაქტრია და ცენტრალურ აზიაში მცხოვრები საკები) დამორჩილება შეძლო [Дандамаев 1985].

მომთაბარეთა მუდმივი თავდასხმები აქემენიდური ირანის შემადგენლობაში შემავალ მიწათმოქმედ ხალხს მნიშვნელოვან ზარალს აყენებდა. ამიტომ, კიროს II-მ ცენტრალურ აზიაში, მდ. ამუდარიის გაყოფებით, საზღვრისპირა გამაგრებული დასახლებების მთელი რიგი შექმნა. რამაც მას საშუალება მისცა 539 წელს ბაბილონის წინააღმდეგ გაელაშქრა [Дандамаев, Лукион 1980].

ცენტრალურ აზიაში კიროსის მიერ გატარებული ღონისძიებები საკმარისი არ აღმოჩნდა. ჩრდილოეთიდან მომდინარე საფრთხე იმდენად დიდი იყო, რომ კიროს II წინა აზიის ქვეყნების დამორჩილების შემდეგ ისევ ჩრდილო-აღმოსავლეთით იბრძვის. კიროსმა ეგვიპტეში ღაშქრობა გადადო და ძვ.წ. 530 წელს მასაგეტების წინააღმდეგ გაილაშქრა. ეს ბრძოლა მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

კიროსის სიკვდილის შემდეგ აქემენიდურ ირანს კამბიზი (ძვ.წ. 530-522 წწ) განაგებს. იგი მასაგეტების წინააღმდეგ კიროსთან ერთად იბრძოდა. კამბიზის მიერ ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვრების გამაგრების შესახებ წერილობითი წყაროები არ გვაუწყებენ. თუმცა, სავარაუდოა, რომ კამბიზმა მხოლოდ ცენტრალური აზიის საზღვრების გამაგრების შემდეგ ილაშქრა ეგვიპტეში. ცნობილია, რომ მან

ეგვიპტური კამპანია გამეფებიდან მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ წამოიწყო [Дандамаев 1985].

დარიოს I (ძვ.წ. 522-486 წწ) გამეფებისთანავე ბაბილონი აუჯანყდა. ძვ.წ. 522 წლის მიწურულისათვის მთელი იმპერია აჯანყებებმა მოიცვა, რამაც განსაკუთრებით მასიური ხასიათი ცენტრალური აზიის პროვინციებში მიიღო. დარიოსს განუდგნენ მარგიანა, პართია, სატაგიდია და საკები. ბაქტრიის სატრაპია დადარშიშმა სისხლში ჩაახშო აჯანყება მარგიანაში და ის ბაქტრიის სატრაპიას შეუერთა.

აქემენიდებმა ძლიერი დარტყმა სამხრეთ კავკასიასაც მიაყენეს. ძვ.წ. 522-521 წლებში დარიოსის სარდლებმა ხუთი ბრძოლის შემდეგ დაიმორჩილეს არმენია. არმენიაში აჯანყების ხასიათზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ვ. სტრუვეს აზრით აჯანყება მოაწვევს არა სომხებმა, არამედ ამ ტერიტორიაზე მცხოვრებმა სკვითებმა. ბ. დიაკონოვი ფიქრობს, რომ ისინი ეთნიკური სომხები იყვნენ [Дьяконов 1956]. გ. კაფანციანი თვლის, რომ ბუნტი ხაიასას ტომების მოძრაობასთან იყო დაკავშირებული [Кафанцян 1956]. ბეჰისტუნის წარწერა აჯანყებულებს და მათ ბელადს სახელით არ მოიხსენიებს, იქ მხოლოდ ისაა აღნიშნული, რომ არმენია აჯანყებამ მოიცვა. ამის საფუძველზე მ. დანდამაევი ფიქრობს, რომ ტომობრივი კუთვნილება იმდენად ცხადი იყო, რომ წარწერის შემდგენელმა საჭიროდ არ ჩათვალა ამის აღნიშვნა [Дандамаев 1985].

519 წელს დარიოსი კვლავ მომთაბარეთა, წვეტიანქუდიანი საკების წინააღმდეგ იბრძვის და ამარცხებს მათ.

მხოლოდ ჩრდილოეთი საზღვრების საფუძვლიანი გამაგრების შემდეგ, 518 წელს მიდის ეგვიპტის სატრაპის დასასჯელად.

ძვ.წ. 515 წელს კი დარიოსმა დაიპყრო თრაკია. მდ. დუნაიზე ხიდი ააგო და ორგანიზება გაუკეთა მის დაცვას. რითაც, მან სკვითიაში შეჭრისათვის ყველა პირობა მოამზადა.

სკვითიაში ლაშქრობის მიზანს მომთაბარე ტომების ნეიტრალიზება წარმოადგენდა. დარიოსის ლაშქრობის ძირითადი ამოცანა სტეპებში მცხოვრებ ნომადების იმდენად დასუსტება იყო, რომ მათ ცივილიზებული აღმოსავლეთის განვითარებისათვის ხელი ვეღარ შეეშალა.

ამ მიზნის მიღწევა დიდი სამხედრო-სტრატეგიული გეგმის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ამ გეგმაში კი აქემენიდური ირანის ჩრდილოეთი საზღვრების სათანადო გამაგრებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უნდა სჭეროდა.

წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ სკვითიაში შეჭრის მომენტისათვის არსებობდა ძლიერი თავდაცვითი ზღუდე, რომელიც ცენტრალური აზიიდან იწყებოდა, მოიცავდა კავკასიას და თრაკიაში

მთავადებოდა. ჩრდილოეთიდან მომდინარე საფრთხის შესაკავებლად შექმნილი თავდაცვითი ხაზი მდ. ამუდარიანზე, კავკასიის ქედზე და მდ. დუნაიზე გადიოდა.

ძვ.წ. VI ს-ის მიწურულსა და ძვ.წ. V საუკუნისა დასაწყისისათვის, დარიოს I-ის სკვითიაში ლაშქრობის დასაწყისისათვის, სამხრეთ კავკასიაში მდგომარეობა შემდეგნაირად წარმოგვიდგება: 1. დასავლეთი და ცენტრალური ნაწილი აქემენიდური იმპერიის ძლიერ პოლიტიკურ გავლენას განიცდის; 2. აღმოსავლეთი და სამხრეთი ნაწილი სატრაპიებია და უშუალოდ შედის იმპერიის საზღვრებში.

წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ კოლხებმა აიცილეს აქემენიანთა ბატონობა. საინტერესოა ჰეროდოტეს ცნობა, კოლხები დარიოსის დროს, ხუთ წელიწადში ერთხელ, ას ყმაწვილსა და ქალიშვილს უგზავნიდნენ აქემენიდებს, ქსერქსეს დროს კი მონაწილეობდნენ ლაშქრობებში.

ქართველებით დასახლებული ტერიტორიების ნაწილი სამხრეთში და ის რეგიონები, სადაც შემდგომში ალბანეთისა და არმენიის სახელმწიფოები შეიქმნა, აქემენიდურ სატრაპიებად ჩამოყალიბდა.

ცენტრალური სამხრეთ კავკასია ამ პერიოდში ქართლის მამასახლისის (შემდგომში ქართლის სამეფო) გამგებლობაში უნდა ყოფილიყო და შესაბამისად, ის აკონტროლებდა კავკასიონის ქედზე არსებულ გადმოსასვლელებს.

აქემენიდურ ირანთან ქართლის ურთიერთობის შესახებ წერილობით წყაროებში მონაცემები არ მოიპოვება. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ აქემენიდური ირანის საზღვრები კავკასიის ქედს აღწევდა.

კავკასიონზე არსებული გადმოსასვლელების კონტროლი ირანელთა სასიცოცხლო ინტერესებში შედიოდა და დარიოს I აუცილებლად შეეცდებოდა ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი კომუნიკაციების დაკავებას. ამის დადასტურება უნდა იყოს დერბენდში გამოვლენილი აქემენიდური სიმაგრე, სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე არსებული აქემენიდური სიმაგრეები და სასახლეები (ერებუნი, ბენიამინი, სარი-თეფე, ყარაჯამირლი გუმბათი, ციხია-გორა) [Khimchiashvili, Narimanishvili 1995-1996; Furtwängler 1995; Furtwängler, Knauß 1996; Gagošidze 2000; Gagošidze, Kipiani 2000; Khimchiashvili, Narimanishvili 1995-1996; Licheli 2000; Licheli 2002; Narimanišvili 2000; Macharadze 2000] და საქართველოს მთიანეთში და მთისწინა ზოლში დადასტურებული არქეოლოგიური ძეგლები.

უცხო სახელმწიფოთა (მოგვიანებით – რომი, სასანური ირანი, ბიზანტია და სხვ) სურვილი კავკასიის კარიბჭეების ხელში ჩაგდება-კონტროლი მხოლოდ ორი გზით შეიძლება განეხორციელებინათ. პირველი – ადგილობრივი ხელისუფლების გაძლიერებით და მეორე – დაპყრობითი ომით. ამათგან, უმეტეს შემთხვევაში, პირველს ენიჭებოდა უპირატესობა, რაც არქეოლოგიური მასალითაც დასტურდება. მაგ. მდიდრული

სამარხები წინწყაროდან, ყაზბეგიდან, ახალგორ-საძეგურიდან, შავსაყდარადან, ითხვისიდან, საირხიდან, ვანიდან, რომლებიც ადგილობრივ მასალასთან ერთად აქემენიდური სტილის არტეფაქტებსაც შეიცავენ.

ამ თვალსაზრისით ასევე საინტერესოა მუხათგვერდის, წიწამურის, ნატახტრისა და ვარსიმაანთკარის ძვ.წ. V-IV სს სამაროვნები, რომლებიც დარიალ-მცხეთის გზაზე მდებარეობენ და დიდი რაოდენობით შეიცავენ საბრძოლო იარაღს.

აღსანიშნავია სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე დაფიქსირებული ისეთი მძლავრი ნამოსახლარებისა და სასიმაგრო სისტემების დაფიქსირება როგორცაა ერეზუნი, ბენიამინი, ყარაჯამირლი, სარი-თეფე, გუმბათი, ციხია-გორა და სხვა), სადაც აქემენიდური სასახლეები, არქიტექტურული დეტალები (ბაზისები, კაპიტელები) და არტეფაქტები იქნა აღმოჩენილი.

აქემენიდური ირანის წარმოქმნისთანავე მისი ინტერესები (განსაკუთრებით დარიოს I-ის დროს) კავკასიასაც შეეხო. ამან თავისებური ასახვა ჰპოვა ქართლის (იბერიის) მატერიალურ და სულიერ კულტურაში. ასევე ზეგავლენა მოახდინა სოციალურ სფეროზე და ეკონომიკურ მდგომარეობაზე [Furtwängler 1995; Furtwängler, Knauß 1996; Gagošidze 2000; Gagošidze, Kipiani 2000; Khimchiashvili, Narimanishvili 1995-1996; Licheli 2000; Licheli 2002; Narimanišvili 2000].

7.0. შეჯამება და დასკვნები

ნამოსახლარის გათხრილი ფართობის ზომებია 750 კვ.მ. (სურ. 272, 273, 274); გამოვლენილია 9 ნაგებობა, 2 ხარო და 20 სამეურნეო ორმო; მოპოვებულია 8491 არტეფაქტი, რომელთაგან 819 თიხის ჭურჭელია, 6 380 კერამიკის ფრაგმენტი; ლითონის 10 ნივთი; ქვის 263 იარაღი.

დარაკოვის ნამოსახლარი ორ კულტურულ ფენას და რამდენიმე სამშენებლო ჰორიზონტს შეიცავს (ტაბ. 272-275). ზედა ფენა საკულტო, საცხოვრებელ, სამეურნეო ნაგებობებსა და სამეურნეო ორმოების ნაწილითაა წარმოდგენილი. ქვედა ფენას სამეურნეო ორმოების დიდი ნაწილი მიეკუთვნება.

ზედა ფენა, სახლებში, სამეურნეო ორმოებსა და ხაროებში აღმოჩენილი მასალების მიხედვით ძვ.წ. V-IV სს თარიღდება.

დარაკოვის ნამოსახლარზე მოპოვებული მასალებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს წითელი საღებავით შეღებილი და მოხატული კერამიკა. ასეთი სტილის კერამიკის გავრცელება აქემენიდური კულტურის გავლენით არის ახსნილი.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძვ.წ. V-I სს-ით დათარიღებული წითლად მოხატული კერამიკის სტილისტური ანალიზის მიხედვით ამ მასალაში ოთხი ძირითადი სტილი შეიძლება გამოიყოს: 1) სამკუთხედების სტილი; 2) სამადლოს სტილი; 3. კაზრეთის სტილი; 4) სამთავროს სტილი.

ამ პერიოდის მოხატული კერამიკა საქართველოს ტერიტორიაზე პირველად ქვემო ქართვლში, 1947 წელს ბ. კუფტინის მიერ სოფ. კუშიში იქნა აღმოჩენილი, რომელიც დარაკოვის ნამოსახლარიდან ხუთიოდე კილომეტრითაა დაცილებული.

XX ს-ის 50-იანი წლებიდან მოხატული კერამიკის მრავალი ნიმუში აღმოჩნდა, გაითხარა მრავალფენიანი ნამოსახლარები, სადაც წითლად მოხატული კერამიკა დომინირებდა (ჩხიკვათა, თეთრიწყარო, შავსაყდარა, ეცო, ბეშთაშენი, უფლისციხე, სამადლო, ნასტაკისი, ციხიაგორა, ვარსიმაანთკარი და სხვ.).

აღსანიშნავია, რომ ძვ.წ. V-I სს-ის მოხატული კერამიკის უდიდესი ნაწილი მონოქრომულია. ნახატი წითელი საღებავითაა შესრულებული. პარალელურად გვხვდება თეთრი საღებავით მოხატული ჭურჭლები.

დარაკოვის ნამოსახლარზე მოპოვებული წითელი საღებავით მოხატული კერამიკა, ზემოთ აღნიშნული მოხატულობის 1 და 2 სტილს შეესაბამება (სურ. 298-2,3,4,5,6; 329-1,2; 330-4,5,6; 331; 332-6,7,8,9,10; 337).

ძვ.წ. V ს-ის დასაწყისიდან ქართლის კერამიკაზე ირანული კერამიკის გავლენა შეინიშნება. ქართლის ტერიტორიაზე, მათ შორის დარაკოვის ნამოსახლარზე, გვხვდება ირანული სამყაროსათვის დამახასიათებელი სპეციფიკური, ჩაიდნისებური ჭურჭელი-იბრიყი. ვრცელდება წითელი საღებავით შეღებილი და მოხატული თიხის ჭურჭელი. ეს უკანასკნელი აქემენიდური ირანის ტერიტორიაზე გავრცელებული „სამკუთხედებით მოხატული“ კერამიკის გავლენითაა დამზადებული.

სურ. 229. № 13 ორბო: 1. სვ. № 1088; 2. სვ. № 1083; 3. სვ. № 187; 4. სვ. № 1086; 5. სვ. № 1084; 6. სვ. № 1085; 7. სვ. № 1082; 8. სვ. № 1080; 9. სვ. № 1093; 10. სვ. № 1095.



სურ. 230. № 13 ობიექტი: 1. ობიექტი № 1079; 2. ობიექტი № 1100; 3. ობიექტი № 1099; 4. ობიექტი № 1098; 5. ობიექტი № 1097.



სურ. 231. № 14 ორმო. გეგმა და ჭრილი.



სურ. 232. № 14 ორმო. საერთო ხედი.



სურ. 233. № 14 ორმოს ხედი გათხრის შემდეგ.




სურ. 234. №№ 15,16 ორმოების ხედი გათხრამდე.



სურ. 235. №№ 15,16 ორმოების მიმართება № 1 სახლთან.




სურ. 236. № 15,16 ორმოების ხედი გათხრის შემდეგ.




სურ. 237. № 15,16 ორმოების გეგმა და კრილი.




სურ. 238. №15 ორმო (იხვ. 1101). სურ. 239. № 15 ორმო (იხვ. 1104). სურ. 240. №15 ორმო (იხვ.1105).



სურ. 241. № 15 ორბო: 1. ოვ. № 1108; 2. ოვ. № 1109; 3. ოვ. № 1106; 4. ოვ. № 1104; 5. ოვ. № 1105;
6. ოვ. № 1107; 7. ოვ. № 1101; 8. ოვ. № 1103; 9. ოვ. № 1112; 10. ოვ. № 1116.



სურ. 242. № 16 ცხრილი: 1. სვ. № 1142; 2. სვ. № 1130; 3. სვ. № 1128; 4. სვ. № 1129; 5. სვ. № 1138; 6. სვ. № 1139; 7. სვ. № 1134; 8. სვ. № 1122; 9. სვ. № 1121; 10. სვ. № 1132; 11. სვ. № 1137; 12. სვ. № 1147; 13. სვ. № 1146; 14. სვ. № 1149.



სურ. 243. № 16 ცომთ: 1. სვ. № 1117; 2. სვ. № 1127; 3. სვ. № 1120; 4. სვ. № 1133; 5. სვ. № 1123;
6. სვ. № 1126; 7. სვ. № 1124; 8. სვ. № 1141; 9. სვ. № 1136.




სურ. 244. № 17 ორმო გათხრამდე.



სურ. 245. № 17 ორმო გათხრის შემდეგ.



სურ. 246. № ორმო. საერთო ხედი.



სურ. 247. №№ 17, 18 ორმოები. გეგმები და ჭრილები.




სურ. 248. №№ 13, 18, 19 ორმოების საერთო ხედი.



სურ. 249. №№ 13,19 ორმოების ხედი.



სურ. 250. № 19 ორმოს ხელი გათხრის შემდეგ.



სურ. 251. №№ 19, 20 ორმოები. გეგმები და ჭრილები.



სურ. 252. № 19 ორმო (იხე. № 1151).



სურ. 253. № 19 ორმო (იხე. № 1153).




სურ. 254. № 19 ორმო (იხე. № 1162).




სურ. 255. № 19 ორმო (იხე. № 1164).




სურ. 256. № 19 ორმო (იხე. № 1163).



სურ. 257. № 19 ობიექტი: 1. ობიექტი № 1153; 2. ობიექტი № 1158; 3. ობიექტი № 1151.



სურ. 258. 1. № 19 ორძო (ოვგ. № 1155); 2. № 19 ორძო (ოვგ. № 1157); 3. № 19 ორძო (ოვგ. № 1152); 4. № 19 ორძო (ოვგ. № 1162); 5. № 19 ორძო (ოვგ. № 1163); 6. № 19 ორძო (ოვგ. № 1164); 7. № 20 ორძო (ოვგ. № 1165);



სურ. 259. №№ 19,20 ორმოების საერთო ხედი.



სურ. 260. № 1 ხაროს ძირი.



სურ. 261. № 1 ხარო. ძაღლის ჩონჩხი.




სურ. 262. № 1 ხაროს ხედი პრეპარაციის დასრულების შემდეგ.




სურ. 263. № 2 ხაროს ხედი.




სურ. 264. № 2 ხაროს ხედი პრეპარაციის დასრულების შემდეგ.



სურ. 265. № 1 ხარო და № 2 სახლი. გეგმა.



სურ. 266. № 1 ხარო და № 2 სახლი. ჭრილები.




სურ. 267. №№ 1, 2 ხარობი. გეგმა და ჭრილები.




სურ. 268. № 1 ხარო (იხვ. 941, 942).




სურ. 269. № 2 ხარო (იხვ. № 949, 950).




სურ. 270. 1. № 1 ხაზო (თბვ. № 942); 2. № 1 ხაზო (თბვ. № 941); 3. № 1 ხაზო (თბვ. № 945); 4. № 2 ხაზო (თბვ. № 950); 5. № 2 ხაზო (თბვ. № 951); 6. № 2 ხაზო (თბვ. № 952); 7. № 2 ხაზო (თბვ. № 971); 8. № 2 ხაზო (თბვ. № 967);




სურ. 271. № 2 ხაზით: 1. სგ. № 954; 2. სგ. № 957; 3. სგ. № 953; 4. სგ. № 955; 5. სგ. № 960; 6. სგ. № 958; 7. სგ. № 956; 8. სგ. № 951; 9. სგ. № 962; 10. სგ. № 963; 11. სგ. № 949;




სურ. 272. განათხარი გართობის გენგეგმა.



სურ. 273. ნაგებობების გეგმა.



სურ. 274. გეგმები. კრილი 1:1; 2:2; 3:3; 4:4.



სურ. 275. გენგეგმა. კრილი 5:5; 6:6; 7:7.




სურ. 276. განათხარი ფართობის კონსერვაციის პროცესი.



სურ. 277. განათხარი ფართობის კონსერვაციის პროცესი.



სურ. 278. განათხარი ფართობის კონსერვაციის პროცესი.




სურ. 279. განათხარი ფართობის ხედი რეკულტივაციის შემდეგ.




სურ. 280. განათხარი ფართობის ხელი რეკულტივაციის შემდეგ.




სურ. 281. განათხარი ფართობის ხელი რეკულტივაციის შემდეგ.




სურ. 282. სახლი № 1: 1. იგვ. № 178; 2. იგვ. № 179; 3. იგვ. № 141; 4. იგვ. № 140; 5. იგვ. № 394.




სურ. 283. სახლი № 1: 1. ობ. № 150; 2. ობ. № 182; 3. ობ. № 183; 4. ობ. № 173; 5. ობ. № 157; 6. ობ. № 158; 7. ობ. № 160; 8. ობ. № 159.




სურ. 284. სახლი № 1: 1. სვ. № 163; 2. სვ. № 168; 3. სვ. № 161; 4. სვ. № 165; 5. სვ. № 162; 6. სვ. № 172; 7. სვ. № 1644 8. სვ. № 170; 9 სვ. № 193.




სურ. 285. სახლი № 1: 1. სგ. № 289; 2. სგ. № 291; 3. სგ. № 290; 4. სგ. № 292; 5. სგ. № 284; 6. სგ. № 285; 7. სგ. № 286; 8. სგ. № 328; 9. სგ. № 339.




სურ. 286. სახლი № 1: 1. სვ. № 349; 2. სვ. № 59; 3. სვ. № 61; 4. სვ. № 62; 5. სვ. № 175; 6. სვ. № 190; 7. სვ. № 195; 8. სვ. № 194 9. სვ. № 295; 10. სვ. № 302; 11. სვ. № 309; 12. სვ. № 310; 13. სვ. № 311; 14. სვ. № 301; 15. სვ. 3 298.




სურ. 287. სახლი № 1: 1. ობე. № 325; 2. ობე. № 313; 3. ობე. № 320; 4. ობე. № 321; 5. ობე. № 314; 6. ობე. № 315; 7. ობე. № 329; 8. ობე. № 360 9. ობე. № 358; 10. ობე. № 316.




სურ. 288. სახლი № 1: 1. ობვ. № 333; 2. ობვ. № 326; 3. ობვ. № 323; 4. ობვ. № 324; 5. ობვ. № 330; 6. ობვ. № 335; 7. ობვ. № 336; 8. ობვ. № 332; 9. ობვ. № 340; 10. ობვ. № 327; 11. ობვ. № 334.




სურ. 289. სახლი № 1: 1. იგვ. № 191; 2. იგვ. № 366; 3. იგვ. № 294; 4. იგვ. № 293; 5. იგვ. № 180.




სურ. 290. სახლი № 1: 1. იხვ. 84.




სურ. 291. სახლი № 1: 1. იგ. № 185; 2. იგ. № 184; 3. იგ. № 187; 4. იგ. № 186; 5. იგ. № 338; 6. იგ. № 337; 7. იგ. № 300; 8. იგ. № 188; 9. იგ. № 317; 10. იგ. № 318; 11. იგ. № 110.




სურ. 292. სახლი № 1: 1. სვ. № 56; 2. სვ. № 55; 3. სვ. № 57; 4. სვ. № 58; 5. სვ. № 143; 6. სვ. № 354; 7. სვ. № 94; 8. სვ. № 111; 9. სვ. № 351.




სურ. 293. სახლი № 1: 1. იგვ. № 91; 2. იგვ. № 92; 3. იგვ. № 114; 4. იგვ. № 89; 5. იგვ. № 90; 6. იგვ. № 98...




სურ. 294. სახლი № 1: 1. იგვ. № 124; 2. იგვ. № 120; 3. იგვ. № 123; 4. იგვ. № 129; 5. იგვ. № 130; 6. იგვ. № 142; 7. იგვ. № 145; 8. იგვ. № 118; 9. იგვ. № 350.




სურ. 295. სახლი № 1: 1. სგ. № 364; 2. სგ. № 362; 3. სგ. № 365; 4. სგ. № 177; 5. სგ. № 363; 6. სგ. № 128; 7. სგ. № 119; 8. სგ. № 355; 9. სგ. № 93; 10. სგ. № 121.




სურ. 296. სახლი № 1: 1. იგვ. № 348; 2. იგვ. № 115; 3. იგვ. № 117; 4. იგვ. № 116; 5. იგვ. № 346; 6. იგვ. № 196; 7. იგვ. № 353; 8. იგვ. № 352.




სურ. 297. სახლი № 1: 1. სგვ. № 53; 2. სგვ. № 43; 3. სგვ. № 38; 4. სგვ. № 39; 5. სგვ. № 42; 6. სგვ. № 322; 7. სგვ. № 181; 8. სგვ. № 66.




სურ. 298. სახლი № 1: 1. სვ. № 68; 2. სვ. № 51; 3. სვ. № 49; 4. სვ. № 83; 5. სვ. № 40; 6. სვ. № 147; 7. სვ. № 255; 8. სვ. № 52; 9. სვ. № 41; 10. სვ. № 54.




სურ. 299. სახლი № 1: 1. სვ. № 218; 2. სვ. № 223; 3. სვ. № 220; 4. სვ. № 224; 5. სვ. № 219; 6. სვ. № 221; 7. სვ. № 225; 8. სვ. № 222; 9. სვ. № 228; 10. სვ. № 227; 11. სვ. № 236; 12. სვ. № 235; 13. სვ. № 232; 14. სვ. № 243; 15. სვ. № 241; 16. სვ. № 339; 17. სვ. № 229; 18 სვ. № 242.




სურ. 300. სახლი № 1: 1. სვ. № 197; 2. სვ. № 198; 3. სვ. № 199; 4. სვ. № 200; 5. სვ. № 202; 6. სვ. № 203; 7. სვ. № 204; 8. სვ. № 207; 9. სვ. № 205; 10. სვ. № 208; 11. სვ. № 209; 12. სვ. № 210; 13. სვ. № 211; 14. სვ. № 212; 15. სვ. № 214; 16. სვ. № 215; 17. სვ. № 216; 18. სვ. № 217; 19. სვ. № 213; 20. სვ. № 389.




სურ. 301. სახლი № 1: 1. ივ. № 396; 2. ივ. № 367; 3. ივ. № 368; 4. ივ. № 369; 5. ივ. № 370; 6. ივ. № 371; 7. ივ. № 372; 8. ივ. № 374; 9. ივ. № 376; 10. ივ. № 375; 11. ივ. № 379; 12. ივ. № 381; 13. ივ. № 377; 14. ივ. № 378; 15. ივ. № 380; 16. ივ. № 391; 17. ივ. № 373; 18. ივ. № 384; 19. ივ. № 385; 20. ივ. № 387; 21. ივ. № 383; 22. ივ. № 382..




სურ. 302. სახლი № 1: 1. იგ. № 44; 2. იგ. № 45; 3. იგ. № 47; 4. იგ. № 46; 5. იგ. № 131; 6. იგ. № 146.



სურ. 303. სახლი № 1:1. სგ. № 79; 2. სგ. № 82; 3. სგ. № 146; 4. სგ. № 88; 5. სგ. № 87; 6. სგ. № 85; 7. სგ. № 86.




სურ. 304. სახლი № 1:1. იგვ. № 50; 2. იგვ. № 75; 3. იგვ. № 73; 4. იგვ. № 78; 5,6. იგვ. № 76; 7. იგვ. № 80; 8. იგვ. № 74; 9. იგვ. № 77; 10. იგვ. № 81.




სურ. 305. სახელო № 1: 1. სგ. № 933; 2. სგ. № 12; 3. სგ. № 14; 4. სგ. № 9; 5. სგ. № 10; 6. სგ. № 30; 7. სგ. № 26; 8. სგ. № 29; 9. სგ. № 31; 10. სგ. № 10; 11. სგ. № 15; 12. სგ. № 24;


13. სგ. № 13.




სურ. 306. სახელი № 2. 1. ობვ. № 458; 2. ობვ. № 460; 3. ობვ. № 459; 4. ობვ. № 472; 5. ობვ. № 470; 6. ობვ. № 450.




სურ. 307. სახლი № 2. 1. სგ. № 462; 2. სგ. № 455; 3. სგ. № 453; 4. სგ. № 457; 5. სგ. № 456; 6. სგ. № 454.




სურ. 308. სახლი № 3: 1. სვ. № 485; 2. სვ. № 489; 3. სვ. № 483; 4. სვ. № 484; 5. სვ. № 477; 6. სვ. № 479; 7. სვ. № 480; 8. სვ. № 478; 9. სვ. № 482; 10. სვ. № 481; 11. სვ. № 488.




სურ. 309. სახლი № 4: 1. იგ. № 609; 2. იგ. № 565; 3. იგ. № 518; 4. იგ. № 606; 5. იგ. № 603; 6. იგ. № 520.




სურ. 310. სახლი № 4: 1. სგ. № 600; 2. სგ. № 517; 3. სგ. № 601; 4. სგ. № 509; 5. სგ. № 612; 6. სგ. № 519; 7. სგ. № 522; 8. სგ. № 547; 9. სგ. № 524; 10. სგ. № 528; 11. სგ. № 527; 12. სგ. № 526.




სურ. 311. სახლი № 4: 1. სვ. № 602; 2. სვ. № 627; 3. სვ. № 574; 4. სვ. № 511; 5. სვ. № 510; 6. სვ. № 514; 7. სვ. № 521; 8. სვ. № 513; 9. სვ. № 529; 10. სვ. № 512.




სურ. 312. სახლი № 4: 1. სგ. № 533; 2. სგ. № 534; 3. სგ. № 531; 4. სგ. № 604; 5. სგ. № 541; 6. სგ. № 551; 7. სგ. № 543; 8. სგ. № 502; 9. სგ. № 499.




სურ. 313. სახლი № 4: 1. იგვ. № 532; 2. იგვ. № 530; 3. იგვ. № 536; 4. იგვ. № 539; 5. იგვ. № 540; 6. იგვ. № 542; 7. იგვ. № 535; 8. იგვ. № 538; 9. იგვ. № 553.




სურ. 314. სახლი № 4: 1. ივ. № 537; 2. ივ. № 554; 3. ივ. № 608; 4. ივ. № 610; 5. ივ. № 615; 6. ივ. № 611.





სურ. 315. სახლი № 4: 1. იგვ. № 544; 2. იგვ. № 515; 3. იგვ. № 504; 4. იგვ. № 516; 5. იგვ. № 525; 6. იგვ. № 523; 7. იგვ. № 552; 8. იგვ. № 566.




სურ. 316. სახლი № 4: 1. სვ. № 635; 2. სვ. № 637; 3. სვ. № 626; 4. სვ. № 625; 5. სვ. № 623; 6. სვ. № 546; 7. სვ. № 660; 8. სვ. № 550; 9. სვ. № 549; 10. სვ. № 545; 11. სვ. № 630; 12. სვ. № 620; 13. სვ. № 624





სურ. 317. სახლი № 4: 1. სვკ. № 650; 2. სვკ. № 655; 3,4. სვკ. № 656; 5. სვკ. № 654; 6. სვკ. № 653; 7. სვკ. № 643; 8. სვკ. № 651; 9. სვკ. № 652; 10. სვკ. № 657; 11. სვკ. № 658.





სურ. 318. სახელო № 4: 1. ობე. № 663; 2. ობე. № 662; 3. ობე. № 664; 4. ობე. № 661.



სურ. 319. სახლი № 4: 1. იგვ. № 665; 2. იგვ. № 573; 3. იგვ. № 613; 4. იგვ. № 622; 5. იგვ. № 556; 6. იგვ. № 555; 7. იგვ. № 561; 8. იგვ. № 501; 9. იგვ. № 557; 10. იგვ. № 568; 11. იგვ. № 560; 12. იგვ. № 559.




1




2




სურ. 320. სახლი № 4: 1. ობე. № 936; 2. ობე. № 935




სურ. 321. სახლი № 4: 1. ივ. № 934; 2. ივ. № 644; 3. ივ. № 645; 4. ივ. № 646; 5. ივ. № 649; 6. ივ. № 648; 7. ივ. № 647.




სურ. 322. სახლი № 5: 1. ობე. № 716; 2. ობე. № 719; 3. ობე. № 717; 4. ობე. № 715; 5. ობე. № 670; 6. ობე. № 672; 7. ობე. № 686; 8. ობე. № 678; 9. ობე. № 687; 10. ობე. № 675; 11. ობე. № 676; 12. ობე. № 677; 13. ობე. № 688; 14. ობე. № 685; 15. ობე. № 679; 16. ობე. № 718.




სურ. 323. სახლი № 5: 1. იგვ. № 709; 2. იგვ. № 710; 3. იგვ. № 674; 4. იგვ. № 673; 5. იგვ. № 668; 6. იგვ. № 729; 7. იგვ. № 722; 8. იგვ. № 699; 9. იგვ. № 735; 10. იგვ. № 736.




სურ. 324. სახლი № 5: 1. იგვ. № 693; 2. იგვ. № 691; 3. იგვ. № 692; 4. იგვ. № 695; 5. იგვ. № 694; 6. იგვ. № 696; 7. იგვ. № 731; 8. იგვ. № 681; 9. იგვ. № 683.




სურ. 325. სახლი № 5: 1. იგვ. № 689; 2. იგვ. № 690; 3. იგვ. № 747; 4. იგვ. № 741; 5. იგვ. № 743; 6. იგვ. № 742; 7. იგვ. № 747; 8. იგვ. № 746; 9. იგვ. № 745; 10. იგვ. № 744.




სურ. 326. სახლი № 6: 1. ობვ. № 801; 2. ობვ. № 803; 3. ობვ. № 777; 4. ობვ. № 781; 5. ობვ. № 782; 6. ობვ. № 780; 7. ობვ. № 806; 8. ობვ. № 809; 9. ობვ. № 810; 10. ობვ. № 813; 11. ობვ. № 814




სურ. 327. სახლი № 6: 1. სვ. № 754; 2. სვ. № 774; 3. სვ. № 773; 4. სვ. № 775; 5. სვ. № 797; 6. სვ. № 799; 7. სვ. № 798; 8. სვ. № 800; 9. სვ. № 812.




სურ. 328. სახლი № 6: 1. იგვ. № 790; 2. იგვ. № 804; 3. იგვ. № 760; 4. იგვ. № 772; 5. იგვ. № 787; 6. იგვ. № 786; 7. იგვ. № 785; 8. იგვ. № 788.




სურ. 329. სახლი № 6: 1. ობე. № 755; 2. ობე. № 756; 3. ობე. № 794; 4. ობე. № 784; 5. ობე. № 783; 6. ობე. № 776; 7. ობე. № 796; 8. ობე. № 823; 9. ობე. № 778; 10. ობე. № 752; 11. ობე. № 779.




სურ. 330. სახლი № 6: 1. იხვ. № 805; 2. იხვ. № 817; 3. იხვ. № 818; 4. იხვ. № 757; 5. იხვ. № 758; 6. იხვ. № 759.




სურ. 331. სახლი № 6: 1. იგვ. № 753; 2. იგვ. № 751; 3. იგვ. № 843; 4. იგვ. № 750; 5. იგვ. № 764; 6. იგვ. № 846; 7. იგვ. № 762; 8. იგვ. № 765; 9. იგვ. № 767.




სურ. 332. სახლი № 6: 1. სვ. № 761; 2. სვ. № 845; 3-6. სვ. № 763; 7,8. სვ. № 766; 9,10. სვ. № 844; 11. სვ. № 807; 12. სვ. № 749; 13. სვ. № 848.




სურ. 333. სახლი № 6: 1. სვ. № 834; 2. სვ. № 835; 3. სვ. № 842; 4. სვ. № 830; 5. სვ. № 833; 6. სვ. № 831; 7. სვ. № 841; 8. სვ. № 832; 9. სვ. № 837; 10. სვ. № 838; 11. სვ. № 839; 12. სვ. № 840; 13. სვ. № 836.




სურ. 334. სახლი № 7: 1. ივ. № 906; 2. ივ. № 876; 3. ივ. № 892; 4. ივ. № 890; 5. ივ. № 903; 6. ივ. № 886; 7. ივ. № 896; 8. ივ. № 889; 9. ივ. № 897; 10. ივ. № 908; 11. ივ. № 899; 12. ივ. № 874; 13. ივ. № 881; 14. ივ. № 873.




სურ. 335. სახლი № 7: 1. იგვ. № 888; 2. იგვ. № 879; 3. იგვ. № 901; 4. იგვ. № 885; 5. იგვ. № 894; 6. იგვ. № 895; 7. იგვ. № 878; 8. იგვ. № 869; 9. იგვ. № 868.




სურ. 336. სახლი № 7: 1. სგ. № 872; 2. სგ. № 877; 3. სგ. № 904; 4. სგ. № 887; 5. სგ. № 870; 6. სგ. № 891; 7. სგ. № 902; 8. სგ. № 882; 9. სგ. № 893; 10. სგ. № 880; 11. სგ. № 905; 12. სგ. № 898; 13. სგ. № 907; 14. სგ. № 900; 15. სგ. № 875.




სურ. 337. სახლი № 7: 1. სვ. № 850; 2. სვ. № 852; 3. სვ. № 851; 4. სვ. № 853; 5. სვ. № 856; 6. სვ. № 857; 7. სვ. № 862; 8. სვ. № 854; 9. სვ. № 865; 10. სვ. № 855; 11. სვ. № 863; 12. სვ. № 862; 13. სვ. № 868; 14. სვ. № 859; 15. სვ. № 864.




სურ. 338. სახლი № 7: 1. ივ. № 871; 2. ივ. № 918; 3. ივ. № 917; 4. ივ. № 916; 5. ივ. № 924.



სურ. 339. სახლი № 7: 1. იგ. № 939; 2. იგ. № 938; 3. იგ. № 937; 4. იგ. № 922; 5. იგ. № 921.



სურ. 340. სახლი № 7: 1. იგვ. № 920; 2. იგვ. № 919; 3. იგვ. № 914; 4. იგვ. № 915; 5. იგვ. № 923.



სურ. 341. 1. სახლი № 8, იგ. № 925; 2. სახლი 9, იგ. № 931.

დარაკოვის ნამოსახლარზე მოპოვებული ოსტეოლოგიური მასალა

ანტიკური ხანის დარაკოვის ნამოსახლარზე მცხოვრებთა ძირითად საკვებს წარმოადგენდა ხორცი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები, რაზეც მეტყველებს აქ აღმოჩენილი შინაური ცხოველების მრავალრიცხოვანი ძვლოვანი ნაშთი. ნამოსახლარზე ჩვენს მიერ დადასტურებულია: ქათამი, ვირი, ცხენი, ღორი, ცხვარი, თხა, კამეჩი(?) და მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, აგრეთვე ძაღლი. გარდა ამისა დარაკოვის ნამოსახლარის კულტურულ ფენებში აღმოჩნდა გარეული ცხოველების ნაშთებიც: მელა, მაჩვი, დათვი, შველი და კეთილშობილი ირემი, ასევე დაფიქსირებულია რომელიღაც ფრინველის რამდენიმე წვრილი ძვალი, მემინდვრიას ქვედა ყბა და თევზის ერთი მალა.

შინაური ცხოველები.

ქვემოთ მოგვყავს დარაკოვის ნამოსახლარზე აღმოჩენილი შინაური ცხოველების ძვლოვანი ნაშთის მოკლე დახასიათება.

ძროხა (Bos taurus brachyceros). ძროხისა და ხარის ძვლოვან ნაშთებში გამოიყო ორი ჯგუფი. პირველ ჯგუფში გაერთიანებული ოსტეოლოგიური მასალა როგორც ზომით, ისევე მორფოლოგიურად, ძალიან ჰგავს აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ძროხის აბორიგენულ ჯიშს - ე.წ. ხევსურულ ძროხას¹, ხოლო მეორე ჯგუფში ერთიანდება უფრო დიდი ზომის საქონლის ძვლოვანი ნაშთები (აღნიშნული ძვლოვანი მასალის განსხვავებული ზომები უნდა მიუთითებდეს სქესობრივ დიმორფიზმზე)².

მცირე ზომის ე.წ. ხევსურულ ძროხას, რომელიც გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში, აბორიგენულად მივიჩნევთ იმიტომ, რომ მსგავსი ტიპის საქონლის ძვლოვანი ნაშთი ფიქსირდება აღმოსავლეთ საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ძეგლებზე პრაქტიკულად უწყვეტად, შესაძლოა უკვე წინარე ისტორიული ხანის ყველაზე ადრეული ეტაპიდან – ადრეული ენეოლითიდან (ან ნეოლითიდან). მსგავსი მორფოტიპის ძროხების ძვლოვანი ნაშთი (მათ შორის შუბლის ძვლის რამდენიმე ეგზემპლარი რქებით) ჩვენს მიერ დაფიქსირებულია ნაჭივჭავეების როგორც ადრეპრინჯაოს, ასევე ენეოლითის ხანის ორმოებში [მატბერაშვილი ... 2006]. ამ ტიპის მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ძვლოვანი ნაშთები აღმოჩენილია აღმოსავლეთ და

¹ ტექსტის ბოლოს მოცემულია ინვენტარის ნომრები.

სამხრეთ საქართველოში გათხრილ შემდგომი პერიოდით დათარიღებულ არქეოლოგიურ ძეგლებზეც, თანამედროვე ეპოქის წინამორბედი დროის ფენების ჩათვლით.

გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ შუაბრინჯაოს ხანით დათარიღებული თრილეტის ყორღანები, რომლებშიც, როგორც წესი, უმეტესად გვხვდება დიდი ზომის მსხვილფეხა საქონლის მთელი ჩონჩხები (უკრაინისა და უნგრეთის *Bos taurus primigenius* ტიპის), რაც შესაძლოა მიგვითითებს თრიალეთის კულტურის შემქმნელთა საქონლის არასამხრეთ-კავკასიურ წარმოშობაზე. თუმცა ჯერ კიდევ საკამათოა თრიალეთის ყორღანებიდან მომდინარე მსხვილფეხა რქოსანი საქონლის წარმოშობა და ტაქსონომიური სტატუსი, რადგან ჩვენ ჯერ არ ვიცით რას წარმოადგენს ეს საქონელი: რიტუალებისათვის სპეციალურად გამოყვანილი ჯიშს, თუ ასეთი იყო თრიალეთის კულტურის ეპოქის მთელი საქონელი.

რაც შეეხება საქონლის მცირე ზომის აბორიგენულ სახეობას, ე.წ. ხევსურულ ტიპს (*Bos taurus brachyceros morpha khevsurica*), მისი არსებობა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ერთიდაიგივე ტერიტორიაზე, წარმოადგენს უაღრესად საინტერესო ფაქტს, რადგან ეს მიუთითებს უპირველეს ყოვლისა მის შეგუებლობასა და კავშირს იმ რეგიონების ბუნებრივ პირობებთან, სადაც ის დაფიქსირებულია ესოდენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში (მხედველობაში გვაქვს მთა-გორიანი რელიეფი). უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა ეპოქაში, მიუხედავად მისი მცირე ზომისა, ამ სახეობის საქონელს აფასებდნენ მისი ამტანობის, აგრეთვე მისთვის დამახასიათებელი სხვა თვისებების გამო, როგორცაა მაღალი წვევადობა, რძის ცხიმოვანობა და სხვ.

დარაკოვში მოპოვებულ ოსტეოლოგიურ მასალაში დაფიქსირებული მსხვილფეხა რქოსანი საქონლის კისრის II მალეები უმეტესად წინა ნაწილითაა წარმოდგენილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თავის მოკვეთა დაკლულ საქონელზე წარმოებდა კისრის ზუსტად ამ ადგილზე.

დარაკოვის ნამოსახლარის № 1 სახლში აღმოჩნდა მსხვილფეხა რქოსანი საქონლის თავის ქალის შუბლისა და კეფის ფრაგმენტი, მარცხენა რქის ძირით. თავის ქალის აღნიშნული ფრაგმენტი, რქის ბაზალური ნაწილი ელიფსური ფორმის განივი ჭრილისა და ამ ჯიშისათვის შედარებით დიდი ზომის რქის მიხედვით, ეკუთვნის ზრდასრულ ხარს. ეს ნიმუში (ინვ. № Dar. zoo. 08.01) ჩვენთვის დიდად საინტერესოა, რადგან საშუალებას გვაძლევს უფრო ზუსტად განვსაზღვროთ დარაკოვის ნამოსახლარზე მოპოვებული შინაური საქონლის ჯიში. კეფის შემორჩენილი ფრაგმენტის საფუძველზე ჩანს, რომ კეფის ნაკერი ქმნის დამრეცვევრდებიან სამკუთხედს. შუბლის ზედა ნაწილის (თავის ქალის ბუნებრივი ორიენტაციის დროს) ანუ რქათაშორისი ლილვაკის ცენტრში მოთავსებულია საკმაოდ დიდი წარმონაქმნი ბურცობის სახით, რომლის აბორაღური

კიდევ ნახევარმთვარისებურადაა ამოღარული. შუბლის ძვლის უკანა ნაწილს აქვს სუსტად გამოხატული გუმბათისებური ფორმა. ზემოთ აღწერილი შუბლისა და კეფის ძვლების აკეზებულია ძლიერ დამახასიათებელია *Bos taurus brachyceros*-ის ქვესახეობისათვის. რქის ძირი, თავის ქალას ჰორიზონტალური მდგომარეობის დროს, მიმართულია თითქმის ჰორიზონტალურად, ოდნავი გადახრით უკან. რქის შემორჩენილ ძირს აქვს ელიფსისებური განივკვეთი (ზომები: რქის ძირთან დიდი დიამეტრი – 72,1 მმ, მცირე დიამეტრი – 55,2 მმ).

კამეჩი (*Bubalus bubalis*)³. დარაკოვის ნამოსახლარის ოსტეოლოგიურ მასალაში ჩვენს მიერ განსაზღვრულია კამეჩის რამდენიმე კბილი, რომლებიც შინაური ძროხის კბილებისაგან განსხვავდება თავისი მასიურობით, მინანქრის სისქით, აგრეთვე ქვედა მოლარების შიდა ზედაპირზე არსებული ორი ბურცობის მომეტებულიად მომრგვალებული ფორმით.

შინაური ღორი (*Sus domesticus*)⁴. დარაკოვის ნამოსახლარზე შინაური ღორის ძვლები წარმოდგენილია თითქმის იგივე რაოდენობით, როგორც შინაური ძროხისა, რაც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ დარაკოვის ნამოსახლარის მცხოვრებთა რაციონში ღორის ხორცს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. დარაკოვში მოპოვებულ ღორის ძვლოვანი მასალა საშუალო ზომისაა და თავისი ჰაბიტუსით ეს ღორი ჰგავს თანამედროვე კახეთის ტერიტორიაზე გავრცელებულ შავ ღორს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ღორის ძვლების ნაწილი მცირე ზომისაა, რაც უახლოვდება თანამედროვე გოჭის ძვლების ზომას. ეს წვრილი ძვლები ფაქტიურად ორჯერ უფრო პატარაა, ვიდრე კახური ღორებისა და სამჯერ უფრო მცირეა, ვიდრე თანამედროვე ევროპული შინაური ღორისა. ღორის ძვლების ასეთი მცირე ზომებიდან გამომდინარე, შეიძლება გვეფიქრა, რომ საქმე გვაქვს ახალგაზრდა ინდივიდთან. თუმცა ყველა ეს ძვალი ეკუთვნის ზრდასრულ ცხოველს. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ეს მცირე ზომის ძვლები ეკუთვნის ღორის განსაკუთრებულ, ჯუჯა სახეობას და ვთვლით, რომ ეს ნიმუშები წარმოადგენენ დარაკოვის შინაური ღორის მინიმალური მარცვნილების ცვალებადობის ზღვარს.

ცხვარი ან თხა (*Ovis aut Capra*)⁵. ძვლოვანი ნაშთის ფრაგმენტულობის გამო წვრილფეხა რქოსანი საქონლის ამ ორი სახეობის ძვლების ერთმანეთისაგან გამორჩევა ჭირს და ამიტომ მათ ერთად განვიხილავთ. ცხვრისა და თხის ძვლების ერთმანეთისაგან გარჩევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება რქები, თავის ქალები ან მათი ფრაგმენტები და ჩონჩხის სხვა დამახასიათებელი ელემენტები, როგორცაა ფალანგების მეტაპოდიუმი, წვივის ქვედა ნაწილი, სხივის ძვლის ზედა ნაწილი, კოჭი და ტერფის ძვლები. იუხედავად ამისა, შესაძლებელია აღვნიშნოთ, რომ დარაკოვის ნამოსახლარზე მოპოვებული ცხვრის ძვლები უფრო დიდი ზომისაა, ვიდრე თუშური ცხვრის, მაშინ როცა საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილ ძეგლებზე მოპოვებული თხის ძვლები უმეტესად უფრო მცირე ზომისაა, ვიდრე ცხვრისა.

წვრილფეხა რქოსანი საქონლის ძვლების რაოდენობა თითქმის უტოლდება ძროხის ძვლების რაოდენობას, რაც შესაძლოა მიუთითებდეს მეცხვარეობის (და თხის

მოშენების) განვითარებაზე სამხრეთ საქართველოს იმ რეგიონში, რომელშიც შედის ანტიკური ხანის დარაკოვის ნამოსახლარი.

შინაური ცხენი (*Equus caballus*)⁶. დარაკოვის ნამოსახლარზე შედარებით ნაკლები რაოდენობით აღმოჩნდა ცხენის ძვლები, რომელთა ზომები მცირედზე ვარიირებენ. არის მაგალითად, დიდი და მასზე ოდნავ ნაკლები ზომის ძვლები, აქვე აღმოჩნდა ერთი ზედა კბილი (ინვ. № 67), რომელიც ძალიან მცირე ზომის ინდივიდს უნდა ეკუთვნოდეს. აღნიშნული კბილი შესაძლოა ეკუთვნის კანჯარს, რომელიც უკვე პლეისტოცენის დასასრულსა და პოლოცენის დასაწყისში ბინადრობდა გომარეთსა და წაღკის პლატოზე.

ვირი (*Equus asinus*)⁷. ვირი აღმოჩნდა დარაკოვის ნამოსახლარის № 1 სახლში. იგი წარმოდგენილია კარგად დაცული სხივისა და იდაყვის ძვლის ზედა ნაწილით შესახსრებაში (ინვ. № Dar. zoo. 08.140).

შინაური ძაღლი (*Canis familiaris*)⁸. დარაკოვის ნამოსახლარის № 1 სახლის ოსტეოლოგიურ მასალაში აღმოჩნდა საშუალო ზომის შინაური ძაღლის ერთი ინდივიდის ჩონჩხი (მათ შორის თავის ქალის ფრაგმენტები და ქვედა ყბა). შემორჩენილი კბილების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს არის ბებერი ძაღლი, საკმაოდ გაცვეთილი კბილებითა და მოტეხილი ეშვით. ჩვენი აზრით ეს ძვლოვანი ნაშთი ეკუთვნის ეზოს ძაღლს (ან მონადირე ძაღლს; ინვ. № Dar. zoo. 08.16).

გაცილებით საინტერესოა № 1 სახლში აღმოჩენილი დიდი ზომის ძაღლის ორი ძვალი (ერთი ინდივიდის სხივისა და იდაყვის ძვლის ფრაგმენტები; ინვ. № Dar. zoo. 08.76,119), რომელსაც, მის ზომებზე დაყრდნობით, ჩვენ სავარაუდოდ ვუახლოვებთ ე.წ. ქართულ (კავკასიურ) ნაგაზს (*Canis pastoralis morpha caucasica*)⁹. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი დიდი ზომის მორფოტიპის ძვლები, რომელიც ძალიან ჰგავს თანამედროვე კავკასიური ნაგაზის ძვლებს, ჩვენს მიერ უკვე განსაზღვრულია სამხრეთ საქართველოში გათხრილ ძეგლებზე ორჭოსანისა [ბარამიძე ... 2006] და კლდეს ანტიკური ხანის ფენებში [ლამბაშიძე 2006]. შესაბამისად მეტნაკლები სიზუსტით შეგვიძლია ვისაუბროთ იმ ეპოქის სამხრეთ საქართველოში კავკასიური ნაგაზის არსებობის შესახებ და ამის საფუძველზე ამ რეგიონში მეცხვარეობის განვითარებაზე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი მონაცემებით საქართველოში (ისევე, როგორც მთელ ევრაზიაში) დიდი ზომის ძაღლები არსებობდნენ უკვე მეზოლითში და შესაძლოა, გვიანი პალეოლითის მიწურულსაც. რაზეც მეტყველებს ცივი მღვიმისა და ძუძუნას აღმოჩენები [Bendukidze 2002].

გარდა ამისა, ჩვენი მონაცემებით კარგად შემონახული ძაღლის ქვედა ყბა დაცულია საგვარჯილეს გამოქვაბულის გვიანპალეოლითურ ფენებში.

გარეული ცხოველები:

მელა (*Vulpes vulpes*)¹⁰ და მაჩვი (*Meles meles*)¹¹. დარაკოვის ნამოსახლარზე მოპოვებული გარეული ცხოველების ძვლებს შორის რაოდენობრივად ჭარბობს ორი სახეობის

მტაცებლის – მელიასა და მაჩვის ძელები. № 1 ხაროში მაგალითად აღმოჩნდა მელიას თითქმის მთელი ჩონჩხი თავის ქალითა და ქვედა ყბით (ინვ. № Dar. zoo. 08.21). მელიას ჩონჩხი დაფიქსირდა № 1 სახლშიც (ინვ. № Dar. zoo. 08.91). აღსანიშნავია, რომ მელიასა და მაჩვის ძელები სრულიად დაუზიანებელი იყო, რაც შესაძლოა მიუთითებდეს იმაზე, რომ ეს ცხოველები ბუნებრივად დაიხოცნენ დარაკოვის ნამოსახლარის ტერიტორიაზე მდებარე სოროებსა და ბუნაგებში. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება თითქოს ეს მცირე ზომის მტაცებლები ნამოსახლარზე დასახლდნენ მას შემდეგ, რაც ადამიანებმა იქაურობა მიტავეს. ამაზევე უნდა მეტყველებდეს მცირე ზომის ფრინველთა ძელები, რომელთა შორის ჭარბობს ბარტყების ძელები¹².

მურა დათვი (*Ursus arctos*)¹³. რამდენადმე მოულოდნელი იყო № 1 სახლის ოსტეოლოგიურ მასალაში დათვის ძელების (ბარძაყის ძელისა და მეტაპოდიუმის ზედა ნაწილი; ინვ. № Dar. zoo.08. 24, 259) აღმოჩენა, რადგან ცნობილია, რომ დათვი წარმოადგენს ტყის ბინადარს, ხოლო დარაკოვის მიდამოებში დღეს ტყე თითქმის არ არის.

თანამედროვე ეპოქაში (უფრო სწორად გასული საუკუნის დასასრულს) მურა დათვი მრავლად ბინადრობს საქართველოს ტყეებში [Верещагин 1959, არაბული 1987]. ის არც თუ დიდხნის წინათ ფართოდ იყო გავრცელებული კავკასიონის სამხრეთ კალთებზე. ამ რეგიონში მიუხედავად ანტროპოგენური ფაქტორების ძლიერი გავლენისა, საკვებით მდიდარ და მისი არსებობისათვის ხელსაყრელ ტყეებში მურა დათვი ისევ ბინადრობს. ამავე დროს მცირე კავკასიონის ტყეებში ის იშვიათად გვხვდება, ხოლო ჯავახეთში მთლიანად გადაშენდა. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თრიალეთში მურა დათვი ჯერ კიდევ ბინადრობს, კერძოდ ის არა ერთხელ უნახავთ ადგილობრივ მცხოვრებლებსა და თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებს.

აღმოსავლეთ საქართველოში ქართლის დაბლობსა და ივრის ზეგანის დევის მენხერ ტყეებში მურა დათვი იშვიათად გვხვდება.

საქართველოს ტერიტორიაზე (და მთელ სამხრეთ კავკასიაში) გავრცელებულია მურა დათვის ორი ქვესახეობა: *Ursus arctos caucasicus* და *Ursus arctos siriacus*. ჩვენი ვარაუდით დარაკოვის დათვი მიეკუთვნება სირიულ ქვესახეობას, რომელიც ფართოდაა გავრცელებული წინააზიის ტერიტორიაზე.

აღსანიშნავია, რომ დარაკოვის ნამოსახლარზე დათვის ძელების აღმოჩენა უტყუარ საბუთს წარმოადგენს იმისა, რომ ანტიკურ ეპოქაში თრიალეთი ტყით იყო დაფარული.

ირემი (*Cervus elaplus imerensis*)¹⁴. განსაკუთრებით საინტერესოა დარაკოვის ნამოსახლარზე მოპოვებულ ოსტეოლოგიურ მასალაში ირემის დიდი ზომის ძელების აღმოჩენა. მამრი ირემების ძელები თავისი ზომითა და მასიურობით ჭარბობს თანამედროვე კავკასიური ირემების (*Cervus elaplus maral* Ogilby) ძელებს და უახლოვდება გადაშენებულ ქვესახეობას (*Cervus elaplus imerensis* Bendukidze), რომელიც ჩვენი მონაცემებით ბინადრობდა საქართველოს (და კავკასიის) ტერიტორიაზე პლეისტოცენსა და პოლოცენის დასაწყისში. აღნიშნული ირემი, რომელიც ხასიათდება დიდი ზომითა და თავის ქალის, ქვედა ყბის და კბილების აგებულების ზოგიერთი თავისებურებით

[Бендукидзе 1998], როგორც ჩანს, ეკუთვნის „ვაპიტოიდური“ ჯგუფის ირმებს [Верещагин 1959], სადაც შედის ციმბირული მარალი, კანადური ვაპიტი და შუააზიური ირემი. ხოლო თანამედროვე კავკასიური ირემი მიეკუთვნება იგივე ქვესახეობას, რომელსაც კოპეტდაღის (თურქმენეთი) ირემი. თანამედროვე კავკასიაში გავრცელებული ირემი ასევე ახლოს დგას შუაპლეისტოცენურ ქვესახეობასთან *Cervus elaplus binagadensis* (ბინაგადი, აზერბაიჯანი), რომელიც როგორც ჩანს, წარმოადგენს მის უშუალო ფილოგენეტიკურ წინაპარს. თუმცა დარაკოვში დაფიქსირდა ორივე ტიპის ზემოხსენებული ირემი.

რამდენადაც შესაძლებელია ვიმსჯელოთ კეთილშობილი ირმის განათხარი ნაშთებით, წარსულში ის, როგორც ჩანს, ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოსა და კავკასიაში მთლიანად, როგორც დაბლობში, ასევე მთიან რეგიონებში. განსაკუთრებით ფართოდ იგი ბინადრობდა დასავლეთ საქართველოში, სადაც მისი ძვლოვანი ნაშთები დიდი რაოდენობითაა დაფიქსირებული უძველესი ადამიანების სადგომებში. მაგალითად ნეოლით-ენეოლითის ხანის სადგომ სამელე-კლდესა და საგვარჯილეში, სადაც უძველესი ადამიანის ე.წ. „სამზარეულო“ ნარჩენების ძირითად ნაწილს წარმოადგენდა ირმისა და გარეული ღორის ძვლები, მაშინ როცა შინაური ცხოველების (ძროხა, თხა, ცხვარი და შინაური ღორი) ძვლები, როგორც წესი, ერთეული ეგზემპლარების სახით გვხვდება.

დასავლეთ საქართველოს აღნიშნულ რეგიონში გარეული ცხოველების ძვლების დომინირება არქეოლოგიურ ძეგლებზე გვიანი ბრინჯაოს ხანამდე ფიქსირდება. ამის საფუძველზე ზოგიერთი ქართველი მეცნიერი ამტკიცებდა, რომ ზემო იმერეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე დაფიქსირებული ფაქტი - საკვებად დიდი რაოდენობით გარეული ცხოველებისა და შინაური ცხოველების უმნიშვნელო რაოდენობით გამოყენება მიგვანიშნებს მეცხოველეობის დაბალ განვითარებაზე.

კავკასიური ღოსი ანუ ცხენირემა (*Alces alces caucasicus*)

1947 წელს დიგორიხედის გამოქვაბულში (ჩრდ. ოსეთი) რუსმა მეცნიერმა ნ. ვერეშაგინმა აღმოაჩინა ღოსის შვიდი თავის ქალა. ამ მასალის საფუძველზე 1955 წელს ნ. ვერეშაგინმა აღწერა ღოსის ახალი ქვესახეობა *Alces alces caucasicus*-ი. II მსოფლიო ომამდე ღოსის ძვლები აღმოჩენილი იყო საკაუკასის მღვიმეშიც, მაგრამ მაშინ აღმოჩენილი ცხოველი ჩრდილოეთის ირემად ჩათვალეს. შემდგომ ღოსის ძვლები აღმოჩნდა აფხაზეთის მღვიმეებში [Бурчак-Абрамович 1969]. ა. ვეკუამ გამოაქვეყნა ცნობა ცუცხვათში ღოსის აღმოჩენის შესახებ [Векуа 1978]. ამის გარდა, ნ. ვერეშაგინის მიხედვით, ნაოხვამუს გათხრების დროს 1937 წელს ნაპოვნი იქნა ღოსის ქვედა ყბა [Верещагини 1959]. და ბოლოს, ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩის მიხედვით ღოსის თავის ფრესკული გამოსახულება ბოლო დრომდე არსებობდა სოფ. ცხელკარის (გალის რ-ნი) ეკლესიაში [Бурчак-Абрамович 1972]. ჩვენს მიერ განსაზღვრული ღოსის 3 ძვალი აღმოჩენილი იქნა დარაკოვის ნამოსახლარის ოსტეოლოგიურ მასალაში. ეს არის ერთი კოჭის ძვალი, მხრის ძვალი და დიდი წვივის ძვლის ქვედა ბოლო (ინვ. № Dar. zoo. 08.34; 75ა; 234). ღოსის ნიშნები განსაკუთრებით მკვეთრად არის გამოხატული კოჭის ძვალებზე, რომელთა ზედა ნახევრის გარე ქელი ქვემოთ წვეტიანი მორჩით თავდება.

გარდა ამისა ეს ქედი ოდნავ უფრო მოკლეა, ვიდრე იგივე სტრუქტურა ღრურქიანების კოჭებზე. ორივე ეს ნიშანი ირმების კოჭებისათვის ძალზე დამახასიათებელია.

ცნობილია, რომ ირემი (ისევე როგორც შველი¹⁶ და ლოსი) ტყისა და ტყე-ბუჩქნარის ბინადარია. ის ძირითადად ფოთლებით, ხეებისა და ბუჩქების ყლორტებით იკვებება, რაც დასტურდება კბილების აგებულებით - დაბალი გვირგვინი მოსახერხებელია ფოთლებისა და ნორჩი ყლორტების დასამუშავებლად.

ამრიგად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ დარაკოვში აღმოჩენილი ყველა გარეული ცხოველი (მელა, მახვი, დათვი, ირემი, შველი) ტყის ბინადარია. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მელა და მახვი დასახლებაში მოდიოდნენ ტყიდან, რომელიც გარს ეკრა დარაკოვს ან მის მახლობლად მდებარეობდა.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ ძეგლზე აღმოჩენილი ძვლების უმეტესობა დაღრღნილია სხვადასხვა მტაცებლის მიერ (ძაღვი, მგელი, მელა მახვი), ხოლო ირმის ერთი ფალანგა (ინვ. № Dar. zoo. 08.155) ირგვლივია შემოდრღნილი რომელიღაც მცირე ზომის მღრღნელის, შესაძლოა მემინდვრიას¹⁵ მიერ. დაღრღნილი ძვლების უმეტესობა აღმოჩენილია ორმოებში, თუმცა მცირე რაოდენობით საცხოვრებელ ნაგებობებშიც გვხვდება.

გარდა ამისა, ერთ შემთხვევაში შეგვხვდა ძროხის უკანა ფეხის წვივისა და ტერფის სახსრის არეში გამსხვილებული ძვალი, ეს შესაძლოა ტრაუმის შედეგია, რამაც გამოიწვია მეტატარზალური ძვლის ზედა ნაწილისა და წინა ტერფის კვადრატული ძვლის შეზრდა (ინვ. № Dar. zoo. 08.123).

ლიტერატურა

- არაბული 1987: არაბული აღ. დათვი საქართველოში. თბ., 1987.
- ბარამიძე ... 2006: ბარამიძე მ., ჯიბლაძე ლ., ორჯონიკიძე აღ., თოდუა თ. ახალციხის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ორჭოსნის ნამოსახლარზე 2006 წელს ჩატარებული სამუშაოების ანგარიში (ხელნაწერი ინახება არქეოლოგიის ცენტრში).
- ღამბაშიძე 2006: ღამბაშიძე ირ. KP-225-ზე 2004-2005 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში (ხელნაწერი ინახება არქეოლოგიის ცენტრში).
- შატბერაშვილი ... 2006: შატბერაშვილი ზ., ამირანაშვილი ჯ., გოგოჭური გ., მინდორაშვილი დ., გრიგოლია გ., ნიკოლაიშვილი ვ. თეთრიწყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის სამუშაოები – 2003-2004 წწ ანგარიში, გვ. 463-469 (ხელნაწერი ინახება არქეოლოგიის ცენტრში).
- Бендукидзе 1998: Бендукидзе О. Г. Новый подвид ископаемого благородного оленя из голоцена Западной Грузии. – Всероссийское совещание: Главнейшие итоги в изучении четвертичного периода и основные направления исследований в XXI веке. Тезисы докладов. М., 1998.
- Бурчак-Абрамович 1969: Бурчак-Абрамович Н.И. Фауна пещерных стоянок Южной Абхазии. – Proceeding of the 4th International Congress of Speleology. Ljubljana. 1969.
- Векуа 1978: Векуа А.К. Вскопаемые позвоночные Цуцхватских пещер . Изучение пещер Колхиды. Тб., 1978.
- Верещагин 1955: Верещагин Н.К. Кавказский лось (*Alces alces caucasicus* N. Vas subsp. nova) и материалы к истории лосей на Кавказе. Зоологический Журнал XXXIV,2, 1955.
- Верещагин 1959: Верещагин Н.К. Млекопитающие Кавказа. М., 1959.
- Bendukidze 2002: Bendukidze O.G. The wolf and the dog: the problem of the domestic dog's origin. საქართველოს ზოოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XXI, თბ., 2002.

შენიშვნები

1. **ძროხა:** ინვ. №№ 20, 27, 34_ა, 35, 40, 45, 50, 65, 66, 77, 86, 98, 111, 112, 123, 126, 129, 131, 136, 146, 152, 156, 161, 172, 179, 187, 188, 191, 192; 198, 199, 203, 204, 211, 222, 226, 228, 229, 233, 236, 241, 247, 251, 252, 255.

2. **ხარი:** ინვ. №№ 1; 2; 6; 31; 35_ე; 40, 40_ა; 65_{ბ,გ,ვ,ზ,თ,შ}; 66; 77; 79_წ; 87_{ა,ბ}; 98_{ე,ზ}; 111_{ბ,ტ,ქ,ყ}; 123, 123 _{ბ,გ,დ}; 125; 130_ა; 146 _{ა,ბ,დ,კ,მ,ო,უ,ქ,ჩ}; 187, 187_{ა,ზ}; 188; 191 _{ი,ლ,მ,ნ,ო,ძ}; 192 _ძ; 200; 203, 203_დ; 211; 222; 228, 228_ა; 229_დ; 233_ა; 247_ა; 251, 251_დ; 255; 256; 258; 260_ა; 276_ზ.

3. **კამეჩი:** 149, 182

4. **ლორი:** 12, 13, 14, 23, 28, 36, 37, 42, 43, 44, 47, 48, 53, 54, 56, 63, 64, 69, 70, 79, 80, 88, 95, 108, 109, 110, 120, 122, 128, 134, 135, 137, 138, 143, 144, 145, 150, 160, 167, 168, 176, 185, 186, 189, 194, 201, 215, 216, 218, 223, 231, 242, 244, 253.

5. **ცხვარი ან თხა:** 4, 5, 10, 11, 19, 22, 29, 38, 41, 46, 57, 58, 62, 71, 72, 81, 82, 89, 90, 96, 97, 103, 104, 105, 106, 107, 116, 117, 118, 127, 132, 133, 139, 142, 151, 154, 159, 164, 166, 169, 171, 177, 178, 183, 184, 190, 195, 202, 210, 212, 214, 219, 221, 224, 225, 227, 230, 232, 235, 238, 239, 243, 245, 246, 248, 249, 250, 254, 257.

6. **ცხენი:** 8, 67, 68, 85, 94, 100, 148, 153, 163, 175, 196, 200, 240.

7. **ვირი:** 140

8. **ძაღლი:** 16, 24_ა, 74, 119_ა, 174, 193.

9. **კავკასიური ნაგაზი:** 76, 119.

10. **მელი:** 21, 60, 61, 91, 113, 158.

11. **მაჩვი:** 30, 39, 59, 92, 101, 102, 114, 115.

12. **ფრინველი:** 93.

13. **დათვი:** 24, 259.

14. **ირემი:** 34, 49, 75, 141, 155, 161_ა, 173, 197, 234

15. **მემინდვრია:** 25

16. **შეელი:** 83

17. **თევზი:** 26

დარაკოვის ნამოსახლარის კულტურული ფენებისა და ორმოების მასალის პალეოლოგიური დახასიათება

პალეოლოგიური ანალიზი ჩატარებული იქნა პალეობიოლოგიის ინსტიტუტის პალეოლოგიურ ლაბორატორიაში. ნამოსახლარის №№1,4,6,7 ოთახებიდან და ორმო №№5,7,10 -დან სულ აღებული იქნა 36 ნიმუში. *პირველ ეტაპზე* მასალის ლაბორატორიული დამუშავდა სტანდარტული მეთოდის გამოყენებით. 100-150 გრამი ნიადაგი (ან სხვა სახის ორგანიკა) თავსდება ფაიფურის 1000 გრამიან ჭიქაში, მას ვასხამთ მწვავე კალიუმის 10 პროცენტთან ხსნარს და ვადუღებთ 3-5 წუთის განმავლობაში. შემდეგ ვაცივებთ და მიღებულ მასას ვხსნით სუფთა წყალში და ვატარებთ წვრილ საცერში, რომლის დანაყოფია 0,1 მილიმეტრი. მოხარშულ და საცერში გატარებულ ნიმუშს ვათავსებთ ღიდ ჭიქაში და ვტოვებთ 24 საათის განმავლობაში.

მეორე ეტაპი. ორგანულ ნაშთებს ნიმუშიდან ცენტრიფუგირებით გამოვყოფთ. შემდეგ მას ვრეცხავთ გამოსხილი წყლით, მანამ, სანამ განარეცი წყალი არ გახდება გამჭირვალე. მიღებულ მასალას ვასხამთ კადმიუმის მძიმე სითხეს და 20 წუთის განმავლობაში ვახდენთ მის ცენტრიფუგირებას. ამ პროცესის დროს ხდება ნიადაგის და მტრვის მარცვლების განცალკევება. მტვერის და სხვა ორგანული ნაშთების მთელი მასა ზემოთ ამოტივტივდება, ჩვენ მას პატარა ჭიქაში გადმოვასხამთ, გავაზავებთ დისცილირებულ წყლით და დავტოვებთ 24 საათით. კადმიუმის მძიმე სითხე მზადდება შემდეგ ნაირათ: 1 კილოგრამი კადმიუმის იოდანი (CdI-2) და 800 გრამი კალიუმის იოდანი (KI) იხსნება 900 გრამ ცხელ გამოსხილ წყალში, შემდეგ იფილტრება და კეთდება ხსნარი, რომლის კუთრი წონა უნდა იყოს 2,2.

მესამე ეტაპი. ვაწარმოებთ მიღებული ხსნარის ცენტრიფუგირებას პატარა სინჯარებში, ვრეცხავთ კადმიუმისგან და ვაკეთებთ აცეტოლიზს, რის შედეგადაც მტვერის მარცვლები და სხვა პალეომორფები მუქდება, რაც აადვილებს მასალის იდენტიფიკაციას. აცეტოლიზი კეთდება შემდეგ ნაირად: მზადდება ხსნარი, რომლის შემადგენლობაში შედის 9 ნაწილი ძმრის ანჰიდრიდი და ერთი ნაწილი მარილმჟავა. მასალას წინასწარ ვაშრობთ ძმარმჟავაში დამუშავებით და მისი ცენტრიფუგირებით. აცეტოლიზის ხსნარში მოთავსებულ ნიმუშს უკეთებთ აბაზანას (სინჯარას ვდებთ ცხელ წყალში, 2 წუთით, ხოლო წყლის ტემპერატურა უნდა იყოს არა ნაკლებ 80 გრადუსი). მას ისევ ვაცენტრიფუგირებთ 5 წუთით და შემდეგ ხდება ნიმუშის გამშრალება ისევ

ძმარმუკავის საშუალებით. ბოლოს ვაწარმოებთ ნიმუშის გარეცხვას დისტილირებული წყლით. მოგროვილ მტვერს ვაშრობთ და კვლევისთვის ვათავსებთ გლიცერინში. გამოკვლევისას ვიღებთ თითო წვეთ მასალას და ვამზადებთ პრეპარატს. მიკროსკოპში ხდება მტვრის მასალის იდენტიფიკაცია და მათი დათვლა. ერთ ნიმუშიდან საჭიროა დაითვალოს არა ნაკლებ 200-300 პალინომორფი.


მეოთხე ეტაპი. მცენარეთა მტვრის მარცვლების საერთო რიცხვის მიღების შემდეგ ყველა ნიმუშისათვის ხდება პროცენტების გამოთვლა მცენარეთა ეკოლოგიური ჯგუფების მიხედვით და მათი დატანა დიაგრამაზე, რაც ხდება პროგრამა Psimpoll- ის საშუალებით. პალინოლოგიური დიაგრამის აღწერა და ანალიზი მცენარეული საფარის აღდგენის საშუალებას იძლევა. თავის მხრივ, მცენარეული საფარის ტიპი პალეოკლიმატის რეკონსტრუქციის საფუძველს წარმოადგენს.

სახლი №1. განხილულ სახლის იატაკიდან, საკუროთხველიდან, ხელსაფეხკავეებიდან, სასრესებიდან და ღუმელიდან აღებული და შესწავლილია 27 ნიმუში (დიაგრამა 1, 2). პალინოლოგიურ დიაგრამაზე არ არის დატანილი იმ სინჯების სპექტრები, რომლებშიც მტვერი მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი, კერძოდ ნახშირის და ხის მერქნის პალინოსპექტრები.

საკმაოდ მდიდარია პირველი სახლის იატაკიდან და ნაცრებიდან აღებული ნიმუშები. აქ ბევრია სათესი მარცვლოვნების და მათთან დაკავშირებული სარეველა მცენარეებთა მტვერი. განსაზღვრულია ხორბლის რამოდენიმე ჯიშში, აგრეთვე ჭვავი, ქერი და შვრია. ცუდი დაცულობის გამო მრავალი სათესი მარცვლოვნის მტვერი გვარამდე არ იქნა განსაზღვრული.

ნათესების სარეველათა შორის ჭარბობს მატიტელა და ნარშავი. აღინიშნება აგრეთვე ხვართქლა, ღიღილო, ნარცეცხლა, ბოლოკა და სხვა. ხოლო რაც შეეხება სხვა ტიპის სარეველებს, კარგადაა წარმოდგენილი ადამიანის საცხოვრებელ ეზოების, ბილიკების, სანაგვეების სარეველათა მტვრის მარცვლები. ესენია ვარდკაჭაჭა, ჭინჭარი, ღორის ბირკა, ფარსმანდუკი და სხვა. საკმაოდ დიდია საძოვრების არსებობის ინდიკატორებიც. მაგ. ავშანი, ნაცარქათამა, მრავალძარღვა, ბაია, მიხაკისნაირები და სხვა.

რაც შეეხება ველურ ბალახოვნებს, სპექტრებში წარმოდგენილია მხოლოდ სატილიას, მაჩიტას, პარკოსნების, მარწყვაბალახას, ლაქაშის, გვიმრანაირების, ველური მარცვლოვნების და



ფიგურა 2

ასტრანაირების მტვრის მარცვლები. დომინირებენ მარცვლოვნები და გვიმრები.

სახლი №1 – ის პალინოსპექტრებში ხემცენარეებთა ჯგუფი არ არის მდიდარი, რაც წარსულში დახურული სივრცით იყო გამოწვეული. ჭარბობს ფიჭვის მტვრის რაოდენობა (ცხრილი 1, დიაგრამა 1, ტაბ.I). სხვა ხეების მტვრის მარცვლები აღმოჩენილია მხოლოდ ხელსაფქვავეში (ნიმ. 27), ქვის სასრესებში (ნიმუში 4,5), საკურთხეველში (ნიმ. 9) და შელესილობაში (ნიმ. 10). აღნიშნულ ნიმუშებში ნაპოვია მუხის, წიფლის, ცაცხვის, მურყნის, კაკლის, თხილის, კულტურული ვაზის და ხეჭრელის მტვერი. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ცაცხვის, ლაფნის, ვაზის, კაკლის და თხილის მტვრის მარცვლები ნაპოვია მხოლოდ ხელსაფქვავესა და სასრესში.

რაც შეეხება არაპალინოლოგიური ხასიათის პალინომორფებს თითქმის ყველა ნიმუშში ჭარბობს ხის მერქნის ტრაქეალური და სხვა ტიპის უჯრედები. ბევრია ფიჭვის მერქნის უჯრედები (ტაბ.II). ზოგიერთ ნიმუშებში გვხვდება მუხის, თელას და ნეკერჩხლის მერქნის მიკრონაშთები (წიწვოვნების უჯრედები განსაზღვრულია Richter et al.2004 ნაშრომის მიხედვით, ხოლო დანარჩენი კი ეტალონური პრეპარატების გამოყენებით). უამრავია განუსაზღვრელი მერქნის უჯრედები. უხვადაა წარმოდგენილი მარცვლოვნების ფიტოლიტები (ფოთლებში და ღეროში არსებული სილიციუმიანი წარმონაქმნები). ბევრია მარცვლოვნების ეპიდერმისი და ღეროს გამტარი უჯრედების ნაშთები. მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი სოკოს სპორები. განსაზღვრულია ნაკელის სოკოთა (*Sordaria*) ჯგუფის სპორები. აღინიშნება აგრეთვე სოკო გლომუსის სპორები, რაც ნიადაგის ეროზიულ პროცესებზე მეტყველებს. ეს სოკო მხოლოდ ნაყარ ან ნაშალ ნიადაგში იზრდება (Geel 1978; 1998).

სხვა სახის არაპალინოლოგიური ნაშთებიდან საკურთხეველთან და ღუმელთან ბევრია ძვლის კრისტალები (ნიმუში 6-9, ტაბ.III). ანალოგიური სიტუაცია აღინიშნება ამავე პერიოდის სხვა ნამოსახლარებზეც (Kvavadze 2008). მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი რამოდენიმე ტიპის ზოომასალაც. ეს არის ტიპების ნაშთები, ცხერის და განუსაზღვრელი ცხოველის ბეწვები (ტაბ.IV,V). ნაპოვია აგრეთვე ხოჭო ტყავიაჭამიას მატლის (ტაბ.IV) და ჩრიჩლის მატლის ბუსუსები, რას ტყავის და მატყლის არსებობას ამტკიცებს. აღმოჩენილია აგრეთვე შინაური ცხოველთა პარაზიტული ჭიების კვერცხები.

მცირე რაოდენობით აღინიშნება წყალმცენარეთა ნაშთები, მაგალითად *Zygnema*, რომელიც მტკნარი წყლის მობინადრეა. დიატომიური წყალმცენარე ციკლოტელა (*Ciclotella*) კი საკმაოდ დიდ რაოდენობით გვხვდება მხოლოდ სასრესში და ხელსაფქვავეში (განისაზღვრა Witkowski et al.2008 ნაშრომის მიხედვით). ეს კი იმის ნიშანია, რომ იმდროინდელი ადამიანი თავისი ყოფითი ცხოვრებაში იყენებდა დიატომიტებს. ცნობილია, რომ დაფქვილი დიატომიტები,

რომლებიც შედგება დიატომურ წყალმცენარეთაგან პრაქტიკაში გამოიყენება როგორც სახლის კედლების მათეთრებელი, როგორც სითბოს კარგი იზოლიატორი და დიატომიტები აგრეთვე კარგი ფილტრიცაა.

პირველი სახლიდან აღებულ ყველა ნიმუშში პანოვნია სელის და ბამბის ქსოვილის ძაფების და ბოჭკოების ნაშთები (მათი ბოჭკოს აღწერა მოკვანილია Kvavadze, Narimanishvili 2006 ნაშრომის მიხედვით). ჭარბობს სელის ტექსტილის ბოჭკო (იხ. დიაგრამა 2, ტაბ. VI, VII). აღმოჩენილია აგრეთვე განუსაზღვრელი ბოჭკოები. დიდი რაოდენობის სელის ბოჭკო ნაპოვნია იატაკზე (ნიმ. №1) და ქვის სასრესებში (ნიმ. 4, 5). არის ფერადი (ცისფერი და ნაცრისფერი) ბოჭკოც.

სახლი №4. განხილული სახლის ორ ხელსაფეკვაიდან მოპოვებული და შესწავლილია ორგანული ნაშთები (ნიმუში 27,29) და დანის ჟანგი (ნიმ. 28). პირველი ხელსაფეკვის (ნიმ. 27, ქვა № 647) მასალის პალინოლოგიური სპექტრი შედარებით უფრო მდიდარია. ხემცენარეთაგან აღინიშნება ფიჭვის, ცაცხვის, კაკლის, კედარის და თხილის მტვრის მარცვლები. ბალახოვნების ჟგუფში ბევრია კულტურული მარცვლოვნები (ხორბალი და ქერი) და მათთან არსებული სარეველები (ლილილო, ნაცარქათამა, ნარშავი, ირმისმხალა და სხვა), რაც იმაზე მეტყველებს, რომ ხელსაფეკვაი ძირითადად ხორბლეულის დასაფეკვად იყო გამოყენებული. ამას ადასტურებს ის ფაქტიც რომ მასალაში უხვადაა ნაპოვნი მარცვლოვნების ფიტოლიტები (იხ. დიაგრამა 2). ბევრია აგრეთვე ვარკაჭაჭასაც მტვერი. აღმოჩენილია ავშანი, მრავალძარღვა, ჭინჭარი, ასტრა, ღორის ბირკა, სამყურა, ფარსმანდუკი, გვიმრის სპორები. ყველა ჩამოთვლილი მცენარე დღეს სამკურნალო ან საკვებია. ხელსაფეკვაში მათი მტვრის მარცვლები მოხვდა სწორედ ამ მიზეზით. შესაძლოა ამ მცენარეებს ნაყავდნენ ან ჩეჩქვამდნენ წამლის დასამზადებლად. ისიც უნდა ითქვას რომ, მაგალითად, ვარდკაჭაჭასგან (რომლის მტვერი ბევრია განხილულ ხელსაფეკვაში) დღესაც მატონიზირებელი სასმელი მზადდება.

არაპალინოლოგიური ფოსილიებთაგან, როგორც უკვე აღინიშნა დომინირებს მარცვლოვნების ფიტოლიტები, მარცვლოვნების ეპიდერმისი და ხის მერქნის უჯრედები. ბევრია აგრეთვე სელის ბოჭკო. აღინიშნება ვარდისფერი და ნაცრისფერი სელის ბოჭკო. მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი ბამბის ბოჭკო. სოკოს სპორებიდან ნაპოვნია ნაკელის სოკო (*Sordaria*, *Neurospora*) და სოკო გლომუსის (*Glomus*) ქლამიდიასპორები. არის განუსაზღვრელი სოკოს სპორებიც.

წყალმცენარეთაგან აღინიშნება სპიროგირა (*Spirogira*) და დიატომური წყალმცენარეთა (*Ciclotella*, *Fragilaria*) ნაშთები. ზოოლოგიური მასალა შეიცავს მხოლოდ ტკიპების ნაშთებს. მათი რაოდენობაა არც ისე დიდი.

მეორე ხელსაფქვავის (ნიმ. 29, ქვა 655) პალინოლოგიური სპექტრი არ არის მდიდარი. ნაპოვნია მხოლოდ მარცვლოვნები და ციხორიუმის მტვერი. მაგრამ რაც შეეხება არაპალინოლოგიური ხასიათის ნაშთებს აქ ბევრია სელის ბოჭკო, ძირითადად უფერული. სულ აქ ნაპოვნია 44 სელის ბოჭკო. ბამბა ცოტაა (7 ბოჭკო). პირველ ხელსაფქვავთან შედარები აქ გაცილებით ნაკლებია მარცვლოვნების ეპიდერმისი და მათი ფიტოლიტები. ბევრია ხის მერქნის უჯრედები. განსაზღვრულია ფიჭვის და ნეკერცხლის მერქნის ტრაქეალური უჯრედები. არ არის დიატომური წყალმცენარეთა ნაშთები, აღინიშნება მხოლოდ წყალმცენარე სპიროგირა (*Spirogira*).

დანის ჟანგის პალინოსპექტრში (ნიმ. 28) კარგადაა წარმოდგენილი ციხორიუმი (*Cichorioideae*), რომელიც სპექტრის დომინანტია. ბევრია აგრეთვე წიწიბურას მტვერი. არის ხორბლის და სხვა კულტურული და ველური მარცვლოვნების მტვერი. უხვადაა ამ ჯგუფის ფიტოლიტები. მნიშვნელოვანი როლი უკავია მარცვლოვნების ეპიდერმისს. ფოტოლიტებზე ნალკებადაა წარმოდგენილი ხემცენარეთა უჯრედები. არის ფიჭვის, თელას და ნეკერცხლის მერქნის ტრაქეალური უჯრედები. ბევრია დიატომური წყალმცენარეთა ნაშთები. ესენია: *Cyclotella*, *Cymbella*, *Fragilaria*, *Cocconeis placentula* type. აღინიშნება აგრეთვე წყალმცენარე *Spirogira*.

სახლი №6. აქ შესწავლილია 3 ნიმუში. ეს არის სანაცრიდან აღებული ნიმუში №30 და სამყურიანი ჭურჭლის შიგთავსის ზედა და ქვედა ნაწილები (ნიმ. 31,32). ნაცარში ნაპოვნია ფიჭვის (*Pinus*) და მურყნის (*Alnus*) მტვრის მცირე რაოდენობა. ბევრია ხორბლის (*Triticum*), ქერის (*Hordeum*), ჭვავის (*Secale*) და სხვა კულტურული მარცვლოვნების მტვერი. არის ველური მარცვლოვნების მტვერიც. უხვადაა ნათესების სარევეთა მტვრის მარცვლები. არის ხვართქლა (*Convolvulus*), ნარშავი (*Carduus*), ნაცარქათამა (*Chenopodiaceae*). გარდა ჩამოთვლილი სარეველებისა აღინიშნება ასტრა (*Aster*), მრავალძარღვა (*Plantago m/m*) და გვიმრის (*Polypodiaceae*) სპორები.

უნდა აღინიშნოს რომ ამ ნაცრის ფენაში აღმოჩნდა ვიუზუალურად შესამჩნევი მაკრონაშთებიც. ჩვენი თხოვნით პალეობიოლოგიის ინსტიტუტის კარპოლოგმა, ლუარა რუხაძემ და მუზეუმის ეთნობოტანიკოსმა მაკა ბოკერიამ გამოავლინეს შემდეგი მცენარეთა თესვების კომპლექსი: ორი ჯიშის ხორბალი და ერთი მადგანი *Triticum cf. compactum* –ია. გარდა ხორბლისა აღმოჩენილია ფეტვი (*Panicum miliaceum*) და ღომი (*Setaria* sp.). ნაპოვნია აგრეთვე ნაცარქათამას 2 სახეობის (*Chenopodium album.*, *Ch. rubrum*), ქვათესლას (*Lithospermum arvense*), მინდვრისნემსას (*Galium* sp.) და თაღგამურას (*Brassica* sp.) თესვები. თითქმის ყველა ჩამოთვლილი მცენარე ნათესების სარეველაა. დომინირებს ქვათესლა, რომელიც სელის ნათესების დამახასიათებელი სარეველაა.

არაპალინოლოგიური ფოსილიების ჯგუფი მდიდარია. ჭარბობს ხის მერქნის ნაშთები. ესენია ფიჭვის (იგი დომინანტია), ნეკერჩხლის, თელას, წიფლის და მუხის მერქნის ტრაქეალური და სხვა ტიპის უჯრედები. ბევრია მარცვლოვნების ფიტოლიტები და მათი ეპიდერმისი. რას შეეხება სოკოებს, დაფიქსირდა ნაკელის სოკო პოდოსპორას (*Podospora*), რაც იმაზე მიუთითებს რომ ნამოსახლარის მოსახლეობა მეძროხეობას მიყვებოდა (Leevel 2006). ნაპოვნია სოკო გლომუსის (*Glomus*) ქლამიდიასპორები. არის განუსაზღვრელი სოკოების ნაშთებიც. მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი წყალმცენარეები (*Zygnema, Dinoflagellata*).

ტექსტილის ნაშთები ძალიან ცოტაა. ნაპოვნია 6 სელის და 4 ბამბის ბოჭკო.

სახლ №6-ში აღმოჩენილ ორყურიანი დიდი ჭურჭლის შიგთავსის შუა ნაწილში მტვრის მარცვლები არც თუ ისე ცოტაა. ხემცენარეთაგან ნაპოვნია მხოლოდ მუხა, მაგრამ ბალახოვნები გაცილებით კარგადაა წარმოდგენილი. ჭარბობს მარცვლოვნები, როგორც კულტურული, ასევე ველური ფორმები. განისაზღვრა ხორბლის, ქერის, ჭვავის და შვრიას მტვრის მარცვლები.

არაპალინოლოგიური ტიპის ნმიკრონაშთებიდან უხვადაა წარმოდგენილი მარცვლოვნების ფიტოლიტები, მათი ეპიდერმისი (ტაბ.VIII) და ხის მერქნის უჯრედები (ტაბ.IX,X,XI). ბევრია ნაკელის სოკოს სპორები (*Sordaria*). ნაპოვნია სოკო ნეიროსპორას სპორები. ეს სოკო, როგორც წესი ნახანძრალეებზე იზრდება. დაფიქსირდა განუსაზღვრელი სოკოების სპორები. პალინოსპექტრში კარგადაა წარმოდგენილი სელის და ბამბის ბოჭკო (ტაბ.XII), არის აგრეთვე ფერადი სელის ძაფის ნაშთები (ნაცრისფერი და მწვანე). ნაპოვნია ცხვრის ბეწვები (ტაბ.XIII) და განუსაზღვრელი ბოჭკო.

განხილული ჭურჭლის ძირის პალინოლოგიური სპექტრები ტაქსონომიური შემადგენლობით გაცილებით უფრო მდიდარია ვიდრე შუა ნაწილი. ხემცენარეთაგან ან ნაპოვნია კაკლის, მუხის და ფიჭვის მტვერი. ბალახოვნებში ბევრია კულტურული მარცვლოვნები, განსაკუთრებით კი ხორბალი (ტაბ.XIV). აღმოჩენილია ჭინჭრის მტვერი, რომელიც ჭურჭლის შუა ნაწილში არ დაფიქსირდა.

არაპალინოლოგიური ნაშთების შორიც გარდა ხორბლეულის ფიტოლიტების, მერქნის უჯრედების და სოკოების (ტაბ.VIII), აქ ნაპოვნია ძვლის კრისტალები (ტაბ.VIII). აღმოჩენილია აგრეთვე წყალმცენარეები. ბევრია დიატომიური წყალმცენარეების ნაშთები.

კარგადაა წარმოდგენილი ქსოვილის ბოჭკო.ეს არის სელი და ბამბა და ისიც უნდა იტყვას,რომ სელი მეტია.

სახლი №7. აღებული და შესწავლილია ღუმელთან მოპოვებული ნახშირი (ნიმ. 33). აქ უხვადაა წარმოდგენილი ფიჭვის მერქნის ტრაქეალური უჯრედები (ტაბ.XV). სხვა ხემცენარეთა არანაირი ფოსილიები არ არის აღმოჩენილი. ნაპოვნია ბალახოვანთა ეპიდერმისი და ვარკაჭაჭას მტვრის მარცვლები. გარდა ამისა დაფიქსირდა სელის და ბამბის ბოჭკო. აგრეთვე ნაპოვნია ძვლის კრისტალები.

ორმო №5. ამ ორმოდან აღებული და გამოკვლეულია ნიმუში №34. ხემცენარეთაგან აღმოჩენილია ფიჭვის და თელას მტვერი. ბალახოვანთა კომპლექსი გაცილებით უფრო მდიდარია. სორბლულების (ტაბ.XVI) გარდა, რომლებიც ცოტაა, არის რამოდენიმე ტიპის სარეველათა მტვერი. ესენია ნაცარქათამა (*Chenopodium alba*), ნარშავი (*Carduus*), წიწიბურა (*Polygonum*). ბევრია ეზოს სარეველები – ვარდკაჭაჭა (ტაბ.XVI), ავშანი, მიხაკისნაირები (*Caryophyllaceae*).

არაპალინოლოგიური პალინომორფების ჯგუფში დომინირებენ მარცვლოვნების ფიტოლიტები. (დიაგრამა 2). ბევრია ფიჭვის მერქნის ტრაქეალური უჯრედები. კარგადაა წარმოდგენილი სოკო გლომუსის (*Glomus*) სპორები, რაც ნიადაგის ინტენსიურ ეროზიაზე მიუთითებს. შესაძლოა ეს უყკვე სანაგვე ორმო იყო და არა სამეურნეო. აქ მცირე რაოდენობით აღინიშნება ნაკელის სოკო და სხვა განუსაზღვრელი სოკოების სპორები. ცოტაა წყალმცენარეების ნაშთები. მცირე რაოდენობითაა ნაპოვნი სელის და ბამბის ბოჭკო. დაფიქსირდა შავი ფერის სელის ძაფის ნაშთი. ცოტაა ზომასხალაც.

